ქუთაისის მერი მიდის A3

"თქვენი აფხაზეთი" A8

ევროისტორია B6



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ოთხშაბათი, 21 აპრილი, 2004 წელი. №93 (642) — ფასი 50 თეთრი


## პოლიტიკა

### აჭარაში დარჩნენ უკანონო პატიმრები

ასლან აბაშიძის "საპატიო ტყვეობიდან" ახლახან თავდახსნილი თენგიზ ასანიძე, ოპოზიციური გაერთიანება "ჩვენი აჭარის" წარმომადგენლის რანგში, პირველ პრესკონფერენციას მართავს. მისი თქმით, აჭარის უშიშროების სამინისტროს იზოლატორსა და ბათუმის № 3 საპყრობილეში კიდევ დარჩა ხალხი, ვისთან მიმართებაშიც კანონი უხეშად ირღვევა.

A3

## ეკონომიკა

### ქველმოქმედების წახალისება თუ გადასახადებისთვის თავის არიდება?

შესაძლოა, მალე ქველმოქმედება დაბეგვრისაგან გათავისუფლდეს. ფინანსთა სამინისტროს ამ ინიციატივას, ეკონომიკური ექსპერტების სახით, ოპონენტები უკვე გამოუჩნდნენ. არადა, იმ დეპუტატების განწყობით თუ ვივარაუდებთ, რომლებსაც "24 საათი" დაუკავშირდა, წესით, ახალ პარლამენტში ამ კანონპროექტის განხილვამ და დამტკიცებამ უხმაუროდ უნდა ჩაიაროს.

A4

## უცხოეთი

### აშშ-ს არაბულ სამყაროში საყრდენი ეცლება

აშშ მოკავშირეებს არაბულ ქვეყნებშიც კარგავს. იორდანიის მეფე აბდულამ თეთრ სახლში დაგეგმილი შეხვედრა გადადო და მიზეზად ვაშინგტონის მიერ ისრაელის პოლიტიკის მხარდაჭერის გამო არაბთა შეშფოთება დაასახელა. მას შემდეგ, რაც აშშ-მ მოიწონა შარონის "დაშორიშორების გეგმა", არაბული ქვეყნების სუპერ-სახელმწიფოსადმი დამოკიდებულებაში ბევრი რამ შეიცვალა.

A5

## სამართალი

### სულუხია მოსკოველი მილიარდერის წინააღმდეგ

ჩანს, ჭორებმა, თანამდებობიდან მინისტრის სავარაუდო მოხსნის შესახებ, ინფრასტრუქტურისა და ურბანიზაციის სამინისტროში სიტუაცია საგრძნობლად შეცვალა. მინისტრი სულუხია უკანონო მშენებლობების წინააღმდეგ ომს ააქტიურებს. ვინ გასცა ნებართვა, როგორ ნიღბავდნენ 18-სართულიან შენობას სარეაბილიტაციო ცენტრად, რატომ არ სრულდება პრეზიდენტის დავალება და შეძლებს თუ არა სულუხია მოსკოვში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენის დის თბილისური ბიზნესის შეჩერებას?

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 18 | |
| ქუთაისი | 23 | |
| ბათუმი | 23 | |
| სოხუმი | 22 | |
| ფოთი | 24 | |
| თელავი | 17 | |
| ზუგდიდი | 24 | |
| გორი | 17 | |
| ახმეტა | 18 | |
| ჭიათურა | 21 | |
| გაგრა | 20 | |
| სამტრედია | 24 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9750 |
| ევრო | 2.3564 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5511 |
| რუბლი | 0.0687 |

# ხელისუფლება კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას აპირებს

ვერიკო თევზაძე

*წუხელ პრეზიდენტ სააკაშვილის კაბინეტიდან ზუსტად ღამის ორ საათზე გამოსულმა ძალოვანი უწყებების პირველმა პირებმა კანცელარია უკომენტაროდ დატოვეს. მანამდე რამდენიმე საათით ადრე "ჩვენი აჭარის" ლიდერმა ედვარდ სურმანიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ "ხელისუფლება თანამიმდევრულად გადადგამს კონკრეტულ ნაბიჯებს... უნდა მოხდეს განიარაღება, უარი ითქვას აგრესიულ დაუმორჩილებლობაზე... უნდა შეიზღუდოს ასლან აბაშიძის ხელისუფლება, რათა აჭარაში უკანონო ქმედებებს ადგილი არ ჰქონდეს."*

სურმანიძის ინფორმაციით, 25-ე ბრიგადის ხელმძღვანელი, გენერალ-მაიორი რომან დუმბაძე 4-5 კაცის ამარა დარჩება. ბრიგადის

გაგრძელება A2 გვერდზე



*გია ბარამიძემ, სხვა მინისტრების მსგავსად, კანცელარია უკომენტაროდ დატოვა.*

## "ჩვენი აჭარის" აქტივისტების გიჟებად და ნარკომანებად გამოცხადება სურთ

გაერთიანებული ოპოზიციური მოძრაობა "ჩვენი აჭარის" 10 აქტივისტი გონიოში დააპატიმრეს და ხელვაჩაურის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს.

ხელვაჩაურის გამგეობის წევრის ჯონი კალანდაძის თქმით, პოლიცია სამშაბათს გონიოში იმის მიხედვით აპატიმრებდა ადამიანებს, თუ ვინ იყო "ჩვენი აჭარას" წევრი.

კალანდაძის თქმით, გონიოში მცხოვრებთა უმეტესობა ავტონომიის მეთაურის ასლან აბაშიძის მოწინააღმდეგეა.

"ჩვენი აჭარის" ერთ-ერთი ლიდერის ჯონი მიქელაძის განცხადებით, ხელვაჩაურის პოლიციამ მოძრაობის აქტივისტები საკუთარი სახლებიდან აიყვანა. მოგვიანებით ერთ-ერთი დაკავებულის დედა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში შეიჭრა, თუმცა თავისი შვილი იქ ვერ აღმოაჩინა. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში არც დაკავებულები და არც მედპერსონალი არ აღმოჩნდნენ. მშობლების განცხადებით, "ისინი უკვე გადამალეს". საღამოსთვის პოლიციამ ათი დაკავებულიდან რვა გაათავისუფლა, ორნი კი - გიორგი ბარამიძე და ავთანდილ დავითაძე - პატიმრობაში დარჩნენ.

დაკავებულების ახლობლები აცხადებენ, რომ ხელვაჩაურის პოლიციამ აჭარის ხელისუფლებისგან გონიოში 50-მდე "ჩვენი აჭარის" აქტივისტის დაკავების დავალება მიიღო.

მიქელაძის ინფორმაციით, დაკავებულებს ნარკოლოგიური შემოწმება ჩაუტარეს, რომ მათთვის "გიჟის ან ნარკომანის სტატუსი მიენიჭებინათ". ოფიციალური ბათუმი ამ ფაქტთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, კომენტარისგან თავს იკავებს.

*24 საათი*

## მიკვირს, როგორ დგას
# ეს ქალაქი

მერიაში სანიტარული სამუშაოს ჩატარება მოგვიწევს

B1



## რატომ ცდილობს დასავლეთი
# რკინის ფარდის
## ხელახლა ჩამოშვებას

ვლადიმირ სოკორი
"უოლ-სტრიტ ჟორნალ იუროპ"

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსნები, ისევე როგორც ეუთო-ში მომუშავე მათი თანამემამულეები, მოლდოვას რუსეთის მეზობელს, ან რუსეთის პერიფერიას უწოდებენ. ამის მიხედვით შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ისინი მოძველებული კლიშეების ტყვეობაში იმყოფებიან. რეალურად, დღეს მოლდოვა ნატო-ს უშუალო მეზობელია და მალე ევროკავშირის მეზობელიც გახდება, მაშინ როდესაც რუსეთს ამ ქვეყნიდან 1000 კილომეტრი აშორებს.

ეს მაღალჩინოსნები ასევე შორს დგანან მოლდოვას დემოკრატიული ოპოზიციისა და პროდასავლური სამოქალაქო საზოგადოებისაგან, რომლის წარმომადგენლები აღშფოთებულები არიან იმ გეგმით, რომელიც დნესტრისპირეთის პრობლემის მოგვარებას ისახავს მიზნად, მაგრამ სინამდვილეში მოლდოვას რუსეთის გავლენის ქვეშ დაბრუნებას გულისხმობს.

გაგრძელება A5 გვერდზე

## გენერალი დუმბაძე - პაიკი ასლან აბაშიძის ხელში

თამარ მჭედლიშვილი

*სწორედ მაშინ, როდესაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების პირველი პირები თავდაცვის სამინისტროს 25-ე მოტომსროლელი ბრიგადის მეთაურს გენერალ დუმბაძეს ღიად ადანაშაულებენ სამშობლოს ღალატში, ბრალდების ადრესატი თავისი ახალი თანამდებობის შესახებ საუბრობს. ყოველ შემთხვევაში, როგორც მოძრაობა "ჩვენი აჭარის" ერთ-ერთი ლიდერი ავთანდილ გადახაბაძე აცხადებს, რომ კერძო საუბარში გენერალმა აღნიშნა, რომ მალე აჭარაში იგი თავდაცვის მინისტრი გახდება. მართალია, აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელობა ამ ინფორმაციის სისწორის თაობაზე არანაირ კომენტარს არ აკეთებს, მაგრამ ცხადია, რომ სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც გენერლის ქმედებებში აშკარად იკვეთება, ასლან აბაშიძის გარემოცვასა და ცენტრალური ხელისუფლების დაპირისპირების ფონზე, პოლიტიკურ შეფერილობას იძენს.*

გაგრძელება A3 გვერდზე

## ნარკობიზნესთან ბრძოლა - ეფექტური, მაგრამ არასაკმარისი

### შინაგან საქმეთა სამინისტრო თბილისის პროკურორის ბრალდებებს პასუხობს

*თბილისის პროკურორის განცხადებას პოლიციის მხრიდან ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის არაეფექტურობის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტრო საკუთარ სტატისტიკურ მონაცემებს უპირისპირებს, რომელიც, ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან ბრძოლის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელის ალეკო ტაბატაძის თქმით, არაეფექტური ბრძოლის სურათს ნაკლებად*

გაგრძელება A7 გვერდზე

## "თელასი" ვალების გასტუმრებას ითხოვს

მაია ურუშაძე

*გუშინ "თელასის" "რაოელმა" მენეჯერებმა ურჩი გადამხდელებისთვის ვალის კიდევ ერთხელ შეხსენება განიზრახეს. ჭკუის სწავლების მეთოდი უცვლელია - "თელასი" იმუქრება, რომ დიდი ოდენობის დავალიანების მქონე ორგანიზაციები დღეს დილიდან დენის გარეშე დარჩებიან.*

"ურჩების" ნუსხაში "საპრიზო" ადგილებს სახელმწიფო ტელევიზია და ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი 65 დაწესებულება ინაწილებენ. ანუ, დღეს, დილის პირველი საათიდან, შესაძლოა, წყვდიადში აღმოჩნდნენ ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო, ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი, ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფო, ოფთალმოლოგიის ცენტრი, გადაუდებელი კარდიოლოგიური დახმარების ცენტრი, ტუბერკულოზის და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი და ჯანდაცვის სხვა ობიექტები. როგორც გუშინ "თელასში" აცხადებდნენ, ერთადერთი წინაპირობა იმისა, რომ ეს ორგანიზაციები არ დაისაჯონ, დენის საფასურის დაუყოვნებლივ გადახდაა. თუმცა, იქვე დასძინეს, რომ სულ არარაობას, "თელასში" მზად არიან, მევალეებთან ვალის რესტრუქტურიზაციაზე მაინც იმსჯელონ.

გაგრძელება A4 გვერდზე


A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 ოფიციოზი | A7 საზოგადოება | A8 პროექტი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ევროისტორია | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# ხელისუფლება კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას აპირებს

პირველი გვერდიდან

დისლოკაციის ადგილი დროებით ბათუმიდან თბილისში ან მის შემოგარენში გადმოინაცვლებს (ამას პრეზიდენტი სააკაშვილი გადაწყვეტს). "აჭარაში პროცესის მონიტორინგის შემდეგ ბრიგადა ისევ ბათუმს დაუბრუნდება. ამჟამად ბრიგადის პირად შემადგენლობაში ას კაცამდეა დარჩენილი. ოფიცერთა ძირითადი ნაწილი თბილისში იმყოფება. 21-ში მათ კიდევ 15-მდე ოფიცერი უნდა შემოუერთდეს".

"ჩვენი აჭარის" ლიდერმა პრესას განუცხადა, რომ 25-ე ბრიგადიდან ძირითადი სამხედრო ტექნიკა გატანილია და იგი აჭარაში მოქმედ უკანონო შეიარაღებული ფორმირებების საკუთრებაში იმყოფება.

ედვარდ სურმანიძე საუბრობს უახლოეს დღეების წინ აბაშიძის ხელისუფლების მიერ "შავი ფულით" შეძენილ იარაღზე. სურმანიძის თქმით, ბათუმის პორტიდან ექვსი ერთეული ყუმბარმტყორცნი, ე. წ. "ჰაუბიცა" შემოიტანეს. სავარაუდოდ, იარაღი უახლოეს საზღვარგარეთიდან, ყოფილი სსრ კავშირის რომელიმე რესპუბლიკიდან არის შეძენილი. **"ამის შესახებ ყველა დეტალს ფლობენ ცენტრალური ხელისუფლების შესაბამისი უწყებები".**

ამავე უკვე [illegible] თემად იქცა ცენტრალური ხელისუფლებისთვის და იგი კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას აპირებს. სახელდობრ, რა ღონისძიებებს მიმართავს ოფიციალური თბილისი "აბაშიძის აგრესიული დაუმორჩილებლობის [illegible]", უცნობია. ედვარდ სურმანიძის ზოგადი ფრაზა – **"კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების უზრუნველყოფა"** - ამის გარკვევის საშუალებას არ იძლევა.

# ლეიბორისტები ბობოქრობენ

"ლეიბორისტები" ახლად დანიშნული თბილისის მერისა და პრემიერის კანდიდატურებს აპროტესტებენ. მათი თქმით, ზურაბ ჟვანიამ 28 მარტის არჩევნების გაყალბება და [illegible] "ლეიბორისტების" პარლამენტში არშეშვება დაუფასა. [illegible]

[illegible] - აცხადებენ ისინი.

*24 საათი*

# საკრებულოში ვაკანსიები გაჩნდა

ჯერჯერობით გაურკვეველია, ვინ დაიკავებს დედაქალაქის საკრებულოდან ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში გადაბარგებულ დეპუტატთა ადგილებს. [illegible]

*24 საათი*

# ამერიკის მთავრობა საქართველოში ეკონომიკით ინტერესდება

ამერიკის მთავრობა საქართველოში ეკონომიკისა და ვაჭრობის განვითარებით ინტერესდება. დღეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ჟვანიასა და უშიშროების მდივანს ვანო მერაბიშვილს [illegible]

*ინტერ-პრესი*

# სტივენ მანი მთავრობის პოზიციას ეცნობა

**"მე ჩამოვედი იმისათვის, რათა საქართველოს პრეზიდენტს გავეცნო. მერე, მსურდა, საქართველოს ხელისუფლებისთვის დამედასტურებინა უცვლელი ხასიათი ამერიკის პოლიტიკის, რომელიც ემსახურება კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას.** [illegible]

*24 საათი*

# ასლან აბაშიძე საქართველოს დატოვებას არ აპირებს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური ასლან აბაშიძე "ბი-ბი-სისთან" ინტერვიუში უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს იგი საქართველოდან წასვლას [illegible]

"ახლა ჩვენ გვაქვს მეტი შესაძლებლობა, შევიმუშაოთ ქვეყნის მოწყობის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც ერთი ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი ისტორიის ბორბლის შებრუნებას ვერ შეძლებს. ამის ნაცვლად, საქართველოს ხელისუფლება გადაწყვეტილებებს კონსტიტუციის სრული იგნორირებით იღებს. ხმებს ჩემი საქართველოდან წასვლის შესახებ ისინი ავრცელებენ, ვინც ასეთ პლატფორმას იმზადებს. აბაშიძემ კი ისეთი პლატფორმა მოამზადა, რომ ისტორიაში შევიდეს და ვერავინ შეძლებს იმის განადგურებას, რაც მან გააკეთა," - აცხადებს აჭარის ავტონომიის მეთაური.

ასლან აბაშიძემ კომენტარი გააკეთა ბათუმში ჭადრაკში ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით ატეხილ აჟიოტაჟზეც და აღნიშნა: **"ჩემპიონატის ჩატარება დამოკიდებულია მსოფლიო თანამეგობრობაზე, რომელიც, ბუნებრივია, უკვე დარწმუნდა, რომ ცენტრალური ხელისუფლებისთვის მიუღებელია ყველაფერი ღირებული, რაც იქმნება ან ხდება აჭარაში."**

*მედია-ნიუსი*

# ზეიმი დამხმარე სკოლაში



მარიკა ამირეჯიბაშვილის ფოტო

*ეს ბავშვები სანდრას არ მოსცილებიან.*

*გუშინ საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი და განათლების და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია თბილისის პირველ დამხმარე სკოლას ეწვივნენ. ისინი დაესწრნენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა და მოზარდთა სარეაბილიტაციო ცენტრ "ღია სტუდიის" და ინტეგრირებული სპორტული მოედნის საზეიმო გახსნას.*

თბილისის პირველ დამხმარე სკოლაში ფერად-ფერადი ბუშტების, ჰოლანდიური ტიტებისა და ტრადიციული ტკბილი სუფრის ფონზე, საზეიმოდ გახსნილი სარეაბილიტაციო ცენტრი და სპორტული მოედანი ამავე სკოლის მოსწავლეთა მშობლების დაუღალავი შრომის ნაყოფია. მშობლების მიერ დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციის " მშობელთა ხიდის" ხელმძღვანელი თეონა ყაჭეიშვილი სამი წლის განმავლობაში ყველას სთხოვდა დახმარებას, მაგრამ ყველგან უარით გამოისტუმრეს. ერთმა ცნობილმა ბიზნესმენმა, ამჟამად პარლამენტარმა, ისიც კი უთხრა,- შენი შვილი თუ ამდენი წელი იყო სტადიონის გარეშე, ცოტა ხანს კიდევ მოითმენსო. მაგრამ, ახალგაზრდა დედა სიძნელეებს არ შეეპუა. ბოლოს გამოჩნდა ღვთისნიერი პიროვნება საერთაშორისო ორგანიზაციის, "ჟენევის ინიციატივა ფსიქიატრიაში", ხელმძღვანელი იან ვორისეკი, რომლის ფინანსური მხარდაჭერით, მოხერხდა სკოლის შენობის, დანგრეული 110 კვადრატული მეტრის ფართის გარემონტება, ლამინირებული იატაკის დაგება, სველი წერტილებისთვის ახალი გაყვანილობის გაკეთება. მომდევნო ათი თვის განმავლობაში იგი "ცენტრის" ექვსი პედაგოგის ხელფასებზეც იზრუნებს.

ჰოლანდიელი ბატონის მიერ დაწყებულ სასიკეთო საქმეს შემდეგ სხვებიც შეუერთდნენ: საზეიმო გახსნისთვის "ცენტრს" გაერო-ს ოფისმა კარადა და ორი სკამი აჩუქა, საერთაშორისო ქალთა ასოციაციამ - მერხებისა და წყლის გამათბობლისთვის თანხა გადასცა, ხოლო "კანარგო-სტანდარტ ოილის" ხელმძღვანელობამ შვიდასი ლარი გადარიცხა დარჩენილი კოსმეტიკური სამუშაოებისთვის. მერე დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობაც შეწუხდა. სპორტულ მოედანსა და ეზოში შესასვლელ გადათხრილ გზაზე ასფალტი დააგო.

სკოლის აღსაზრდელები გახარებულები იყვნენ იმით, რომ მათ უკვე აქვთ "სტუდია", სადაც ყოველდღიურად სკოლის მეცადინეობების შემდეგ დაკავდებიან. იქ მათ მყუდრო, ლამაზ გარემოში ჩაუტარდებათ არა მხოლოდ მუსიკისა და ხატვის გაკვეთილები, არამედ ექნებათ თოჯინების თეატრი და სპორტის გაკვეთილები ახალგარემონტებულ მოედანზე, რომელზეც მათთან ერთად ჯანმრთელი ბავშვებიც ივარჯიშებენ. ინტეგრირებული სწავლების არსიც ხომ სწორედ ესაა.

# გურიის სამართალდამცველთა მიერ ძებნილები თავს აჭარას აფარებენ

**"ოზურგეთში ოპერატიული ვითარება დაძაბული და არამართვადია, პოლიცია კი - არაპროფესიონალი და უსუსური"**, - მიიჩნევენ გურიის სამხარეო ადმინსიტრაციაში.

**"იქმნება შთაბეჭდილება, რომ დამნაშავეთა სამყარომ უფრო კარგად აუღო ალღო ახალ წესწყობილებას, ვიდრე პოლიციამ"**, - განაცხადა გუშინ გამართულ სამხარეო ადმინისტრაციის სხდომაზე პრეზიდენტის რწმუნებულმა ვახტანგ გოლიაძემ. სხდომაზე განიხილეს მხარეში მართლწესრიგის, კანონიერების დაცვისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები.

"ვარდების რევოლუციის" შემდეგ გურიაში სამხარეო ადმინისტრაციის სხდომა პირველად ჩატარდა და ის პოლიციის ხელმძღვანელებისა და სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შორის კამათით, დაპირისპირებითა და მთელ რიგ საკითხებში შეუთანხმებლობით დასრულდა.

გურის სამხარეო ადმინისტრაცია ადგილობრივი პოლიციის მუშაობას არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევს. თუმცა ოზურგეთის პოლიციის უფროსის გოგი გოგოლაძის განცხადებით, რაიონში არსებული სიტუაცია ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისია და არაფერი განსაკუთრებული ამ მხრივ ოზურგეთში არ ხდება.

ოფიციალური მონაცემებით, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ოზურგეთში მკვეთრად იმატა სხვადასხვა სახის დანაშაულებმა, მათ შორის -მკვლელობების რიცხვმა.

თავის მხრივ, გურიის სამხარეო პროკურატურა აჭარის ხელისუფლებას ძებნილების მფარველობაში ადანაშაულებს. **"დღეისათვის აჭარის ტერიტორიას თავს აფარებს უამრავი ძებნილი, რაც ხელს უწყობს არაჯანსაღი კრიმინოგენული ვითარების ჩამოყალიბებას გურიის მხარეში"**, - განაცხადა სამხარეო ადმინისტრაციის სხდომაზე გურიის საოლქო პროკურორმა ვახტანგ მიქატაძემ. მისივე განცხადებით, ძებნილთა დაკავების მიზნით ოპერაციების ჩატარება აჭარის ტერიტორიაზე გარკვეული მიზეზების გამო არ ხორციელდება.

დღეისათვის გურიის სამხარეო სამართალდამცველების მიერ 50-ზე მეტი დამნაშავე იძებნება. საოლქო პროკურატურაში ვერ აკონკრეტებენ ზუსტ ინფორმაციას, თუ ძებნილთა რა რაოდენობა აფარებს თავს აჭარის ავტონომიას.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** დღეს ჟენევის სტრატეგიულ კვლევათა საერთაშორისო ცენტრში დაგეგმილ შეხვედრაზე ქართული და აფხაზური მხარეების წარმომადგენლები აფხაზეთში უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების შემუშავების პერსპექტივებს განიხილავენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ექსპრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ საგანგებო წერილით მიმართა გაერო-ს გენერალურ მდივანს კოფი ანანს და რუსული სააგენტოების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას შეეხო, რომელიც თითქოს კოფი ანანის წარმომადგენლის განცხადებას ეხება. კოფი ანანის პასუხის მიღების შემთხვევაში, ფართო საზოგადოებისთვის ორივე წერილის შინაარსი გახდება ცნობილი**. პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ქვრივი მანანა არჩვაძე-გამსახურდია ხელისუფლებას ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მფარველობაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ხელისუფლება შევარდნაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას და მის პასუხისგებაში მიცემას არ აპირებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ახალი მოწვევის პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატები ორ ფრაქციას შექმნიან - "დამოუკიდებელი მაჟორიტარები" და "მაჟორიტარები". "დამოუკიდებელი მაჟორიტარების" ფრაქციაში 25 დეპუტატი გაერთიანდება. ფრაქცია ცენტრისტული ორიენტაციის იქნება, რომელიც პარლამენტის სხვა დეპუტატებს რიგ პრიორიტეტულ საკითხებზე კონსტრუქციულ თანამშრომლობას შესთავაზებს.

რაც შეეხება ფრაქცია "მაჟორიტარებს", მისი თავმჯდომარე, სავარაუდოდ, გახდება ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ბესო ჯუღელი, თავად ფრაქცია კი 22 პარლამენტარს გააერთიანებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი, ვიცე-ადმირალი გიგლა ირემაძე საბერძნეთში გაემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს ქართული მხარისთვის გრანტის სახით ახალი სარაკეტო კატარღის გადაცემის ცერემონიაში. **პრაიმ-ნიუსი**

## ოფიციოზი

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №124

*2004 წლის 20 აპრილი ქ.თბილისი*

საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) "ეროვნული უშიშროების საბჭოს შექმნის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 31 იანვრის N137 ბრძანებულების მე-2 პუნქტი;

ბ) "ავთანდილ იოსელიანის საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად დანიშვნისა და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 31 იანვრის N137 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 11 სექტემბრის N521 ბრძანებულების პირველი პუნქტი;

გ) "ვ.ქუთათელაძის ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად დანიშვნისა და "ეროვნული უშიშროების საბჭოს შექმნის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 31 იანვრის N137 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 2 ნოემბრის N616 ბრძანებულების პირველი პუნქტი;

დ) "დ. ონოფრიშვილის ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად დანიშვნისა და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 31 იანვრის N137 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 23 ნოემბრის N658 ბრძანებულების პირველი პუნქტი;"

გ)"ჯ. ხეცურიანის ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად დანიშვნისა და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 31 იანვრის N137 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის N415 ბრძანებულების პირველი პუნქტი;

ვ)"გ. არსენიშვილის საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად დანიშვნისა და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 31 იანვრის N137 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 16 მაისის N187 ბრძანებულების პირველი პუნქტი;

ზ)"ს. მოლაშვილის საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად დანიშვნისა და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 31 იანვრის N137 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 31 მაისის N222 ბრძანებულების პირველი პუნქტი;

თ)"მ.კაკაბაძის საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად დანიშვნისა და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 31 იანვრის N137 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 5 ივნისის N249 ბრძანებულების პირველი პუნქტი;

ი)"მ.სააკაშვილის საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად დანიშვნისა და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 31 იანვრის N137 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 12 ოქტომბრის N446 ბრძანებულების პირველი პუნქტი;

კ)"გ. მეფარიშვილის საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად დანიშვნისა და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 31 იანვრის N137 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 5 მარტის N80 ბრძანებულების პირველი პუნქტი;

ლ)"მ.გოგიაშვილის საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად დანიშვნისა და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 31 იანვრის N137 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 3 აგვისტოს N306 ბრძანებულების პირველი პუნქტი;

მ)"რ.გილიგაშვილის საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად დანიშვნისა და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 31 იანვრის N137 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 8 ოქტომბრის N404 ბრძანებულების პირველი პუნქტი;

ნ)"ი.ბოჭორიძის საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად დანიშვნის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 8 მაისის N227 ბრძანებულების პირველი პუნქტი;

ო)"ვ.უგულავას საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად დანიშვნისა და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 31 იანვრის N137 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 4 ივნისის N272 ბრძანებულების პირველი პუნქტი;

პ)"ზ.ჟვანიას საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად დანიშვნისა და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 31 იანვრის N137 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 28 ნოემბრის N583 ბრძანებულების პირველი პუნქტი;

ჟ)"გ.ბარამიძის საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად დანიშვნისა და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 31 იანვრის N137 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 28 ნოემბრის N584 ბრძანებულების პირველი პუნქტი;

რ)"ზ.ნოღაიდელის საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად დანიშვნისა და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 31 იანვრის N137 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 28 ნოემბრის N585 ბრძანებულების პირველი პუნქტი;

ს)"მ. ბეგიაშვილის საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად დანიშვნისა და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 31 იანვრის N137 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 8 დეკემბრის N597 ბრძანებულების პირველი პუნქტი;

ტ)"ზ.ადეიშვილის საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად დანიშვნისა და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 31 იანვრის N137 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 28 დეკემბრის N630 ბრძანებულების პირველი პუნქტი;

უ)"ი.ოქრუაშვილის საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად დანიშვნისა და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 31 იანვრის N137 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 22 იანვრის N29 ბრძანებულების პირველი პუნქტი;

ფ)"ი. მერაბიშვილის საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად დანიშვნისა და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 31 იანვრის N137 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 30 იანვრის N34 ბრძანებულების პირველი პუნქტი;

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №125

*2004 წლის 20 აპრილი. ქ. თბილისი*

საქართველოს სამხედრო ძალებში 2004 წელს მოქალაქეთა საგაზაფხულო გაწვევისა და სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ სამხედრო მოსამსახურეთა სამხედრო ძალებიდან დათხოვნის შესახებ.

"სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს შესაბამისად საქართველოს სამხედრო ძალებში 2004 წელს მოქალაქეთა საგაზაფხულო გაწვევის ორგანიზებულად მოწყობის მიზნით:

1. 2004 წლის გაზაფხულზე საქართველოს სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა რაოდენობა განისაზღვროს 8430 კაცით, მათ შორის:

ა) საქართველოს შეიარაღებულ ძალებში - 4000;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებში - 2800;

გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო ძალებში - 1000;

დ) საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში - 130.

2. "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე მოქალაქეთა საგაზაფხულო გაწვევა გაიმართოს 2004 წლის 26 აპრილიდან 2004 წლის 31 ივლისამდე.

საქართველოს სამხედრო ძალებში გაწვეულ იქნენ 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც არა აქვთ სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების ან გადავადების უფლება.

3. "საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში საკონტრაქტო სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 25 აპრილის №159 ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში საკონტრაქტო სამსახურის გასავლელად გათვალისწინებულ იქნეს 500 წვევამდელი.

4. შეიქმნას ქალაქებსა და რაიონებში გამწვევი კომისიები შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის ორგანოს ხელმძღვანელის თავმჯდომარეობით.

5. დამტკიცდეს საქართველოს ცენტრალური გამწვევი კომისიის თანდართული შემადგენლობა. საქართველოს ქალაქებისა და რაიონების გამწვევი კომისიების მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა და კონტროლი განახორციელოს ცენტრალურმა გამწვევმა კომისიამ.

6. საქართველოს მცხოვრები 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ამ ბრძანებულების გამოქვეყნების დღიდან ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ ადგილობრივი მმართველობის ორგანოს სამხედრო განყოფილებაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

7. სამხედრო ძალებისთვის ახალწვეულების ორგანიზებულად გადაცემისათვის შეიქმნას წვევამდელთა შემკრებ-გამანაწილებელი პუნქტები:

ა) ქ.თბილისში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობისა და საორგანიზაციო-სამობილიზაციო მთავარი სამმართველოს ბაზაზე (თბილისი, დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი, 2/ბ კორპუსი);

ბ) ქ. ქუთაისში ადგილობრივი მმართველობის ორგანოს სამხედრო განყოფილების შენობაში.

8. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ (გ.ბეჟუაშვილი) პირადი შემადგენლობისა და საორგანიზაციო-სამობილიზაციო მთავარი სამმართველოს შენობის პირველ სართულზე გამოყოს სათანადო სამუშაო ფართობი თბილისის შემკრებ-გამანაწილებელი პუნქტის განთავსებისთვის.

9. ცენტრალური გამწვევი კომისიის თავმჯდომარემ ქ.თბილისსა და ქ.ქუთაისის შემკრებ-გამანაწილებელი პუნქტების პირადი შემადგენლობის დროებითი შტატი და მუშაობის წესი განსაზღვროს თავისი განკარგულებით.

10. შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტებზე წვევამდელთა სამედიცინო შემოწმება განახორციელოს ცენტრალურ გამწვევ კომისიასთან არსებულმა მუდმივმოქმედმა სამხედრო სამედიცინო-საექსპერტო კომისიამ. ამავე კომისიას დაევალოს რაიონებისა და ქალაქების გამწვევი კომისიების მიერ წვევამდელთა სამხედრო სამსახურისთვის ვარგისიანობაზე მიღებული გადაწყვეტილების კონტროლი.

11. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ (გ.წერეთელი)"

ა) ქალაქებისა და რაიონების გამგეობებთან ერთად უზრუნველყოს წვევამდელთა სამედიცინო შემოწმების ორგანიზება და კოორდინაცია ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე;

ბ) განუსაზღვროს ქალაქებისა და რაიონების გამწვევ კომისიებს ის სამედიცინო დაწესებულებები, სადაც გაიგზავნებიან წვევამდელები დამატებითი სამედიცინო გამოკვლევებისათვის;

გ) კოორდინაცია გაუწიოს ქალაქებისა და რაიონების სამედიცინო კომისიების, აგრეთვე მუდმივმოქმედი სამხედრო სამედიცინო-საექსპერტო კომისიის მიერ შესრულებული სამუშაოებისა და მოქალაქეთა დამატებითი სტაციონარულ-ამბულატორიული სამედიცინო გამოკვლევების ხარჯების ანაზღაურებას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. მოქალაქეთა მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადავადების მოსაკრებლის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში, სავალდებულო სამხედრო სამსახურის გაწვევის უწყების მიღებიდან ათი დღის ვადაში.

13. საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებმა, ქალაქების მერებმა, რაიონების გამგებლებმა, სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის გამგებლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ გაწვევის ორგანიზებულად მოწყობის საქმეში. სამხედრო განყოფილებებს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე გამოუყონ საჭირო შენობები, ტექნიკური მუშაკები, ავტოტრანსპორტი.

14. დათხოვნილ იქნენ სამხედრო ძალებიდან რეზერვში ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებმაც კანონით დადგენილ ვადებში მოიხადეს სამხედრო სავალდებულო სამსახური.

საქართველოს ქალაქებისა და რაიონების ხელისუფლების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა არსებული კანონმდებლობის შესაბამისად ვადიანი სამხედრო სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ მოქალაქეებს დახმარება გაუწიონ შრომითი მოწყობის, სწავლის გაგრძელებისა და სხვა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარებაში.

15. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ადგილობრივი მმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის საკოორდინაციო სამსახურმა (თ.ხიდაშელი) და საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებმა პერიოდულად მომახსენონ მოქალაქეთა საგაზაფხულო გაწვევის მიმდინარეობის შესახებ.

16. ვთხოვოთ მასობრივი ინფორმაციის სა შუალებებს ფართოდ გააშუქონ საგაზაფხულო გაწვევისა და სამხედრო ძალებიდან ვადიან სამხედრო მოსამსახურეთა რეზერვში დათხოვნის მიმდინარეობა და ამ ღონისძიებათა სახელმწიფო მნიშვნელობა.

17. ამ ბრძანებულების შესრულების კონტროლი განახორციელოს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატმა (ი. მერაბიშვილი).

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს ცენტრალური გამწვევი კომისიის შემადგენლობა

**ივანე მერაბიშვილი** - საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში - ეროვნული უშიშრიების საბჭოს მდივანი, კომისიის თავმჯდომარე.

**ლევან ნიკოლეიშვილი** - საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის თავდაცვის საკითხთა დეპარტამენტის დირექტორი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

**თამაზ ხიდეშელი** - საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ადგილობრივი მმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის საკოორდინაციო სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

**ლაშა მერკვილაძე** - საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საიდუმლოების დაცვის დეპარტამენტის მთავარი მრჩეველი, კომისიის მდივანი

**ალექსანდრე დიდებულიძე** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე

**ვახტანგ კაპანაძე** - საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე

**ლერი კვახაძე** - მუდმივმოქმედი სამხედრო სამედიცინო-საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე

**ტარიელ წიკლაური** - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების შტაბის უფროსი

**ირაკლი ნადირაძე** - საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე

**კორნელი სალია** - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის შტაბის უფროსი

**ირაკლი სესიაშვილი** - არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართალი და თავისუფლების" დირექტორი

**გიორგი ტონკონოგოვი** - საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის თავდაცვის საკითხთა დეპარტამენტის მთავარი მრჩეველი

**მერაბ ქორჩილავა** - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე

**პაატა ჯახუტაშვილი** - საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორი, გენერალური პროკურორის მოადგილე.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# აჭარაში დარჩნენ უკანონო პატიმრები

*ასლან აბაშიძის "საპატიო ტყვეობიდან" ახლახან თავდახსნილი თენგიზ ასანიძე, ოპოზიციური გაერთიანება "ჩვენი აჭარის" წარმომადგენლის რანგში, პირველ პრესკონფერენციას მართავს. მისი თქმით, აჭარის უშიშროების სამინისტროს იზოლატორსა და ბათუმის № 3 საპყრობილეში კიდევ დარჩა ხალხი, ვისთან მიმართებაშიც კანონი უხეშად ირღვევა.*

გიორგი ასანიშვილი

საქმე ეხება ხელვაჩაურის რაიონის პოლიციის უფროსის ვაჟა გოგიტიძის მკვლელობისთვის 1994 წელს გასამართლებულ პატიმრებს, რომელთა ნაწილი (დავით ასანიძე, მამუკა მოსიავა, დავით ჯაბუა, ჯონი ხვადაგიანი, თამაზ ჯინჭარაძე, ივანე შადუროვი და ჯუმბერ ყულეჯაშვილი) აჭარის უშიშროების სამინისტროს იზოლატორში იხდიან სასჯელს, ხოლო დანარჩენები (მამია და უსუფ ქოქოლაძეები, აგრეთვე ნოდარ, ზაურ და ვახტანგ შოთაძეები) - "ურეხის ციხედ" წოდებულ ბათუმის №3 საპყრობილეში იმყოფებიან. არადა, სასამართლოს გადაწყვეტილებით, თითოეულ მათგანს მკაცრი რეჟიმის კოლონიაში უნდა მოეხადა სასჯელი.



თენგიზ ასანიძეს პატიმრების აბაშიძის კლანჭებიდან გამოხსნის იმედი აქვს.

თენგიზ ასანიძის თქმით, ამით უხეშად ირღვევა ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციის მეექვსე მუხლი. ამასთან, ყოფილი პატიმარი ბათუმის იზოლატორში არსებულ გაუსაძლის პირობებზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ ამ დაწესებულებაში სასჯელის მოხდა პატიმართა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის.

თენგიზ ასანიძე თავს არიდებს იმაზე საუბარს, ზემოთ დასახელებული პირები რამდენად კანონიერად იხდიან სასჯელს. იგი მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ თუ კანონი აღსრულდება და მსჯავრდებულებს მკაცრი რეჟიმის კოლონიაში გადაიყვანენ (აჭარის ტერიტორიაზე სასჯელაღსრულების კოლონია არ არსებობს), გამორიცხული არ არის, მათ საქმეში ახალი გარემოებები გამოიკვეთოს და გამომჟღავნდეს, რამდენად ობიექტურია სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი.

# მთავრობაში არანაირი ცვლილება არ იგეგმება

ვერიკო თევზაძე

**"მე მინდა კატეგორიულად ვთქვა, რომ ჩვენ უახლოეს მომავალში არ ვგეგმავთ არანაირ, მით უფრო, მასშტაბურ ცვლილებებს",** - ამ განცხადების გაკეთებისას პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი არა მარტო საკუთარ, არამედ პრეზიდენტ სააკაშვილის პოზიციასაც გამოხატავს.

მინისტრებო, თქვენ გეუბნებით, ჟურნალისტებო, თქვენ გაიგონეთ! - დაახლოებით, მსგავს განწყობილებას ქმნიდა ბატონ ჟვანიას განცხადება. პრემიერ-მინისტრმა გუშინ მთავრობის წევრებთან სპეციალური თათბირი ჩაატარა. რამდენიმე წუთით უფრო ადრე კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, მინისტრებს მათთვის სასიამოვნო და გასამხნევებელი ინფორმაცია მიაწოდა.

ჟვანიას, როგორც ყოველთვის, არც ამჟამად შეშლია გამოთქმების შერჩევა, თუმცა ფაქტია, რომ პრემიერი მასმედიის საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციებით გაღიზიანებული თუ არა, სულ ცოტა, შეწუხებულია: **"არ შემიძლია გვერდი ავუარო ჩემთვის სრულიად მოულოდნელ და გაუგებარ აჟიოტაჟს, რომელიც მასმედიაშია ატეხილი მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში თითქოსდა განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით... თუ გვექნება რაიმე პრეტენზია ამა თუ იმ მინისტრის ან უწყების ხელმძღვანელის მიმართ, ისინი ამას, პირველ რიგში, ჩვენგან გაიგებენ და არა პრესის საშუალებით. ასე რომ, მითქმა-მოთქმას მინდა წერტილი დავუსვა."**

ჟურნალისტებს ნამდვილად არ სწყინთ პრემიერ-მინისტრისა და თავიანთი პროფესიული მოვალეობის შესრულებას ჩვეული რიტმით აგრძელებენ: გუშინ ისინი მინისტრებს კვლავ უსვამდნენ შეკითხვებს - ხომ კარგად გიკითხოთ, შავ სიაში ხომ არ მოიაზრებთ თავსო. ეკონომიკის მინისტრი, ამ მხრივ, ისევ აქტუალურ რესპონდენტად რჩებოდა - მას იმის დაკონკრეტებაც კი მოსთხოვეს, შეცვლის თუ არა ირაკლი რეხვიაშვილს განათლების მისაღებად ამერიკაში მყოფი ლექსო ალექსიშვილი?

რაც შეეხება თათბირს მთავრობის წევრებთან, იგი ქვეყნის მასშტაბით პრიორიტეტების წარმოჩენას ეხებოდა. საქმე ის გახლავთ, რომ ბრიუსელში მზადდება დონორი ქვეყნების მნიშვნელოვანი კონფერენცია. საქართველოს მთავრობის საქმიანობის მხარდასაჭერად გათვალისწინებულია დამატებითი თანხების გამოყოფა. აქედან გამომდინარე, ქვეყნის პრემიერ-მინისტრს თითოეულმა სამინისტრომ წარუდგინა პრიორიტეტები თავისი დარგის განვითარებისთვის.

გუშინდელ განცხადებაში ზურაბ ჟვანიამ საგანგებოდ აღნიშნა, რომ ძალოვანი მინისტრები უშუალოდ სააკაშვილის დაქვემდებარებაში იმყოფებიან და პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტამდე მათ არანაირი საფრთხე არ ემუქრებათ.

# გენერალი დუმბაძე - პაიკი ასლან აბაშიძის ხელში

პირველი გვერდიდან

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ რომან დუმბაძემ, ფაქტობრივად, თავი კანონგარეშე დააყენა. უზენაესმა სასამართლომ კი გენერლის დაკავების სანქცია გასცა.

თავისთავად, თავდაცვის სამინისტროს 25-ე მოტომსროლელი ბრიგადის ხელმძღვანელის ქმედებები აშკარად სისხლის სამართლის დანაშაულია და სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტულ სადამსჯელო ნაბიჯებს ითხოვს. შეგახსენებთ, რომ დუმბაძეს ბრალი ედება სამშობლოს ღალატში, რაც სამხედრო ხელისუფლების უკანონოდ ხელში ჩაგდებასა და შეიარაღებული ფორმირებების შექმნაში გამოიხატება.

გარდა ამისა, გენერალური პროკურორის ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, პროკურატურა გენერალს იარაღის, საბრძოლო მასალის უკანონო შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის და თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებებსაც უყენებს. ამავე დროს, ჩოლოქის ცნობილი მოვლენების დროს 25-ე ბრიგადიდან ტექნიკის უნებართვო გადაადგილება სწორედ დუმბაძის ბრძანების საფუძველზე მოხდა. ოქრუაშვილი აცხადებს, რომ ინფორმაცია სანქციის გაცემის თაობაზე უკვე გადაეგზავნა საერთაშორისო ქსელს.

თავდაცვის მინისტრი გელა ბეჟუაშვილიც დუმბაძის დაუმორჩილებლობას სამშობლოს ღალატის კვალიფიკაციას აძლევს. **"თავდაცვის სამინისტრო 25-ე ბრიგადაში სიტუაციას აკონტროლებს, დუმბაძეს კი არც კანონიერი და არც მორალური უფლება აქვს, ჯარისკაცებთან ჰქონდეს საქმე. მე პროკურორი არ ვარ და მომხდარს კვალიფიკაციას ვერ მივცემ, მაგრამ სამხედრო პირის ქვეყნის მთავარსარდლისადმი დაუმორჩილებლობა სამშობლოს ღალატია, მოღალატეებს კი კანონის მთელი სიმკაცრით უნდა მოვექცეთ. საზოგადოებამ თითოეული ასეთი ფაქტი უნდა დაგმოს,"** - ასეთი კატეგორიულია თავდაცვის მინისტრი.

ამასობაში კი, რომან დუმბაძე საკმაოდ პროვოკაციულ განცხადებებს აკეთებს და ამბობს, რომ საკუთარი მოვალეობების შესრულებას განაგრძობს და გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს მისი ადგილი ვიქტორ მიქელაძემ დაიკავა, სინამდვილეს არ შეესაბამება. უფრო მეტიც, მისი მტკიცებით, პრეზიდენტ სააკაშვილის მხრიდან წაყენებული ბრალდებები უსაფუძვლოა, რადგან იგი ცენტრალურ ხელისუფლებას, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და პრეზიდენტს აღარ ემორჩილება და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის განკარგულებაში გადადის.

გენერლის ჩინის მქონე ადამიანის მხრიდან ეს საკმაოდ აბსურდულ განცხადებად აღიქმება და, ერთი შეხედვით, უვიცის ნაბოდვარს ჩამოჰგავს. თუმცა, მეორე მხრივ, ეს იმ პოლიტიკური საჭადრაკო პარტიის მორიგი სვლაა, რომელსაც ასე გულმოდგინედ ათამაშებს ასლან აბაშიძე. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე პირდაპირ აცხადებს, რომ რომან დუმბაძის ქმედება ცენტრსა და რეგიონს შორის დაპირისპირებისკენ გადადგმული ნაბიჯია. პარლამენტის თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ გენერალი მთავარსარდალსა და პრეზიდენტს აუცილებლად უნდა ექვემდებარებოდეს.

ერთი სიტყვით, ასლან აბაშიძე საკუთარი პოზიციების შესანარჩუნებლად იბრძვის, ყველა მისაღები და მიუღებელი ხერხებით. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ აბაშიძე ნებისმიერი შედეგისთვის არის მზად - როგორც მოგებისთვის, ასევე წაგებისთვის.

სულ სხვაგვარად არის საქმე რომან დუმბაძესთან დაკავშირებით, რომელიც ამ პარტიაში მხოლოდ შესაწირი პაიკია და მხოლოდ დროის საქმეა, როდის აღმოჩნდება იგი საჭადრაკო დაფის მიღმა. ლოგიკურად, ეს, პირველ რიგში, თავად დუმბაძეს უნდა ესმოდეს. ამის მიუხედავად, იგი პაიკის ფუნქციას კვლავ ასრულებს. ეს კი ნიშნავს, რომ მას აბაშიძის მხრიდან უსაფრთხოების საკმაოდ სერიოზული გარანტიები აქვს მიღებული, მეორე მხრივ კი, დარწმუნებულია, რომ სისხლის სამართლის კონკრეტული დანაშაული კრიმინალურ სფეროს მალე გასცდება და პოლიტიკურ სიბრტყეში გადაინაცვლებს. შესაბამისად, სერიოზულ კრიმინალურ დანაშაულს, რომელსაც უკვე მინიჭებული აქვს სამშობლოს ღალატის კვალიფიკაცია, პოლიტიკური სარჩული დაედება და აშკარა ანტისახელმწიფოებრივი და ანტიკონსტიტუციური ქმედებები პოლიტიკური მრწამსით გამართლდება. თუმცა, რა მოტივაციაც არ უნდა დასახელდეს გენერლის მხრიდან, იგი, უბრალოდ, სისხლის სამართლის დამნაშავეა და არა სინდისის მომავალი ტუსაღი.

თავის დროზე, როდესაც ასლან აბაშიძემ საკუთარ თავს მოარგო ავტონომიის კონსტიტუცია და თავი უმაღლეს მთავარსარდლად გამოაცხადა, ცენტრალურმა ხელისუფლებამ იმდენად გაუგებარი პოზიცია დაიკავა, რომ დღესაც ბევრს ერთი კონკრეტული კითხვა უჩნდება - ხომ არ იყო ეს ედუარდ შევარდნაძესთან შეთანხმებული ქმედებები.

ორი ჯარი, ორი მთავარსარდალი - ეს საქართველოს კონსტიტუციის ისეთი აშკარა დარღვევა იყო, რომ პირდაპირ ითხოვდა შესაბამის სამართლებრივ სანქციებს.

მაშინ ედუარდ შევარდნაძეს ასლან აბაშიძისთვის პასუხი არ მოუთხოვია. ამ პოლიტიკური ავანტიურის შედეგებს კი საქართველო დღეს იმკის - ასლან აბაშიძეს პოლიტიკური სპეკულაციისთვის ხელ-ფეხი აქვს გახსნილი.

გენერალი დუმბაძე კი განცხადებებს განცხადებებზე "აცხობს". ასე მაგალითად, მისი მტკიცებით, ასლან აბაშიძის განკარგულებაში არა მხოლოდ იგი, არამედ მთელი 25-ე მოტომსროლელი ბრიგადა გადადის, რომელშიც 547 სამხედრო იხდის სამსახურს. **"ამის უფლება ნამდვილად გვაქვს, რადგან ასლან აბაშიძე, აჭარის კონსტიტუციით, მთავარსარდალია,"** - ასეთი არგუმენტები ისმის დუმბაძის მხრიდან.

"ჩვენი აჭარის" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ აჭარაში გენერალ დუმბაძეს საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვს. შესაბამისად, თუ პროკურატურა და თავდაცვის სამინისტრო დროზე არ ჩაერევიან ამ საკითხში და კანონით გათვალისწინებულ ქმედებებს არ განახორციელებენ, მაშინ ქართული სახელმწიფოებრიობა რეალური საფრთხის წინაშე დადგება.

ამასობაში ბათუმის 25-ე მოტომსროლელ ბრიგადას ოფიცრები ტოვებენ. გუშინ თბილისში ჩამოვიდა 17 ოფიცერი, რომლებმაც ბრიგადის შემადგენლობაში ყოფნაზე უარი განაცხადეს. ისინი დროებით შინაგანი ჯარების შემადგენლობაში გაერთიანდებიან და მათ ბრიგადის მეთაურის მოვალეობის შემსრულებელი ვიქტორ მიქელაძე უხელმძღვანელებს. საგულისხმოა, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა ოფიცრების საქციელი გმირობად შეაფასა და მათ მაღალ თანამდებობებსა და მაღალანაზღაურებად სამსახურს დაჰპირდა.

**"ამ ოფიცრებმა ნაწილი უნებართვოდ მიატოვეს და შეურაცხყვეს მუნდირის ღირსება, ამიტომაც აჭარის სამხედრო პროკურატურაში მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმე ღალატის მუხლით აღიძვრება,"** - თავის მხრივ, ასეთი ცინიკური განცხადება გააკეთა გენერალმა დუმბაძემ.

ფარმაცევტული კომპანია აცხადებს მიღებას:
1. სამედიცინო წარმომადგენლის ვაკანსიაზე (ასაკი 35 წლამდე) ქ. თბილისში.
2. სამედიცინო წარმომადგენლის ვაკანსიაზე (ასაკი 35 წლამდე) ქ. თელავში.
საბუთები მიიღება ფარმაცევტული კომპანია "პი-ეს-პი"-ს ოფისში 06.05.04-მდე
მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ.148/III
დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით კომპანია "პი-ეს-პი"-ს საინფორმაციო სამსახურის ტელეფონზე: 911101




## ქუთაისის მერი მიდის

ქუთაისის მერი რამდენიმე დღეში გადადგება. ასეთი განცხადება გუშინ თავად ნუგზარ ფალიანმა გააკეთა, სპეციალურად ამ თემისადმი მიძღვნილ ბრიფინგზე. გადადგომამდე კი მან ქუთაისის მთავრობა უნდა დააკომპლექტოს, რომელიც რამდენიმე თვის წინ თვითონვე დაითხოვა.

ამისათვის კი ნუგზარ ფალიანმა ვიცე მერები და სამსახურების ხელმძღვანელები დასამტკიცებლად საკრებულოს, ერთი კვირის ვადაში უნდა წარუდგინოს. აღნიშნულ ორგანოს კი თავისი გაჭირვება ჰყოფნის - საკრებულოს თავმჯდომარე დათო ბენიძე სამართალდამცავების მიერ თვეზე მეტია იძებნება. მართალია საკრებულოს უიმისოდაც შეუძლია ქუთაისის მთავრობის დამტიკცება, მაგრამ რწმუნებული დათო მუმლაძე დაჟინებით მოითხოვს, რომ მთავრობის დამტკიცებამდე საკრებულომ თავმჯდომარე აირჩიოს. მთელ პროცედურას, სავარაუდოდ, ერთი კვირა დასჭირდება, სწორედ აღნიშნულის შემდეგ გააკეთებეს ქუთაისის მერი გადადგომის შესახებ ოფიციალურ განცხადებას. ასეთი სახის შეთანხება ქუთაისის მერს, რწმუნებულსა და მოშიმშილეებს შორის უკვე მიღწეულია.

**"მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ქუთაისს და ქუთაისელ ამომრჩევლებს იმისათვის, რომ მათგან განვლილ პერიოდში ძალიან დიდი თანადგომა მივიღე, მაგრამ სამაგიეროდ, როგორც ქალაქის მერმა ბევრი რამ ვერ შევძელი. მე პირადად, როგორც ქუთაისის მერი, ღმერთის, ქუთაისელებისა და საკუთარი სინდისის წინაშე მართალი ვარ. რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია მთლიანობაში არ გამოხატავს ქუთაისის აზრს, მაგრამ მე თანამდებობის ფასად არ მიღირს, თუნდაც ერთ მოშიმშილის ჯანმრთელობის გაუარესება,"** - განაცხადა პრესკონფერენციაზე ნუგზარ ფალიანმა. მერის აღნიშნული განცხადების შემდეგ აქციის მონაწილეებმა შიმშილობა შეწყვიტეს.

**"შიმშილობა შევწყვიტეთ იმიტომ, რომ მიღწეულია შეთანხმება. ნუგზარ ფალიანი, შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ, გააკეთებს განცხადებას და გადადგება. აღნიშნულის შესახებ პასუხისმგებლობა რწმუნებულმა დავით მუმლაძემ აიღო, რომელიც მოლაპარაკებების პროცესში მედიატორი იყო,"**- განაცხადა დემოკრატიის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელმა გიგა შუშანიამ.

*ბექა სისაური, ქუთაისიდან*

# ქველმოქმედების წახალისება თუ გადასახადებისთვის თავის არიდება?

*შესაძლოა, მალე ქველმოქმედება დაბეგვრისაგან გათავისუფლდეს. ფინანსთა სამინისტროს ამ ინიციატივას, ეკონომიკური ექსპერტების სახით, ოპონენტები უკვე გამოუჩნდნენ. არადა, იმ დეპუტატების განწყობით თუ ვივარაუდებთ, რომლებსაც "24 საათი" დაუკავშირდა, წესით, ახალ პარლამენტში ამ კანონპროექტის განხილვამ და დამტკიცებამ უხმაუროდ უნდა ჩაიაროს.*

მარიამ ჭაჭავაძე

თავის დროზე შევარდნაძის ხელისუფლებას ოპონენტები, სხვა ბევრ რამესთან ერთად, იმის გამოც უკიჟინებდნენ, რომ მოქმედი კანონმდებლობით, ქველმოქმედება ჩვეულებრივი რეჟიმით იბეგრებოდა, რაც ბევრ მეწარმესა და ბიზნესმენს ქველმოქმედების ხალისს უკარგავდა. დღეს კი ასეთი კანონპროექტი, რომელიც საქველმოქმედო თანხებს გადასახადისგან ათავისუფლებს, კარგა ხანია მზად არის, თუმცა რამდენად გაუღვივებს ის ბიზნესმენებს ან უბრალო ადამიანებს კეთილი საქმეების კეთების სურვილს, მისი შინაარსიდან გამომდინარე, ძნელი სათქმელია.

კანონის ძალაში შესვლის შემთხვევაში ქველმოქმედებაში ის გარკვეულ შეზღუდვებს მაინც ითვალისწინებს. აი, რამდენიმე მათგანი:

კანონპროექტის თანახმად, ნებისმიერმა იურიდიულმა თუ კერძო პირმა ქველმოქმედება აუცილებლად ამ სტატუსის მქონე ორგანიზაციის საშუალებით უნდა განახორციელოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქველმოქმედი ჩვეულებრივი წესით დაიბეგრება.

იმავე კანონპროექტის ერთ-ერთი მუხლი ცალსახად განმარტავს დაუბეგრავი ქველმოქმედების ოდენობასაც. იურიდიულ პირს - მოგების, ფიზიკურ პირს კი - შემოსავლის მხოლოდ რვა პროცენტის ფარგლებში შეუძლია ქველმოქმედება გასწიოს, ისე, რომ არ დაიბეგროს. ანუ რვა პროცენტი არის ის მაქსიმუმი, რის დაკარგვასაც ფინანსთა სამინისტრო შეელევა. ამის ზევით კი მოგება და შემოსავალი კანონით გათვალისწინებული განაკვეთით დაიბეგრება.

სხვათა შორის, ხსენებული კანონპროექტი, ნოღაიდელის წინამორბედის დროს ფინანსთა სამინისტროს სპეციალურმა კომისიამ შეიმუშავა. თუმცა, გაურკვეული მიზეზების გამო, მაშინ ის საკანონმდებლო ორგანომდე არც კი მისულა.

ამჯერად კი ერთადერთი, რაც პარლამენტში, შესაძლოა, კამათის საგანი გახდეს, კანონში ჩამოთვლილ საქველმოქმედო საქმიანობის სახეებია.

ამ შესაძლო ცვლილებამ განსაკუთრებულად კულტურის, სპორტისა და ხელოვნების წარმომადგენლები გაახარა. გასული წლების სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ქველმოქმედებაზე გაწეული ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ სფეროებზე მოდიოდა. გადაარჩენს თუ არა ფინანსთა სამინისტროს ეს ინიციატივა საბოლოოდ კულტურას, დღეს რთული სათქმელია, თუმცა, როგორც კომპეტენტური ადამიანები ამბობენ, ეს შეღავათი ამოსუნთქვის საშუალებას ნამდვილად იძლევა.

კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე გოგი ნიჟარაძე დარწმუნებულია, რომ ამ ცვლილებების ამოქმედების შემდეგ ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზრდება ქველმოქმედების მოცულობაც და რაოდენობაც.

**"ვფიქრობ, რომ ეს სიახლე ცოტა დაგვიანებულია, თუმცა ძალიან საჭირო, მით უმეტეს მაშინ, როცა ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები ჩვენი სფეროს დასაფინანსებლად სულ უფრო და უფრო არასაკმარისი ხდება. ეს ცვლილება ბევრს ქველმოქმედების სურვილთან ერთად, რაც მთავარია, საშუალებასაც ნამდვილად გაუჩენს"**, - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს მინისტრის მოადგილემ.

კანონპროექტის ერთ-ერთი ოპონენტი ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის პრეზიდენტი თენგიზ შერგელაშვილი ამბობს, რომ ასეთი ტიპის შეღავათები, ნებისმიერ ქვეყანასა და პირობებში გადასახადების თავის არიდებისა და გარიგების რეალურ საშიშროებას ქმნის. ფინანსთა სამინისტროში კი ამბობენ, რომ ადმინისტრირების გამკაცრების პირობებში, გადასახადებისთვის თავის არიდება გამორიცხულია. სხვათა შორის, იმავე კანონპროექტში ნათქვამია, რომ თუკი მსგავს მანიპულირებაში ბიზნესმენთან ერთად საქველმოქმედო ორგანიზაციაც იქნება შემჩნეული, ამ უკანასკნელს, სულ მცირე, ერთი წლის ვადით ჩამოერთმევა სტატუსი და საგადასახადო შეღავათებით მიღებულ სარგებელთან ერთად, ჯარიმის სახით სარგებლის ოცდახუთი პროცენტის უკან დაბრუნებაც მოუწევს.

## მოკლედ

### სომხეთმა ქვეყნის ოქროს მარაგი გაყიდა

სომხეთის ცენტრალურმა ბანკმა ქვეყნის რეზერვში არსებული 1,4 ტონა ოქრო გაყიდა. საინფორმაციო სააგენტო "ინტერფაქსის" ცნობით, გარიგების დეტალები არ ხმაურდება. სომხეთის ცენტრალურ ბანკში მხოლოდ იმას აღნიშნავენ, რომ მსოფლიო ბაზარზე დაფიქსირებული ოქროს მაღალი ფასის გამო ბანკმა მისი გაყიდვა და მიღებული თანხით ქვეყნის სავალუტო რეზერვის შევსება გადაწყვიტა. ბანკის საინფორმაციო სამსახურის განცხადებით, "ოქროსა და ევროპულ ვალუტა - ევროს შორის შექმნილი თანხობრივი თანაფარდობის შესაბამისად, ქვეყანა არ დაზარალდება, თუ მას რეზერვში ოქროს ნაცვლად მყარი საერთაშორისო ვალუტა ექნება. დივერსიფიკაციის საერთაშორისო დონე მაინც შენარჩუნდება და ამავე დროს შემოსავალიც გაიზრდება". მათივე ინფორმაციით, 2004 წლის 1 აპრილის მონაცემებით, სომხეთის ცენტრალურ ბანკში არსებული სავალუტო რეზერვი ოქროს გარეშე 512 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

### მოსკოვი, კიევი და მინსკი საერთო ეკონომიკურ სივრცეს ქმნიან

რუსეთის, უკრაინის და ბელორუსიის პარლამენტები საერთო ეკონომიკური სივრცის შექმნის შესახებ სამთავრობათაშორისო შეთანხმების რატიფიცირების საკითხს განიხილავენ. აღნიშნულ პროცესში ყაზახეთიც მონაწილეობს, თუმცა იგი დოკუმენტის რატიფიცირებას არ ჩქარობს და მისთვის ოფიციალური სახის მიცემას სამომავლოდ გეგმავს. ოთხი ქვეყნის მიერ ხელმოწერილი შეთანხმების მიხედვით, შეიქმნება თავისუფალი სავაჭრო ზონა, განისაზღვრება ღონისძიებები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებისათვის, მიიღწევა შეთანხმება ერთიანი სატარიფო და საექსპორტო პოლიტიკის შესახებ.

ექსპერტების შეფასებით, რუსეთისა და ბელორუსიის პარლამენტები საერთო ეკონომიკური სივრცის შექმნის იდეას უპრობლემოდ გაიზიარებენ. უკრაინის საკანონმდებლო ორგანოში არსებული ოპოზიციური ფრაქციები კი, რომლებიც ამ შეთანხმებას ქვეყნის ევროინტეგრირების ხელის შემშლელ ფაქტორად მიიჩნევენ, კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან დოკუმენტის რატიფიცირებას და აღნიშნავენ, რომ შეთანხმება ითვალისწინებს ქვეყნის სახელმწიფოებრივი მმართველობის სფეროში სხვა ქვეყნების ჩარევას და უხეშად არღვევს უკრაინის კონსტიტუციას.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის ფოთი-გურიის ოპერატიული განყოფილების თანამშრომლებმა სამართალდარღვევის ხუთი ფაქტი გამოავლინეს. გურიის რეგიონში ჩატარებული რეიდის შედეგად გაირკვა, რომ ავტოგასამართ სადგურებზე მადოზირებელი და მრიცხველი მექანიზმები წესების დარღვევით მუშაობდა, ფულადი ანგარიშსწორება მიმდინარეობდა საკონტროლო სალაროების გარეშე. დარღვევებზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები და გადაეგზავნა საგადასახადო ინსპექციასა და სასამართლოს. პოლიციის იმერეთის განყოფილებამ კი ხაშური-ზესტაფონის ავტომაგისტრალზე მოძრაობისას დააკავა სატვირთო ავტომანქანა "კამაზი", რომელიც 20 ტონა შაბიამნით იყო დატვირთული. ზესტაფონელ მძღოლს სასაქონლო ზედნადებში ყალბი მონაცემები ჰქონდა შეტანილი, მითითებული იყო არარსებული ინდმეწარმე და არარსებული კოდი. შაბიამანი ქუთაისის ტერმინალშია გატანილი, ხოლო მესაკუთრე კი დაჯარიმდება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მიმდინარე წლის თებერვალში უცხოეთიდან საქართველოს კომერციულ ბანკებში ელექტრონული ანგარიშსწორების სხვადასხვა ფულადი სისტემების გამოყენებით 14 მილიონ 718 ათასი აშშ დოლარი ჩაირიცხა. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ეს მაჩვენებელი 6 მილიონ 779 ათასი ლარით აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს. ამავე პერიოდში საქართველოდან უცხოეთში 2 მილიონ 215 ათასი დოლარი გადაირიცხა, რაც 854 ათასი დოლარით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს. სწრაფი ფულადი გადარიცხვების უმეტესი ნაწილი კვლავ "ვესტერნ იუნიონზე" მოდის. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის საკრებულოს ფრაქცია "ლეიბორისტის" თავმჯდომარე გაგა გუგავა გასული წლის მუნიციპალურ ბიუჯეტთან დაკავშირებით თბილისის მთავრობის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის წარმოდგენას ითხოვს და ქალაქის ახალ ხელმძღვანელობას მიმართავს. გუგავას მტკიცებით, 2003 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მილიონობით ლარი არამიზნობრივად დაიხარჯა და ქალაქის ფული ცალკეულ ჩინოვნიკთა ჯიბეებში გადანაწილდა, ამიტომ იგი გასული წლის ბიუჯეტის განკარგვასთან დაკავშირებით საჯარო განხილვის დაწყებას მოითხოვს. **ინტერ-პრესი**

### "ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**23 აპრილს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**

ნუცუბიძის პლატოს 1 მიკრორაიონის, ვაჟა-ფშაველას III და V კვარტლების, ეულის, მინდელის, ნუცუბიძის(ნაწილობრივ) ქუჩების მაცხოვრებლებს.

# მაისიდან ქართველ ბიზნესმენებს ქცევის კოდექსი ექნებათ

*საქართველოში ბიზნეს-ეთიკის კოდექსის შექმნის მცდელობა ადრეც არაერთხელ ყოფილა - ასეთი მცდელობა თავის დროზე ბიზნესის სფეროში მოღვაწე ისეთ ორგანიზაციასაც ჰქონდა, როგორიც გადასახადის გადამხდელთა კავშირია, თუმცა საქართველოში მსოფლიოში დღეს დამკვიდრებულ პრინციპებამდე მიახლოება, ყოველ შემთხვევაში - საკუთარი ძალებით მაინც, ჯერ კიდევ სერიოზულ პრობლემად რჩება. ამიტომ ქართველი ბიზნესმენებისთვის ბიზნეს-ეთიკის კოდექსის - გნებავთ, პროგრამა დაარქვით, შემუშავებას ისევ უცხოელები ჩაუდგნენ*



ერიკ სტიუარტი და ემი დენმანი.

ბიზნეს-ეთიკის პროგრამა, რომელზეც აშშ-ს კომერციული დეპარტამენტი და საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატა მუშაობენ, მაისში დასრულებულ სახეს მიიღებს.

**"ამ პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში ისეთი ბიზნესგარემოს ჩამოყალიბებას, სადაც ეთიკური ბიზნესპრაქტიკა და გონივრული მმართველობა დაფასდება, წახალისდება და გადაწყვეტილებათა მიღების ძირითადი საფუძველი გახდება,"** - განაცხადა აშშ-ს სავაჭრო პალატის წარმომადგენელმა ემი დენმანმა. საშემოდგომოდ საქართველოში მოქმედი ბიზნეს-კომპანიების წარმომადგენლებისთვის სემინარებისა თუ სამუშაო შეხვედრების ჩატარება და მათი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში გასვლა იგეგმება.

პროექტის მიხედვით, სემინარებში მონაწილეობას მიიღებს 150 მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესმენი. მათ მეთვალყურეობას გაუწევს 150 წარმომადგენელი აშშ-დან. ბიზნეს-ეთიკის პროგრამის დირექტორი ტარიელ ზივზივაძე ამბობს, რომ კოდექსი არ განასხვავებს მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებს. მისი განცხადებით, ქცევის კოდექსი ყველასათვის ერთი იქნება.

**"კოდექსზე მუშაობის დასრულების შემდეგ, ბიზნესით დაინტერესებულ ყველა პირს მის პირველ ვარიანტს მივაწვდით. ჩვენ მიერ მომზადებული პროექტი საჯარო გახდება,"** - განაცხადა ტარიელ ზივზივაძემ.

*24 საათი*

# "თელასი" ვალების გასტუმრებას ითხოვს

პირველი გვერდიდან

ბუნებრივია, რომ კომპანიის მენეჯერები მევალეების უგულისყურობამ მწყობრიდან საბოლოოდ გამოიყვანა. 1 აპრილის მდგომარეობით ხომ სამედიცინო დაწესებულებათა დავალიანებამ - 2 მილიონ 987 ათასს, ხოლო "საქტელერადიომაუწყებლობის" დავალიანებამ 142 ათას ლარს მიაღწია.

დარჩება თუ არა დღეს ქალაქი საავადმყოფოებისა და სახელმწიფო ტელევიზიის გარეშე? შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი გიგი წერეთელი პირობას დებს, რომ სამედიცინო დაწესებულებების ელექტროენერგიის დავალიანებასთან არსებულ პრობლემებს უახლოეს დღეებში მოაგვარებს. აი, "თელასში" კი უკვე ეჭვი ეპარებათ, რომ ამ დაპირებების დაჯერება, საერთოდ, ღირს. **"ამ ორგანიზაციებმა ერთი კვირის წინ დენის გათიშვის თაობაზე გაფრთხილება მიიღეს, თუმცა, მათი მხრივ, მოლაპარაკებები ვალის რესტრუქტურიზაციის, ან სრულად დაფარვის შესახებ არც კი დაწყებულა. ვალის საერთო ოდენობა კი მაინც იზრდებოდა,"** - აცხადებენ კომპანიაში.

როგორც ყოველთვის, "თელასის" განცხადებამ "ლეიბორისტებს" ახლაც "აუგორა" ახალი თემა. "ლეიბორისტების" ერთ-ერთმა ლიდერმა გელა დანელიამ "თელასის" მიერ ჩაფიქრებული სადამსჯელო ღონისძიება სასწრაფოდ გააპროტესტა და "თელასს" რისხვის ობიექტის შეცვლა ურჩია: **"იმისათვის, რომ ადამიანთა სიცოცხლეს საფრთხე არ შეექმნას, მეორეს მხრივ კი, მოსახლეობას ინფორმაციის მიღების წყარო არ წაერთვას, "თელასს" ურჩევნია, სადამსჯელო ღონისძიებები, ჯანდაცვის დაწესებულებების ნაცვლად, სამინისტროებისა და სახელმწიფო კანცელარიის წინააღმდეგ განახორციელოს".**

ისე, "თელასის" მევალეთა ნუსხაში არც თავად ჯანდაცვის სამინისტროს დავალიანება გამოიყურება მოკრძალებულად და, "თელასის" მუქარის თანახმად, მასაც ჩაბნელება ელის.



# აშშ-ს არაბულ სამყაროში საყრდენი ეცლება

აშშ მოკავშირეებს არაბულ ქვეყნებშიც კარგავს. იორდანიის მეფე აბდულამ თეთრ სახლში დაგეგმილი შეხვედრა გადადო და მიზეზად ვაშინგტონის მიერ ისრაელის პოლიტიკის მხარდაჭერის გამო არაბთა შეშფოთება დაასახელა. იორდანია აცხადებს, რომ მას დრო სჭირდება, რათა გაერკვეს ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესთან დაკავშირებით.

მას შემდეგ, რაც აშშ-მ მოიწონა შარონის "დაშორიშორების გეგმა", არაბული ქვეყნების სუპერ-სახელმწიფოსადმი დამოკიდებულებაში ბევრი რამ შეიცვალა. იორდანია წლების განმავლობაში აშშ-ს ერთ-ერთ მთავარ მოკავშირედ მიიჩნეოდა არაბულ სამყაროში და მეფე აბდულას გადაწყვეტილება რეგიონის ქვეყნების აშშ-სადმი დღევანდელი განწყობის გამოხატულებადაც უნდა იქნეს აღქმული. დღეს ბევრი არაბი აცხადებს, რომ აშშ ველარ იქნება ისრაელ-არაბული კონფლიქტის პირუთვნელი შუამავალი. მეტიც, მეფე აბდულას უარს ვაშინგტონში სტუმრობაზე არაბები მეტისმეტად დელიკატურადაც კი მიიჩნევენ. თუმცაღა, თავად იორდანიის მეფე ერიდება ამერიკელებთან ღია დაპირისპირებას და მხოლოდ დიპლომატიურ ნაბიჯებს დგამს. ამერიკული და იორდანული ოფიციალური წყაროების მიხედვით მეფე აბდულას ვიზიტი მხოლოდ და მხოლოდ გადატანილია და მაისის დასაწყისში გაიმართება.

არაბი მონარქის ეს გადაწყვეტილება უეჭველია, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში დაძაბულობას გამოიწვევს და ასეთ დონეზე გაკეთებული პირველი კონკრეტული ნაბიჯია, რაც ისრაელის მიერ რამდენიმე დღის წინ მოკლული პალესტინელი აბდელ აზიზ ალ-რანტისის მკვლელობას მოჰყვა. აღსანიშნავია, რომ იორდანიის მეფის ვაშინგტონის ვიზიტის გადადებაზე განცხადება უშუალოდ მოჰყვა ორი დღის წინ "ჰამასის" პოლიტიკური ლიდერის ხალედ მეშალის გამოსვლას. მეშალმა დამასკოს მახლობლად, პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკში შეკრებილთა წინაშე გამოსვლისას, მოუწოდა ყველა არაბსა და მუსლიმს, ერთობლივად იბრძოლონ ისრაელისა და აშშ-ს წინააღმდეგ. მეშალი აცხადებს, რომ 22 არაბულმა ქვეყანამ და 30 არაარაბულმა მუსლიმურმა სახელმწიფომ დროებით მაინც უნდა შექმნან კოალიცია, რათა გაერთიანებული ძალით დაუპირისპირდნენ საერთო მტერს.


ადრე მეფე აბდულა ამაყობდა ამერიკელებთან მეგობრობით...

ახლო აღმოსავლეთის არაბებს დღეს აშშ ყველაზე მეტად სძულთ, - აცხადებს ეგვიპტის ლიდერი ხოსნი მუბარაქი ფრანგულ გაზეთ "ლე მონდთან" ინტერვიუში. მისი სიტყვებით, აშშ-ს ქმედებებმა არაბულ სამყაროში უიმედობა, ნიჰილიზმი და უსამართლობის განცდა გამოიწვია. მუბარაქი მიიჩნევს, რომ ამის ერთ-ერთი მიზეზი აშშ-ს მხრიდან ისრაელის უაპელაციო მხარდაჭერაა. თუმცა, მთავარი მაინც ერაყის კამპანიაა. "თავდაპირველად ბევრი მიიჩნევდა, რომ ამერიკა დაგვეხმარება. ამერიკელების მიმართ სიძულვილი არ არსებობდა. იმის შემდეგ, რაც ერაყში მოხდა, უპრეცედენტო სიძულვილს აქვს ადგილი და ეს კარგად იციან ამერიკელებმა," - ამბობს მუბარაქი. "ხალხს უსამართლობის განცდა დაეუფლა. რა მოხდება კიდევ? ისინი ხედავენ, რომ შარონი, რაც მოესურვება, ყველაფერს აკეთებს, ხოლო ამერიკა არაფერს ამბობს ამაზე..."

ეგვიპტის პრეზიდენტის აზრით, არასტაბილურობა ღაზას სექტორსა და ერაყში არ შედის აშშ-სა და ისრაელის ინტერესებში. "უიმედობა და უსამართლობის განცდა მარტო ჩვენი რეგიონით არ შემოიფარგლება, იგი გავრცელდება და ამერიკისა და ისრაელის ინტერესებს საფრთხე შეექმნება არა მარტო ჩვენს რეგიონში, არამედ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში," - აცხადებს მუბარაქი.

# რატომ ცდილობს დასავლეთი რკინის ფარდის ხელახლა ჩამოშვებას

პირველი გვერდიდან

პროექტმა, რომელიც ვაშინგტონში რამდენიმე თვის განმავლობაში თაროზე იყო შემოდებული, ეუთო-ს, რუსეთისა და მოლდოვას მმართველი კომუნისტების წყალობით ისევ შეიძინა აქტუალობა. ამ პროექტის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ დნესტრისპირეთში რუსული იარაღით აღჭურვილი სეპარატისტების ხელისუფლების ლეგალიზება მოხდეს, დაუთმონ მათ ცენტრალურ ხელისუფლებაში ადგილები, ხოლო გარანტორები რუსეთი და ეუთო იქნებიან (უკრაინა მხოლოდ ფორმალურად იქნება წარმოდგენილი). ამ სისტემიდან დასავლეთი, პრაქტიკულად, გამოთიშულია. ამ პროცესს "ფედერალიზაცია" ეწოდება. შედეგად - ნატოს საზღვრებთან რუსეთის პროტექტორატს მივიღებთ.

ნატო-ს მოლდოვასთან 500 კილომეტრიანი საერთო საზღვარი აქვს. მალე ეს ევროკავშირის საზღვარიც გახდება. რა ტიპის პოლიტიკური და უსაფრთხოების წესრიგი დამყარდება მოლდოვას სექტორში? იქნება ეს კომუნისტების მიერ მართული, რუსების გავლენის ქვეშ მყოფი სატელიტი, თუ დემოკრატიული და ევროპაზე ორიენტირებული მეზობელი?

აღნიშნული პროექტის განხორციელება მოლდოვას მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპიდან მოწყვეტს. ამ რეგიონში ყველა სხვა კონფლიქტს (ბოსნია, კოსოვო, მაკედონია) ნატო და ევროკავშირი არეგულირებენ და ამავდროულად დემოკრატიზაციას უწყობენ ხელს, რაც ამ სახელმწიფოების დასავლურ ორგანიზაციებში გაწევრიანების შანსებსაც ზრდის. მეზობელი ბულგარეთი და რუმინეთი ნატო-ში უკვე გაწევრიანდნენ და ევროკავშირის წევრობის კანდიდატებიც არიან.

დნესტრისპირეთის ხელისუფლებას, რომლის წევრების დიდი ნაწილი რუსეთის მოქალაქეა, ცენტრალური მთავრობის პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის უზარმაზარი შესაძლებლობა მიეცემა. დნესტრისპირეთის ხელისუფლება რუსეთს თავის ერთგულებას ღიად უდასტურებს და დიდი რუსეთის იდეას მოწონებით ხვდება. ის და მოლდოვას კომუნისტი მმართველები, რომლებიც ასევე რუსეთზე ორიენტირებული არიან, ქვეყნის პროევროპული პოლიტიკური ჯგუფების მარგინალიზაციას მოახდენენ.

ფედერალიზაციის ამ მოდელში დასავლეთი მხოლოდ ეუთო-ს მეშვეობით არის წარმოდგენილი, რაც იმას ნიშნავს, რომ რეალურად დასავლეთი ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს. ეუთო-ს პროცედურების თანახმად, თითოეული გადაწყვეტილების მიღებას რუსეთის თანხმობა აუცილებლად დასჭირდება.

აღნიშნული გეგმა სამხედრო ასპექტებსაც ითვალისწინებს. ცოტა ხნის წინ, რუსეთმა და ეუთო-მ ამის თაობაზე რეკომენდაციებიც შეიმუშავეს. ჩარჩო ხელშეკრულების თანახმად, დნესტრისპირეთის ხელისუფლებას (ანუ რუსეთს) უფლება ექნება, სამხედრო საკითხებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს ვეტო დაადოს. ამჟამად, რუსეთის ჯარი მოლდოვაში სამშვიდობოების მანდატით მოქმედებს. ფედერალიზაცია მათ ყოფნას უსასრულოდ დააკანონებს.

ამავდროულად, შეერთებული შტატები და ეუთო ცდილობენ, რომ 1999 წელს სტამბოლში რუსეთის მიერ აღებული ვალდებულების თანახმად, მოსკოვს მოლდოვადან ჯარი გააყვანინონ. სამშვიდობოების მანდატით რუსეთის ჯარის დატოვება ამ მიზანს შეუსრულებელს გახდის. ამას გარდა, ეუთო-სა და რუსეთის ერთობლივი რეკომენდაციები დნესტრისპირეთის არმიის ლეგალიზებას მოახდენს. ეს არმია მოლდოვას შეიარაღებულ ძალებზე ძლიერია. ხელშეკრულების თანახმად, დნესტრისპირეთის არმია მოლდოვას შეიარაღებულ ძალებთან ერთად უვადოდ იარსებებს. დნესტრისპირეთის არმია, რეალურად, რუსული შეიარაღებული ძალების ნაწილია, რომელიც რუსების მიერ გადაცემული იარაღისა და სამხედრო პერსონალის დახმარებით შეიქმნა.

ამ პროექტის მხარდამჭერ მაღალი თანამდებობის პირებს, ფაქტობრივად, ლოგიკური არგუმენტები არ აქვთ. ისინი ამბობენ, რომ დნესტრისპირეთის კონფლიქტის გაყინულ მდგომარეობაში შენარჩუნება მიუღებელია. თუმცა, განა უმჯობესია დაჩქარებული ტემპით ფსევდო-გადაწყვეტილების მიღება? მომხრეები ამბობენ, რომ ორგანიზებული დანაშაულის წყარო (დნესტრისპირეთში) უნდა აღმოიფხვრას, მაგრამ დანაშაული იმ ჯგუფის ლეგალიზებით არ უნდა აღმოიფხვრას, რომელიც ამ ორგანიზებული დანაშაულით ნახულობს სარგებელს. ხშირად გაიძახიან, რომ მოლდოვა გაერთიანებას იმსახურებს. ეს გეგმა კი ქვეყანას სწორედ ორად გაყოფს და სეპარატისტულ ხელისუფლებას დააკანონებს. ასევე ხშირად გაიგონებთ, რომ მოლდოვა ფედერალური სახელმწიფო უნდა იყოს, რადგან ის ცენტრალიზებული ვერ გახდება. რეალურად, მოლდოვა სუსტი სახელმწიფოა, რომელსაც დასავლეთი ფუნქციონირებად დემოკრატიულ სახელმწიფოდ გადაქცევაში უნდა დაეხმაროს. არ უნდა შეიქმნას არშემდგარი სახელმწიფო, რომელიც გაყოფილი იქნება კომუნისტებსა და არადემოკრატიული უცხოური ძალის წარმომადგენლებს შორის, რომელსაც ადრე მოლდოვა ჰყავდა დაპყრობილი.

ამჟამად, ამ გეგმის წინ წამოწევას თავის მიზეზი აქვს: 2001 წელს კომუნისტებმა საპარლამენტო არჩევნებში უმრავლესობა მოიპოვეს. ახლა არჩევნები ახლოვდება და მათ გამარჯვების, ფაქტობრივად, არანაირი შანსი არ აქვთ. სწორედ ამიტომ, კომუნისტი მმართველები ამ პროექტის გატანას ჩქარობენ. აღნიშნული გეგმის განხორციელება, შესაძლოა, დასავლეთის ზოგიერთი ბიუროკრატის ინტერესებშიც შედიოდეს. იგი ნამდვილად აკმაყოფილებს რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებს. რეალურად, ეს მოლდოვას პროდასავლური პოლიტიკური ძალებისათვის დიდი დარტყმა იქნება და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ევრო-ატლანტიკური თანამეგობრობის პოლიტიკურ და უსაფრთხოების ინტერესებს დააზიანებს.

# ესპანეთს ჰონდურასი მიბაძავს - ვინ იქნება შემდეგი?

ესპანეთის შემდეგ პირველმა ერაყიდან წასვლის შესახებ განცხადება ჰონდურასმა გააკეთა. ცენტრალურ ამერიკაში აშშ-ს მოკავშირემ გადაწყვეტილება მიიღო, ანტი-ერაყული კოალიციის რიგები დატოვოს. ქვეყნის პრეზიდენტის რიკარდო მადუროს განაცხადებით, მან უკვე აცნობა კოალიციის წევრებს იმის შესახებ, რომ ჰონდურასის 370 ჯარისკაცი ერაყს მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადაში დატოვებს.

ჩვეულებრივ, ჰონდურასი სამშვიდობო ოპერაციებში ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებს და საკმაოდ დიდ სამხედრო კონტიგენტსაც აგზავნის ხოლმე კონფლიქტის ზონაში. ამჯერადაც, ჰონდურასის სამხედრო დანაყოფი გასული წლის ზაფხულიდან ესპანეთის ბრიგადის შემადგენლობაში მსახურობდა და მისი ძირითადი მოვალეობა განაღმვითი ოპერაციები და ადგილობრივი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება იყო. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ჰონდურასის ხელისუფლება არ არის მზად, თავისი ჯარისკაცები რეალური ომის პირობებში დატოვოს, მით უმეტეს, რომ დღეს ერაყში გაცილებით სასტიკი ბრძოლები მიმდინარეობს, ვიდრე გასულ წელს.

კოალიციის მიერ წარმოებული ბრძოლების სისასტიკეზე კი ორშაბათს პენტაგონის მოხსენებაში მოყვანილი ციფრებიც მეტყველებს. აღმოჩნდა, რომ მთელი კამპანიის პერიოდში ყველაზე დიდი დანაკლისი ამერიკელებმა მიმდინარე წლის აპრილში განიცადეს. ჯერ თვე არ დამთავრებულა და აშშ-ს ცოცხალი ძალის დანაკარგი უკვე ასამდე აღწევს. ნიშანდობლივია, რომ მთელი კამპანიის პერიოდში აშშ-ს ჯარებმა 700-ზე მეტი მებრძოლი დაკარგეს, მათ შორის, 500-ზე მეტი მას შემდეგ, რაც ბუშმა ერაყში კოალიციის გამარჯვების თაობაზე ამცნო მსოფლიოს.

ბუშის ადმინისტრაციის წარმომადგენლების განცხადების მიუხედავად, რომ ანტიერაყული კოალიცია "ძლიერია და მათი (კოალიციის წევრების) გადაწყვეტილება ურყევია", როგორც ჩანს, დაშლის პროცესი მაინც გაგრძელდება. გუშინ ტაილანდიც აცხადებდა, რომ თავის 451 კაციან სამედიცინო და საინჟინრო კონტინგენტს გაიყვანდა, თუ მათზე თავდასხმა განხორციელდებოდა.

თეთრ სახლში უკვე განიხილავენ გაერო-ს ახალი რეზოლუციის მიღების შესაძლებლობას. პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი სკოტ მაკლელანი გუშინ აცხადებდა, რომ აშშ-ს ხელისუფლებას იმედი აქვს, გაერო-ს ახალი რეზოლუცია დაეხმარება კოალიციის წევრთა გამხნევებაში.

დღეს კოალიციის ძალებში ამერიკელთა როლი გადამწყვეტია და რამდენიმე ასეული, თუნდაც ათასი ჯარისკაცის მიერ ერაყის დატოვება, სამხედრო თვალსაზრისით, ბევრს არაფერს ცვლის, მაგრამ ძალიან დიდია ამ მოვლენის პოლიტიკური და მორალური მნიშვნელობა. მოკავშირეების შემცირებასთან ერთად, სავარაუდოდ, ამერიკელთა აზრიც შეიცვლება ერაყში მიმდინარე ომის რეალური მიზნების თაობაზე და ბუშის პოლიტიკა რიგითი ამერიკელისათვის ნაკლებად მიმზიდველი გახდება, მით უფრო, თუ ოკეანისგადაღმიდან ჩამოსული ცხედრების რიცხვიც გაიზრდება.

# ტონი ბლერი რეფერენდუმის დანიშვნას ითხოვს

გუშინ ტონი ბლერმა განაცხადა, რომ დიდ ბრიტანეთში ევროკავშირის კონსტიტუციის მიღების თაობაზე რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს. თუმცა, მას რეფერენდუმის სავარაუდო თარიღი არ დაუკონკრეტებია.

უკანასკნელი თვეების განმავლობაში პრემიერ-მინისტრი რეფერენდუმის დანიშვნის აუცილებლობას უარყოფდა, მაგრამ გუშინ განაცხადა, რომ დრო მოვიდა, "ხალხმა თავისი საბოლოო სიტყვა თქვას".

ბლერის განცხადებით, ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტს თავდაპირველად დეპუტატები საჯაროდ განიხილავენ. დოკუმენტს რეფერენდუმზე მხოლოდ ამის შემდეგ გამოიტანენ.

"ელექტორატს უნდა ვთხოვოთ აზრის გამოთქმა მას შემდეგ, რაც ყველა ჩვენს შეკითხვას პასუხი გაეცემა, როდესაც ყველა დეტალი ცნობილი გახდება, როდესაც ყველა საკითხი დაიხვეწება," - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

თავისი პოზიციის შეცვლას ბლერი იმით ასაბუთებს, რომ საჭიროა, ბრიტანეთმა საბოლოოდ გასცეს პასუხი შეკითხვას, სურს ბრიტანეთს ევროპის შუაგულში ყოფნა, თუ - არა.


ტონი ბლერი

პრემიერ-მინისტრმა თავისი გამოსვლის დიდი ნაწილი ევროპის კონსტიტუციის გარშემო არსებული მითების გაქარწყლებას მიუძღვნა, რომელთა თანახმად, დედოფალი ბრიტანეთის სახელმწიფოს მეთაური აღარ იქნება, რომ ბრიტანელებს მანქანების ტარებას, კონტინენტური ევროპის მსგავსად, მარჯვენა მიმართულებით აიძულებენ.

ევროკავშირის სპეციალური კომისია ევროპის კონსტიტუციის საბოლოო ვარიანტს, სავარაუდოდ, ივნისში გამოაქვეყნებს.

მიმომხილველები ამბობენ, რომ თუ ბრიტანელებმა კონსტიტუციის პროექტს მხარი არ დაუჭირეს, ბლერის პოლიტიკური პოზიციები სერიოზულად შეირყევა.

# გაერო ისრაელის წინააღმდეგ

გუშინ არაბული ქვეყნების ლიდერებმა გაერო-ს უშიშროების საბჭოს წინადადებით მიმართეს, ისრაელის მიერ ბოლო ხანებში განხორციელებული "წერტილოვანი დარტყმების" საწინააღმდეგო რეზოლუცია მიეღო. რეზოლუციის პროექტში ისრაელის მიერ უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული მკვლელობები დაგმობილია და ხაზგასმულია, რომ მსგავსი ქმედება უკანონო, უსამართლო და არაეფექტურია. მართალია, რეზოლუციის პროექტში "ჰამასის" მოკლული ლიდერის აბდელ აზიზ ალ-რანტისის სახელი ნახსენები არაა, მაგრამ დებატები სწორედ ამ კონკრეტული ფაქტის გარშემო წარიმართა. გაერო-ში პალესტინის წარმომადგენლის ნასერ კიდვას აზრით, "ჰამასის" ლიდერის მკვლელობა ისრაელის სამხედრო დანაშაულებების გრძელი ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია და უშიშროების საბჭოს უუნარობა, დაგმოს ისრაელის უკანონო ქმედებები, ხელს უწყობს მსგავსი აქციების განხორციელებას. მან აგრეთვე დაამატა, რომ პარალელების გავლება ისრაელ-პალესტინის კონფლიქტსა და ტერორიზმთან გლობალურ ბრძოლას შორის მცდარი და სრულიად უადგილოა.

ისრაელის ელჩმა რანტისი უაღრესად რადიკალ ტერორისტ ლიდერად შერაცხა და არაბთა ბრალდებებზე უპასუხა, რომ ებრაელებს მისი დაპატიმრებისა და სამართალში მიცემის არანაირი საშუალება არ ჰქონდათ. ამასთანავე, ებრაელი დიპლომატის მტკიცებით, რანტისის მკვლელობას ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესთან არანაირი კავშირი არა აქვს.

სავარაუდოდ, ამგვარ რეზოლუციას უშიშროების საბჭოში არ მიიღებენ და ამის მაგალითად რამდენიმე კვირის წინ შეიხ აჰმედ იასინის ანალოგიურ მკვლელობასთან დაკავშირებით რეზოლუციის მიღებაზე აშშ-ს მიერ დადებულ ვეტოს ასახელებენ. ამჯერადაც, აშშ აცხადებს, რომ მხარს არ დაუჭერს რეზოლუციის მიღებას, რითიც, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის მის დამტკიცებას.




### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №309

*2004 წლის 19 აპრილი ქ. თბილისი*

საქართველოს უზენაეს და თბილისის საოლქო სასამართლოებში წარმომადგენლის შესახებ.

მიეცეს რწმუნება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქართველოს პრეზიდენტის მთავრობასთან და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობისა და იურიდიულ საკითხთა სამსახურის მთავარ მრჩეველს დავით საყვარელიძეს წარმოადგინოს საქართველოს პრეზიდენტის ინტერესები საქართველოს უზენაეს და თბილისის საოლქო სასამართლოებში საქართველო ფინანსთა სამინისტროს სარჩელთან დაკავშირებით შპს "კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას" მიმართ.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №310

*2004 წლის 19 აპრილი ქ. თბილისი*

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარმომადგენლის შესახებ.

მიეცეს რწმუნება მაკა სხირტლაძეს წარმოადგინოს საქართველოს პრეზიდენტის ინტერესები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქართველოს მოქალაქის გრიგორ კარგინის კონსტიტუციურ სარჩელთან (№1 / 10 / 204 საქმეზე) დაკავშირებით.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №311

*2004 წლის 19 აპრილი ქ. თბილისი*

ი. მერაბიშვილის საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად დანიშვნის შესახებ.

"ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში - ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ივანე მერაბიშვილი დაინიშნოს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №312

*2004 წლის 20 აპრილი ქ. თბილისი*

ზ. ჟვანიას საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად დანიშვნის შესახებ.

"ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია დაინიშნოს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №313

*2004 წლის 20 აპრილი ქ. თბილისი*

ზ. ადეიშვილის საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად დანიშვნის შესახებ.

"ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ზურაბ ადეიშვილი დაინიშნოს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №314

*2004 წლის 20 აპრილი ქ. თბილისი*

გ. ბარამიძის საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად დანიშვნის შესახებ.

"ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი ბარამიძე დაინიშნოს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №315

*2004 წლის 20 აპრილი ქ. თბილისი*

გ. ბეჟუაშვილის საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად დანიშვნის შესახებ.

"ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს თავდაცვის მინისტრი გელა ბეჟუაშვილი დაინიშნოს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №316

*2004 წლის 20 აპრილი ქ. თბილისი*

ზ. ნოღაიდელის საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად დანიშვნის შესახებ.

"ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი დაინიშნოს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №317

*2004 წლის 20 აპრილი ქ. თბილისი*

ი. ოქრუაშვილის საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად დანიშვნის შესახებ.

"ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი დაინიშნოს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №318

*2004 წლის 20 აპრილი ქ. თბილისი*

გ. პაპუაშვილის საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად დანიშვნის შესახებ.

"ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს იუსტიციის მინისტრი გიორგი პაპუაშვილი დაინიშნოს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №319

*2004 წლის 20 აპრილი ქ. თბილისი*

ი. ჩუბინიშვილის საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად დანიშვნის შესახებ.

"ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ირაკლი ჩუბინიშვილი დაინიშნოს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №320

*2004 წლის 20 აპრილი ქ. თბილისი*

ს. ზურაბიშვილის საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად დანიშვნის შესახებ.

"ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი დაინიშნოს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №321

*2004 წლის 20 აპრილი ქ. თბილისი*

დ. კეზერაშვილის საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად დანიშვნის შესახებ.

"ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა მინისტრის ფინანსური პოლიციის უფროსი დავით კეზერაშვილი დაინიშნოს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №322

*2004 წლის 20 აპრილი ქ. თბილისი*

ზ. ჭიაბერაშვილის ქალაქ თბილისის მერად დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს ზურაბ ჭიაბერაშვილი ქალაქ თბილისის მერად.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №324

*2004 წლის 20 აპრილი ქ. თბილისი*

ზ. ჭიაბერაშვილის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს ზურაბ ჭიაბერაშვილი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან ქალაქ თბილისის მერად დანიშვნასთან დაკავშირებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 105-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს საარჩევნო კოდექსის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №326

*2004 წლის 20 აპრილი ქ. თბილისი*

საქართველოს პარლამენტის პირველი სხდომის დღის დანიშვნის შესახებ.

საქართველოს კონსტიტუციის 51-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს ახლად არჩეული პარლამენტის პირველი სხდომა გაიმართოს 2004 წლის 22 აპრილს, 12 საათზე.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველო პრეზიდენტის ბრძანებულება №110

*2004 წლის 26 მარტი. ქ. თბილისი*

"საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის დებულებისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის, საქართველოს პრეზიდენტის - სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მთავარი სამხედრო ინსპექციისა და საქართველოს პრეზიდენტის - სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ოპერატიულ-სამორიგეო სამსახურის საშტატო განრიგების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 1 თებერვლის N38 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

საქართველოს ეროვნული უშიშროების აპარატის სისტემის ორგანიზაციული და სტრუქტურული სრულყოფის მიზნით:

"საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის დებულებისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის, საქართველოს პრეზიდენტის - სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მთავარი სამხედრო ინსპექციისა და საქართველოს პრეზიდენტის - სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ოპერატიულ-სამორიგეო სამსახურის საშტატო განრიგების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 1 თებერვლის N38 (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე N12, 2004) ბრძანებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანებულების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"4. ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის მომუშავეთა საერთო რიცხოვნობა განისაზღვროს 50 საშტატო ერთეულით, საქართველოს პრეზიდენტის - სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მთავარი სამხედრო ინსპექციის - 8 საშტატო ერთეულით და საქართველოს პრეზიდენტის - სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ოპერატიულ-სამორიგეო სამსახურის - 20 საშტატო ერთეულით.

ბ) ბრძანებულების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"5. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის, საქართველოს პრეზიდენტის - სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მთავარი სამხედრო ინსპექციისა და საქართველოს პრეზიდენტის - სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ოპერატიულ-სამორიგეო სამსახურის კომუნალური, საკანცელარიო, კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის მომსახურება".

გ) ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ვ) საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწის ეროვნული უშიშროების საკითხებში - ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის დავალებით აცხადებს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომებს და განსახილველ საკითხთა შესახებ წარუდგენს პრეზიდენტს ალტერნატიულ წინადადებებსა და რეკომენდაციებს.

დ) ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის დებულების IV თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში - ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი".

ე) ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. აპარატს ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში - ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი."

ვ) ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2. საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში - ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი:"

ზ) ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2. მოადგილეების კომპეტენციებს აპარატთან ურთიერთობების საკითხებში განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში - ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი."

თ) ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფებია დეპარტამენტები. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის დირექტორი. დეპარტამენტის დირექტორს საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში - ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი."

ი) ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის დებულების მე-6 მუხლის მეორე პუნქტის "ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ე) საორგანიზაციო და საიდუმლოების დაცვის დეპარტამენტი, რომლის ძირითადი ამოცანაა აპარატში საქმის წარმოებისა და სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა, პრეზიდენტის შესაბამისი გრიფის მქონე აქტების რეგისტრაცია, აპარატის უზრუნველყოფა საფინანსო-სამეურნეო, საკადრო, ტექნიკურ და ორგანიზაციულ საკითხებში. ვებგვერდების შექმნა. დეპარტამენტი უზრუნველყოფს საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში - ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის საკონტროლო დავალებათა შესრულების კონტროლს. დეპარტამენტი უზრუნველყოფს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომების ორგანიზებას."

კ) ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2. კომისიას ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში - ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი, ეროვნული უშიშროების საბჭოს სხვა წევრი ან პრეზიდენტისგან საგანგებოდ უფლებამოსილი პირი."

ლ) ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"3. საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში - ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი კოორდინაციას უწევს კომისიების საქმიანობას. მას უფლება აქვს ცალკეულ დავალებათა შესრულების ვადით კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად სახელშეკრულებო საფუძველზე მოიწვიოს სპეციალისტები, რომლებიც არ არიან საჯარო მოსამსახურეები."

მ) ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის საშტატო განრიგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის საშტატო განრიგი"

| № | თანამდებობის სახელწოდება | ერთეულის რაოდენობა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|---|
| 1. | საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში - ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი | 1 | 665.00 |
| | სულ | 1 | |

| № | თანამდებობა | საშტატო ერთეულის რაოდენობა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|---|
| 1. | ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე | 3 | 630.00 |
| | სულ | 3 | |

თავდაცვის საკითხთა დეპარტამენტი

| № | თანამდებობა | საშტატო ერთეულის რაოდენობა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|---|
| 1. | დეპარტამენტის დირექტორი | 1 | 500.00 |
| 2. | დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე | 1 | 490.00 |
| 3. | განყოფილების უფროსი | 1 | 430.00 |
| 4. | მთავარი მრჩეველი | 6 | 430.00 |
| | სულ | 9 430.00 | |

სამართალდაცვის და სპეციალურ სამსახურებთან ურთიერთობის დეპარტამენტი

| № | თანამდებობა | საშტატო ერთეულის რაოდენობა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|---|
| 1. | დეპარტამენტის დირექტორი | 1 | 500.00 |
| 2. | დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე | 1 | 490.00 |
| 3. | მთავარი მრჩეველი | 4 | 430.00 |
| | სულ | 6 | 430.00 |

ანტიკორუფციული პოლიტიკის კოორდინაციის დეპარტამენტი

| № | თანამდებობა | საშტატო ერთეულის რაოდენობა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|---|
| 1. | დეპარტამენტის დირექტორი | 1 | 500.00 |
| 2 | მთავარი მრჩეველი | 3 | 430.00 |
| | სულ | 4 | 430.00 |

პოლიტიკური უსაფრთხოების დეპარტამენტი

| № | თანამდებობა | საშტატო ერთეულის რაოდენობა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|---|
| 1. | დეპარტამენტის დირექტორი | 1 | 500.00 |
| 2. | დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე | 1 | 490-00 |
| 3. | მთავარი მრჩეველი | 4 | 430.00 |
| | სულ | 6 | 430.00 |

საორგანიზაციო და საიდუმლოების დაცვის დეპარტამენტი

| № | თანამდებობა | საშტატო ერთეულის რაოდენობა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|---|
| 1. | დეპარტამენტის დირექტორი | 1 | 500.00 |
| 2. | დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე | 2 | 490.00 |
| 3. | მთავარი მრჩეველი | 5 | 430.00 |
| 4. | სპეციალისტი | 13 | 220.00 |
| | სულ | 21 | 220.00 |
| | სულ აპარატში | 50 | |

ნ) ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს პრეზიდენტის - სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ოპერატიულ-სამორიგეო სამსახურის საშტატო რიგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"საქართველოს პრეზიდენტის - სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ოპერატიულ-სამორიგეო სამსახურის საშტატო განრიგი"

| № | თანამდებობა | საშტატო ერთეულის რაოდენობა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|---|
| 1. | სამსახურის უფროსი | 1 | 500.00 |
| 2. | სამსახურის უფროსის მოადგილე | 1 | 480.00 |
| 3. | განყოფილების უფროსი | 3 | 430.00 |
| 4. | მთავარი მრჩეველი | 3 | 430.00 |
| 5. | სპეციალისტი | 1 | 220.00 |
| | სულ სამსახურში | 20 | |




## რეკონსტრუქცია ლუდის უძველეს ქარხანაში "ყაზბეგი 1881"

თბილისში მარცხენა სანაპიროზე, ლუდის უძველეს ქარხანაში რეკონსტრუქცია ზაფხულის სეზონისათვის დასრულდება. ქარხანა, რომელიც 1859 წელს გერმანელმა ვენცელმა კავკასიაში პირველი ლუდის წარმოებისათვის დააარსა, 1995 წლიდან "ყაზბეგს" ეკუთვნის.

"ყაზბეგი 1881" - ყოველწლიურად 50 ათას ჰექტოლიტრ ლუდს აწარმოებს, თბილისის ქარხანაში სააქციო საზოგადოება "ყაზბეგი" მხოლოდ ლუდ ტრადიციულს უშვებს, "ყაზბეგის" ყველა სხვა სახეობა რუსთავის ქარხანაში ისხმება.

ქარხნის ხელახალი დაბადების მეათე წლისთავზე თანამედროვე სტანდარტების წარმოება - უნიკალურ ქარხანაში უახლესი ტექნოლოგიები და უძველესი ტრადიციები.

"ყაზბეგი 1881" - ის დირექტორი ირაკლი თოფაძე აცხადებს, რომ: "წელს მთლიანად შეიცვალა ტექნოლოგიური ხაზი, გამოიცვალა სამხარშაო საამქრო, ლუდის ხარშვისათვის საჭირო უნიკალური ქვაბები საავიაციო ქარხნის ინჟინრებმა დაამზადეს, მნიშვნელოვანია, რომ ეს მოწყობილობა ხარისხით არაფრით ჩამოუვარდება უცხოურ ანალოგებს, ღირებულება კი ათჯერ ნაკლები აქვს.

ამჟამად იცვლება საფილტრაციო ხაზები და სამაცივრე დანადგარები, მონტაჟდება ცისტერნები საფერმენტაციო დაჩქარებული მეთოდით ლუდის დადუღებისათვის. წლის ბოლომდე ლუდის ამ უძველეს ტრადიციულ ქარხანაში თანამედროვე, დასავლური სტანდარტების წარმოების გამართვა დამთავრდება. ლუდის სეზონის დაწყებისათვის ქარხანა მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციას და კეთილმოწყობასაც დაასრულებს. სანაპიროზე ლუდის მოყვარულთა სიმრავლის გამო ავტომანქანების გადაადგილება აღარ შეფერხდება, ქარხნის ტერიტორიაზე სპეციალური ავტოსადგომი კეთილმოეწყობა, შესაბამისად ამ ქარხანაში დამზადებული ეგრეთ წოდებული "ცოცხალი ლუდის" მოყვარულებიც და თბილისელი მძღოლებიც შესანიშნავ საჩუქარს მიიღებენ.

ინფორმაციისათვის, სწორედ ამ ქარხნის დამსახურებაა ეროვნული ბაზრიდან უხარისხო, კონტრაბანდული და ძვირი უცხოური ლუდის სახეობების განდევნა.

*დავით დოლიძე*

# სულუხია მოსკოველი მილიარდერის წინააღმდეგ

*ჩანს, ჭორებმა, თანამდებობიდან მინისტრის სავარაუდო მოხსნის შესახებ, ინფრასტრუქტურისა და ურბანიზაციის სამინისტროში სიტუაცია საგრძნობლად შეცვალა. მინისტრი სულუხია უკანონო მშენებლობების წინააღმდეგ ომს ააქტიურებს. ვინ გასცა ნებართვა, როგორ ნიღბავდნენ 18-სართულიან შენობას სარეაბილიტაციო ცენტრად, რატომ არ სრულდება პრეზიდენტის დავალება და შეძლებს თუ არა სულუხია მოსკოვში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენის დის თბილისური ბიზნესის შეჩერებას?*

ოთარ ქირია

**"არანაირი პირობა დაცული არ არის, საცურაო აუზის კედლიდან 2,5 მეტრის დაშორებით 18-სართულიანი სახლის აშენებას აპირებენ, გაჩეხეს ხეები, არ არსებობს უსაფრთხოების გარანტია, რომ ასეთ მცირე ფართობზე აშენებულ 18-სართულიან ნაგებობას პრობლემები არ შეექმნება, რაც, თავის მხრივ, უზარმაზარი საფრთხეა გარშემო არსებული საცხოვრებელი სახლებისა და თვით აუზისთვის. ჩვენ შევიმუშავეთ რეკომენდაცია, რომლითაც საკმაოდ მკაცრად მოვითხოვთ ქალაქის მერიისგან, სასწრაფოდ შეაჩეროს მშენებლობის პროცესი"**, - აცხადებს სულუხია.

როგორც ირკვევა, ჯერჯერობით პროექტი დამტკიცებული არ არის, თუმცა შეთანხმება მიღწეულია და ეს არცთუ დიდი ხნის წინ, 25 თებერვალს მოხდა. წესით, შეთანხმება მშენებლობის დაწყების წინაპირობაა. ამასთან, როგორც ჩანს, პროექტის მეპატრონეებს დიდად არ აღელვებთ ის ფაქტი, რომ თავის დროზე ამ ადგილს საავაკაშვილიც სტუმრობდა, როგორც ვაკის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, და - სახელმწიფო მინისტრი ჟვანიაც. მშენებლობა, პრაქტიკულად, დაწყებულია. ყოველ შემთხვევაში, ადგილობრივი მაცხოვრებლები აღშფოთებით აღნიშნავენ, რომ მრავალწლოვანი ხეები ბულდოზერებით მოგლიჯეს. მშენებლობის საწყის ეტაპებზე მიუთითებს ფოტოც, რომელიც უბნის მაცხოვრებელს გადაუღია ხეების გლეჯვის პროცესში.

როგორც მოსახლეობისაგან და სამინისტროს თანამშრომლებისგან ირკვევა, სახლს მოსკოვში მოღვაწე ბიზნესმენის კახა ბენდუქიძის და აშენებს. მასვე ეკუთვნის ხსენებული საცურაო აუზიც. სხვათა შორის, რუსულმა მედიამ და პოლიტიკურმა წრეებმა ბენდუქიძის გვარი არაერთხელ დაუკავშირეს საერთაშორისო ნავთობ-გადაზიდვებთან დაკავშირებულ აფიორებს. მისი გვარი რუსეთის მილიარდერების სიაში მოიხსენიება, ქონება კი 2.5 მილიარდ რუსულ რუბლადაა შეფასებული.

ირკვევა ისიც, რომ თავდაპირველად ბენდუქიძის დას სახლის აშენება აუზის შენობის წინ, სკვერში (გზასთან ახლოს) ნდომებია. მოსახლეობას მაჟორიტარ დეპუტატ სააკაშვილისთვის მიუმართავს. შედეგად, პროექტი გადაიტანეს აუზის უკან, თუმცა შეჩერებით მაინც ვერ შეაჩერეს. აღსანიშნავია, რომ ამ ადგილს გასულ თვეში პრემიერ მინისტრი ჟვანიაც ესტუმრა, მაგრამ შედეგი, ჯერჯერობით, მაინც იგვიანებს. "მივმართავ ყველა შესაბამის უწყებას, ძალოვანებს, აღმასრულებლებს, პოლიციას, სასამართლოს და ა.შ. ყველა ღონეს ვიხმარ და ეს სახლი მაინც ვერ აშენდება, მიუხედავად იმისა, ვისია ან რა თანხაა მასში ჩადებული", - აცხადებს მინისტრი სულუხია.

მისივე თქმით, ხშირ შემთხვევაში სასამართლო ან აღმასრულებელი დაკისრებულ ფუნქციას არ ასრულებენ. "გლდანი-ნაძალადევის სასამართლოს 2002 წლის გადაწყვეტილებით, შეშელიძის 7 ნომერში არსებული შ.პ.ს. "გეიზერის" კუთვნილი საზკვების ობიექტის ფუნქციონირება შეჩერებული უნდა იყოს. თუმცა, გაუგებარი მიზეზების გამო, დემონტაჟი დღესაც არ განხორციელებულა. ორი საათის წინ მოვიგეთ სასამართლო პროცესები კოსტავას პირველი შესახვევის 8-9 ნომრებში არსებული ბლოკსადების, ხორავას 1/15-ში მიმდინარე უკანონო მშენებლობის და სხვა სადავო საკითხებთან დაკავშირებული საქმეები, თუმცა აღმასრულებელი შედეგს მაინც აყოვნებს. ამას პოლიტიკური ელფერი უფრო აქვს და აუცილებლად დავაყენებ მთავრობის სხდომაზე", - ამბობს სულუხია და დასძენს, რომ ყველა ობიექტს სათითაოდ მოინახულებს და ბოლომდე მისდევს, სანამ ყველა უკანონო მშენებლობა არ შეჩერდება. თუმცა, ამ გზაზე მას უამარავი ადამიანის "ფინანსურ ინტერესებთან" მოუწევს დაჯახება, როგორც ძველ ისე ახალ ხელისუფლებაში. შორს რომ არ წავიდეთ, ხსენებული მშენებლობის მოპირდაპირე მხარეს უზარმაზარ ნაგებობაზე მუშაობენ, რომელიც, უშუალოდ, შევარდნაძის მიერ ყოფილა ნებადართული და, სხვა თუ არაფერი, ვაკის პარკის ტერიტორიაზეა განთავსებული.

*სამართალი*

# ნარკობიზნესთან ბრძოლა - ეფექტური, მაგრამ არასაკმარისი

პირველი გვერდიდან

*იძლევა.*

**"წლების განმავლობაში არსებულმა განუკითხაობამ განაპირობა ის, რომ თბილისში ნარკომანიისა და ნარკობიზნესის გავრცელებამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია"**, - განაცხადა გუშინწინ თბილისის პროკურორმა და ისიც დაამატა, პოლიციის მიერ ამ მიმართებით გაწეული მუშაობა არაეფექტურია, არასაკმარისია და, შექმნილი რეალური ვითარებიდან გამომდინარე, ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკასო.

შინაგან საქმეთა სამინისტროში კი მუნდირის ღირსების დასაცავად,გუშინ სპეციალური ბრიფინგი მოიწვიეს, რომელზეც ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან ბრძოლის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელმა ალეკო ტაბატაძემ არა მხოლოდ თბილისის, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით ნარკომანიასა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების შედეგები წარმოადგინა.

**"ქალაქის პროკურატურაში გაკეთებული განცხადებები ნარკორეალიზატორების წინააღმდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს არაეფექტური ბრძოლის თაობაზე რეალურ მდგომარეობას არ შეესაბამება"**, - განაცხადა ტაბატაძემ, რომლის მიერ გამომზეურებული სტატისტიკური მონაცემები ასე გამოიყურება: 2003 წლის ნოემბრიდან დღემდე გამოვლენილია ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული 1200-მდე სამართალდარღვევა, მათგან 600-ზე მეტ ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ამავე პერიოდში გამოვლენილია რეალიზაციის 105 ფაქტი. უკანონო ბრუნვიდან ამოღებულია 360 გრამზე მეტი ჰეროინი, 2 კგ-ზე მეტი ოპიუმი, 25 კგ-მდე მარიხუანა, 1000 აბზე მეტი სუბიტექსი, 1700 კაფსულა ტრამალი და სხვა.

ალეკო ტაბატაძის თქმით, წელს უკვე გამოვლენილია ნარკოტიკული საშუალებების გასაღების მცდელობის 86 ფაქტი, რაც შარშანდელ მონაცემებთან შედარებით 54 ერთეულით მეტია. მათგან, 39 ფაქტი გამოვლენილია თბილისში, რაც შარშანდელთან შედარებით 21 ერთეულით მეტია. მთლიანობაში კი 2004 წელს გამოვლინდა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის 111 დანაშაული, რაც უკვე ორჯერ აღემატება შარშანდელ პერიოდში გამოვლენილ დანაშაულთა რაოდენობას.

ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან ბრძოლის ბიუროს ხელმძღვანელმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ნარკომანი პოლიციელების მიმართ გატარებულ ღონისძიებებზე. კერძოდ, მისი თქმით, ბოლო ოთხ თვეში პოლიციის 46 თანამშრომელი ნარკოტიკების მოხმარების, შენახვის და რეალიზაციის მცდელობის ფაქტებზე გამოავლინა. გასულ წელს ამგვარ პოლიციელთა რიცხვი 19-ს არ აღემატებოდა.

სტატისტიკა - სტატისტიკად და, საქართველოში 360 გრამზე ბევრად მეტი ჰეროინი რომ მოიხმარება, ეს თბილისის პროკურორის განცხადებების გარეშეც ცნობილია, ისევე როგორც ის ფაქტი, რომ ნარკოდანაშაულთან ბრძოლა საქართველოში ჯეროვნად ნამდვილად არ მიმდინარეობს. სხვათა შორის, გუშინ ეს თავად ალეკო ტაბატაძემაც აღიარა. მისი თქმით, მას შემდეგ, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს გია ბარამიძე ხელმძღვანელობს, სხვა პრიორიტეტებთან ერთად წამყვანი როლი ნარკორეალიზატორთა წინააღმდეგ ბრძოლასაც მიენიჭა, მაგრამ **"ამ ბრძოლაში მიღწეული მაჩვენებლები მართლაც არ არის საკმარისი და სამინისტრო ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას კვლავაც უკომპრომისოდ გააგრძელებს"**.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საგზაო პოლიციის თანამშრომელთა ფიზიკური შეურაცხყოფისათვის დააკავეს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის გარდაბნის კომენდატურის "წითელი ხიდის" საგუშაგოს კაპრალები - 22 წლის ხვიჩა დეკანაძე, 26 წლის ირაკლი ტუღუში, 21 წლის დილარ ქიზინიძე, 22 წლის ზაზა ლომსიანიძე და მისი მამა 47 წლის თამაზ ლომსიანიძე. აღნიშნულმა პირებმა არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნისას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს საგზაო პოლიციის თანამშრომლებს - პოლიციის კაპიტან ზურაბ გამყრელიძეს და რიგითებს: ნიკოლოზ წიქორიძეს, პავლე კვირიკაშვილს და ოლეგ თათულიშვილს. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს თერჯოლის რაიონის სოფელ თუზში მცხოვრები, მკვლელობისთვის ნასამართლევი, 64 წლის სერგო აბესაძე, რომელმაც ურთიერთშელაპარაკებისას ხელით დაახრჩო 80 წლის ავთანდილ ხომერიკი, ხოლო შემდეგ სახლი გაუქურდა. საქმეს იძიებს პროკურატურა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მცხეთელი, 29 წლის გიორგი მნათობიშვილი პოლიციელებმა ავტომანქანის ნაწილების მოპარვის ბრალდებით დააკავეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, დაკავებულმა გელოვანის ქუჩაზე მდებარე ავტომანქანის შემკეთებელ საწარმო "ჩეკატოს" მიმდებარე ტერიტორიაზე გაქურდა ლევან ვარდანაშვილის კუთვნილი "ვაზ 2106". პოლიციელებმა დაკავებულისაგან ავტომანქანიდან მოპარული ნივთები ამოიღეს. საქმეს იძიებს საგამოძიებო სამსახურის ვაკე - საბურთალოს განყოფილება.პოლიციელებმა ამავე ბრალდებით დააკავეს ნასამართლევი, 26 წლის ოთარ მერიძე, რომელსაც ბრალი ედება ვაზისუბანში, ერთ-ერთი კორპუსის ეზოდან თეა მჭედლიძის კუთვნილი ავტომანქანა "აუდის" გაქურდვაში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 16 წლის ირაკლი ავალიანი, 21 წლის დავით ბეგალიშვილი და 18 წლის ზვიად ლეჟავა პოლიციელებმა ავტომანქანების ნაწილების ქურდობის ბრალდებით გუშინ, ცოტნე დადიანის ქუჩაზე დააკავეს. ბეგალიშვილს, ლეჟავასა და ავალიანს ბრალად ედებათ სამედიცინო დანადგარების კომბინატის ეზოდან მურმან ხვედელიანის კუთვნილი "ოპელ-ომეგას" და ემზარ ფილიშვილის კუთვნილი "მერსედესის" მარკის ავტომანქანების გაქურდვა. საქმეს იძიებს თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურატურა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ფოთში მცხოვრები, აფხაზეთიდან დევნილი, 38 წლის რუსლან შარია, რომლისგანაც ამოიღეს ოთხ ჩეკად დაფასოებული 0.210 გრ ჰეროინი. მისი განმარტებით, აღნიშნული ნარკოტიკი მან შეიძინა ზუგდიდში მცხოვრებ, ორჯერ ნარკოტიკების რეალიზაციაზე ნასამართლევ, 55 წლის ვაკონა ბერიშვილისგან, რომელსაც ქუთაისის საოლქო სასამართლომ 2003 წლის 20 აგვისტოს მიუსაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელი მსჯავრდებულ ბერიშვილს გადაევადა ჯანმრთელობის გაუმჯობესებამდე. ბერიშვილი დაკავებულია. **მედია-ნიუსი**

# ასლან აბაშიძის პირად ტუსაღთა ბედით იუსტიციის მინისტრი დაინტერესდა

თამარ კაციტაძე

*წლების განმავლობაში საზოგადოებას ასლან აბაშიძის პირად ტუსაღად მონათლული თენგიზ ასანიძის გვარი ესმოდა, "ვარდების რევოლუციის" შემდეგ კი ეს სია კიდევ უფრო გაიზარდა. მამია და უსუფ ქოქოლაძეები, ნოდარ, ზაურ და ვახტანგ შოთაძეები, დავით ასანიძე, მამუკა მოსიავა, დავით ჯაბუა, ჯონი ხვადაგიანი, თამაზ ჯინჭარაძე, ივანე შადუროვი და ჯუმბერ ყულეჯაშვილი ის პიროვნებები არიან, რომლებიც აჭარის უშიშროების სამინისტროს იზოლატორში და "ურეხის ციხედ" წოდებულ ბათუმის №3 საპყრობილეში წლების განმავლობაში უკანონოდ იხდიან სასჯელს და ამის ერთადერთი მიზეზი აჭარის ლიდერის სურვილია.*



მარიკა ავარველაშვილის ფოტო

*გიორგი პაპუაშვილი აჭარაში უკანონო პატიმრების არსებობის პრობლემას გამოეხმაურა.*

აბაშიძის პირადი პატიმრების შესახებ ინფორმაცია პირველად დაახლოებით ერთი თვის წინ გავრცელდა, როდესაც ბათუმის საპატიმროებში იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შტაბის უფროსის მოადგილემ სოსო თოფურიძემ რევიზია ჩაატარა და იქ არსებული უკანონობის შესახებ ცენტრალურ ხელისუფლებას ანგარიში ჩააბარა.

**"დღემდე ბათუმის №3 საპყრობილეში არიან თენგიზ ასანიძის საქმესთან დაკავშირებით დაპატიმრებული ძმები - იოსებ და მამია ქოქოლაძეები და ბიძაშვილები ნოდარ, ზაურ და ვახტანგ შოთაძეები. ასლან აბაშიძეს არ სურს ასანიძეთან დაკავშირებით დაპატიმრებულთა ციხეში გადაყვანა და ამიტომ კანონის მოთხოვნაც წლების მანძილზე არ სრულდება. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ კანონიერება აღვადგინოთ და ბათუმის საპყრობილეში პატიმართა უფლებები დავიცვათ"**, - განაცხადა ბათუმიდან დაბრუნებულმა სოსო თოფურიძემ.

მას შემდეგ ერთი თვე გავიდა, მაგრამ დასახელებულ პატიმართა ბედი კვლავ უცვლელი დარჩა. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, იოსებ და მამია ქოქოლაძეები, ნოდარ, ზაურ და ვახტანგ შოთაძეები ცხრა წლის მანძილზე განსაზღრული მკაცრი რეჟიმის დაწესებულების ნაცვლად, სასჯელს უმძიმეს პირობებში, კვლავ ბათუმის N3 საპყრობილეში იხდიან.

თენგიზ ასანიძის გარდა, ყველა დაპატიმრებული მკვლელობის მუხლით გაასამართლეს და 10-დან 12 წლამდე პატიმრობა შეუფარდეს. თენგიზ ასანიძეს კი მაშინ განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხების მითვისების გამო 8 წლით თავისუფლების აღკვეთა აკამრეს; თუმცა მას შემდეგ, რაც ბათუმის ყოფილი მერი პრეზიდენტმა შეიწყალა და აბაშიძეს "პირად ტყვესთან" განშორების საშიშროება დაემუქრა, აჭარის სამართალდამცველებმა ასანიძეს ვაჟა გოგიტიძის მკვლელობის საქმე გაუხსენეს და უკვე მისჯილ სასჯელს 12 წელი კიდევ დაუმატეს.

ამ პრობლემას გუშინ იუსტიციის ახალი მინისტრი გიორგი პაპუაშვილი გამოეხმაურა და სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნა.

**"ამ ქმედებით დაირღვა კანონი "პატიმრობის შესახებ", რომლის თანახმად, მსჯავრდებულები სასამართლოს გადაწყვეტილებიდან 10 დღეში სასჯელის მოსახდელად უნდა გადაიყვანონ სასამართლოს მიერ განსაზღრულ დაწესებულებაში; ამიტომ ყველა იმ პირს, ვისაც დასახელებული პატიმრების ბადრაგირება ევალება, საჯაროდ ვუბრძანებ პატიმართა კანონით კუთვნილ დაწესებულებაში დაუყოვნებლივ გადაყვანას. წინააღმდეგ შემთხვევაში, იმათი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება, ვინც კანონის აღსრულებას ხელს შეუშლის,"** - ასეთია მინისტრის გადაწყვეტილება. ბადრაგის სამსახურის თანამშრომლებს თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის მაქსიმუმ სამი წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.



უსტაბაში

ირაკლი ბერიაშვილი

## მასწავლებლები

ამ ბოლო დროს ჩვენს ახალგაზრდა ხელისუფლებას, განსაკუთრებით კი პრეზიდენტს, უამრავი ჭკუის დამრიგებელი გამოუჩნდა. რა პროფესიის ხალხს არ ნახავთ ამათ შორის. ეს ექიმიო, ეს ექიმბაშიო, სხვადასხვა დონისა და რანგის ექსპერტებიო, კაი მსმელები და კაი დროსტარების მოყვარულები, ლიტერატორები, მეღვინეები და მელუდეები, უბრალოდ, ფულიანები, ჟურნალისტებსა და იურისტებს ხომ თვლა არა აქვს...

ისე, ამდენი მასწავლებელი რომ ჰყოლოდა, იქნებ შევარდნაძესაც ევარგა. მაგრამ წინა პრეზიდენტს, პირდაპირ ვიტყვი, არ გაუმართლა. ჭკუას არავინ არიგებდა - ეტყობა, აპრიორი ჭკვიანად მიაჩნდათ - ზოგი ალალად, ზოგიც ყასიდად, მარტო იმას ეძახდა, წადი, წადიო. ამ ახალს სხვანაირად ექცევიან, სულ გული უფანცქალებთ, რამე არ შეეშალოს, ხან აქედან შეაშველებენ იდეას, ხან - იქიდან, ურჩევენ, აფრთხილებენ, არიგებენ... რაღაც ეგრე მახსოვს, რომ არჩევნებზე ამათთვის არ მიმიცია ხმა, რატომღაც მგონია, რომ ამ ხალხს ასაკი ატყუებს.

- მასწავლებლებისთვის ერთი ვაგონია ჩამომდგარი ნავთლუღის სადგურზე!

ეტყობა, ხმამაღლა ვფიქრობდი, ისე ლოგიკურად დაასრულა ჩემი ეჭვები ჩემმა ბოდბისხეველმა ბიძაშვილმა. მთელი წინა კვირა თბილისში გაატარა, მიიხედ-მოიხედა, მიდგა-მოდგა, აქეთ ამას დაუგდო ყური, იქით - იმას და, ამ სიტუაციას ანალიზიც არ სჭირდება, ყველაფერი ისედაც ნათელიაო. აი, ამ მასწავლებლობაზე კი, ეტყობა, ვეღარ მოითმინა და აზრი ცოტა ხმამაღლა მოუვიდა.

მერე ერთხანს იმაზე ვკამათობდით, ერთი ვაგონი იყო თუ ორი. და, საერთოდ, საქმისთვის როგორი უფრო აჯობებდა, საბრძოლო მდგომარეობაში თუ მოსვენებული. ბოლოს შევთანხმდით, რომ, ნებისმიერ შემთხვევაში, ერთი ვაგონი იქნებოდა თუ ორი, მაინც მოსვენებულ მდგომარეობაში აჯობებდა - მეტი დაეტეოდა. კლიენტურაა ძალიან გაზრდილი და იმიტომ.

იმას რომ აქაური ამბები აინტერესებდა, მე იქაური გამოვკითხე. შეჭამეს ხალხიო.

ჰო, ეგრე იქნება, რა თქმა უნდა. ამ პატარ-პატარა ვირთხებმა, ეტყობა, დრო იხელთეს - სანამ თბილისში ასლანას პრობლემით არიან დაკავებული, ჩვენ ჩვენსას ვიზამთო.

სიღნაღში ერთ ჩვენს მოგვარეს შეუჩნდნენ, ეტყობა, იმისი ადგილი უნდათო. ხო იცი, როგორც ხდება ხოლმე, ახალს დანიშნავს და ფულს აიღებს.

მოგვარეს რომ დაგიჩაგრავენ, უფრო გაბრაზდები კაცი, მაგრამ მარტო ეს არ არის. მე ჩემი ბიძაშვილისა მჯერა, აი, იმ კაცისა კი, ყოფილი გამგებელი როა და ეხლა მერად რომ ზის - არა.

ეგ ის არ არის, არასრულწლოვანის გაუპატიურებაზე რომ უჩიოდნენმეთქი? ეგ არიო.

ჰოდა, თუ ეგ არის, გადაეცი მაგასაც და სხვებსაც, თაროზე საქმეების დაობება მოდაში აღარ არის-თქო. ვირის აბანოში კი ადგილი ჯერ კიდევ ბევრია - ყოფილებისთვისაც და ახლანდელებისთვისაც, სულ ერთია, დეპუტატი იქნება, გამგებელი თუ მერი...

მარტო მასწავლებლებსა და პერიფერიულ პრობლემებს რომ შევეწუხებინე, ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, მაგრამ...

ამას წინათ თინა ხიდაშელმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უჩივლა, ქობულეთისა და ხულოს არჩევნები უკანონოდ გააუქმეო. კეთილი და პატიოსანი. კანონი კანონია. ხიდაშელი მავანი და მავანი კანონის მავან და მავან მუხლებს ეყრდნობოდა. მაგრამ მავანი და მავანი კანონის მიხედვით განაჩენი სასამართლოს გამოაქვს, სასამართლო ადგენს, დაირღვა თუ არა კანონი.

განაჩენის გამოტანამდე თინა ხიდაშელი ახლა ხელისუფლებას მიუბრუნდა - ჩემი ვარაუდით, ეს ყველაფერი ბათუმის პროვოცირებისთვის დაგჭირდათო!

სანამ ხიდაშელი სასამართლოში ჩიოდა, აბსოლუტურად მართალი გახლდათ, მაგრამ საკმარისი იყო, მუხლებიდან ვარაუდებზე გადასულიყო, რომ ჩაიჭრა. რა თქმა უნდა, ვარაუდების გამოთქმა კანონის დარღვევა არ არის, მაგრამ ვარაუდებზე თუ მიდგება საქმე, მაშინ რომ ავდგე და მეც ვივარაუდო, ქალბატონი თინა ასლან ბაბუსთან არის შეკრული-მეთქი... ვითომ ლოგიკურად ვერ ჩაჯდება ვარაუდების ამ ჯაჭვში?

აი, ეგრე იცის ვარაუდებმა. ახლა კი უფრო სერიოზულად:

ყელამდე დანაშაულში ჩაფლულმა კაცმა და მისმა კრიმინალურმა გარემოცვამ ომი გამოუცხადეს საქართველოს. სულ არ მაინტერესებს, რას დაარქმევენ ამ ომს - ინფორმაციულს, საკონსტიტუციოს თუ ნამდვილ სამხედროს - ომი ომია. სხვათა შორის, ყველაზე ნამდვილი და საშინელი ომები სწორედ ინფორმაციული თუ საკონსტიტუციო ომებით იწყება. ომი მართლაც ომია, მით უფრო, რომ იმ კაცსა და მის გარემოცვას არც ტანკები აკლია, არც ვერტმფრენები, არც ზარბაზნები. ავტომატებსა და პროფესიონალ ინსტრუქტორებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ომის დროს კი დეზინფორმაცია, პროვოკაცია, ამ ფორმით იქნება თუ იმ ფორმით, ჯერ არავის აუკრძალავს. მეტოქის მოტყუება ომში კი არა, თამაშებშიც კი, არა მარტო დასაშვებ, აუცილებელ ხერხად ითვლება.

რა გამოდის, ჩემო თინა, თუ ყველაფერი ისეა, როგორც შენ ამბობ, მაშინ საქართველოს ხელისუფლებას ხელს უშლი მტრის მოტყუებაში. ოღონდ არ თქვა ახლა, ეს ჩემი ვარაუდია, ეს ჩემი სიმართლეაო. მაშინ იმ კაცს რაღას ერჩით, აღა მაჰმად ხანს ერეკლეს ჯარის რაოდენობისა და ზარბაზნებისა და მეზარბაზნეთა თაობაზე ინფორმაცია რომ მიაწოდა და ლამის შინ გაბრუნებული ხანი უკან მოაბრუნა?! ცუდი ხომ არაფერი უქნია, სიმართლე თქვა!

აი, ამ ომის თემაზე გამართული ძალიან სერიოზული დებატებისას დაახლოებით ეგეთივე სიმართლე თქვა კობა ლიკლიკაძემაც. სამხედრო ექსპერტმა ტელევიზიით საქვეყნოდ განაცხადა, რომ ძალთა დღევანდელ დაპირისპირებაში წარმატებული სამხედრო ოპერაციის ჩატარება შეუძლებელია. ასლანის გონებრივი შესაძლებლობები საყოველთაოდაა ცნობილი, მაგრამ არც ისეთი სულელია, როცა ექსპერტები ეუბნებიან, იარაღით ვერაფერს დაგაკლებენო, ადგეს და იარაღი დაყაროს. ახლა ამას აყაყანებული მასწავლებლებიც დაამატეთ - ფუა იქნება, სისხლი არ გვინდაო, თითქოს ან რინგზე არ ენახოთ სისხლი, ან ქუჩაში. ისე იმორცხვებენ, ისე ინაზებიან და ისე უფრთხიან, თითქოს ქალწულობას ართმევდეთ ვინმე.

ამათ ხსენებაზე ერთი ანეკდოტი გამახსენდა, ჩემმა ბიძაშვილმა მიამბო ბოდბისხევში გამგზავრების წინ. აღარ მახსოვს, ირინა სარიშვილზე იყო თუ დეპუტატ ადა მარშანიაზე. თუმცა, რა დაგიმალოთ და, ამას არცა აქვს მნიშვნელობა, ორივეზე მშვენივრად წავა. იმიტომ რომ, მაგალითად, პახმელიაზე ხაშიც კარგია და კიტრის მწნილის წვენიც სულ რაკრაკით მიდის.

მოკლედ, ირინა სარიშვილმა, ანდა, თუ გნებავთ, ადა მარშანიამ, ოქროს თევზი დაიჭირა. გამიშვი და ბედსა გწევ, ერთ ნებისმიერ სურვილს შეგისრულებო, თევზმა. ადამ, აფხაზეთი დააბრუნე საქართველოშიო. შეწუხდა ოქროს თევზი, მშვენიერი სახე დაემანჭა. მერე თავი ასწია, ადას საწყლად შეანათა თვალები და... ეგ ძალიან ძნელი და სათუო საქმეა, იქნებ სხვა რამე მთხოვოო. მაშინ გამალამაზეო, უთქვამს ადას. წამით ჩაფიქრებულა ოქროს თევზი და, ეეჰ, ჯანდაბას ჩემი თავი, მაიტა საქართველოს რუკაო...

კარგი საქმეა ანეკდოტი, მაგრამ კიდევ უკეთესია ტელევიზორი. კაცი სამასი კილომეტრის იქით ბობოქრობს, შენ კიდევ აქ გირტყამს დენივით. აი, ეგეთი მრისხანე სახე და ხმა ჰქონდა ჩვენი ჭადრაკის გამრიგეს ზურაბ აზმაიფარაშვილს. მინისტრებს ვინ ჰკითხავს, მე, ილუმჟინოვსა და აბაშიძეს გვინდა და აქ, ბათუმში უნდა ჩავატაროთ ჩემპიონატიო. კაცოო, ეუბნებიან, ქუჩაში ტანკები დგას, ხალხს სცემენ, ჟურნალისტებსაც კი არ ინდობენ, რა ჩემპიონატი აგიტყდათო. არა, გინდა თუ არა, უნდა ჩავატაროთო. ჭადრაკი თუ არ ვითამაშეთ, დაიღუპება ერიო. ძალიან კატეგორიული იყო პრეზიდენტი. ბოლოს კი, არც აცია, არც აცხელა და, ფული მოგვეცით ბიუჯეტიდანო!

ეს ბიუჯეტი ჩემი და ჩემნაირების ფულით ივსება, ზურაბ სპორტსმენო! მე ვალდებული ვარ, განათლებისთვის, პოლიციისა და ჯარის შესანახად გადავიხადო ფული. ჭადრაკის დაფინანსებას კი არც ვაპირებ და კატეგორიული წინააღმდეგიც ვარ. თუ ეგრე გიყვარს ეგ თამაში, ითამაშე, არავინ გიშლის, შენი გართობისთვის მე რატომ უნდა ვიხადო ფული?

ესენი, სპორტსმენებს ვგულისხმობ, ისევ იქ არიან, ძველ დროში. მაგრამ მე უფრო სხვა რამემ გამაკვირვა. ეს რომ რომელიმე ისეთი თამაში ყოფილიყო, სადაც ჭკუას მაინცდამაინც დიდი გასავალი არა აქვს, კიდევ ჰო, მაგრამ მოჭადრაკე რომ ვერ ხვდება, რისთვის სჭირდებათ აბაშიძეებს ჩემპიონატი, მოჭადრაკეს რომ ფეხებზე ჰკიდია "ასლანას აჭარის" ფაქტობრივად სხვა სახელმწიფოდ გადაქცევა, უნებურად ვფიქრობ, რომ ამ მოჭადრაკეს სააზროვნო ორგანო ზუსტად იმ მასალისა აქვს, რა მასალისგანაც ჭადრაკის ფიგურები და დაფა კეთდება.

დაბოლოს, ორიოდე სიტყვა ჭადრაკის ორ ყველაზე დიდ მოამაგეზე. თუ მამა-შვილი აბაშიძეებიდან ერთ-ერთი მაინც მოახერხებს და პირველივე ცდაზე იპოვის დაფაზე, ვთქვათ, g4 უჯრას, მაშინ ჩემი ერთი თვის ხელფასი დაუყვედრებლად შემიწირავს ჭადრაკის განვითარებისთვის. ამასთან, აუცილებლად დავთანხმდები ჩემპიონატის ბათუმში ჩატარებასაც.



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

ცხოვრებისეული ისტორიები

## პიკვიკის ჩაი

აფხაზეთის ომის შესახებ ყველას სხვადასხვა მოგონება აქვს და მათი უმეტესობა, რა თქმა უნდა, ძალიან მწარეა. საოცარია, მაგრამ, როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, აფხაზეთის ომის მოგონებისას მაშინვე მახსენდება ცნობილი "პიკვიკის ჩაის" რეკლამა.

საიდან სადაო, იტყვით ალბათ, მაგრამ ახლავე აგიხსნით, თუ რატომ ხდება ასე.

ჩვეულებრივ, ომის პერიოდში, სროლები და დაბომბვები რომ იწყებოდა, მეზობლები ქუჩას გადავირბენდით და მოპირდაპირედ მდგარი დიდი სახლის სარდაფში ვიკრიბებოდით, რადგან ჩვენი სახლი სანდო არ იყო.

ერთ ჩვეულებრივ დილას, როდესაც დაბომბვა დაიწყო, ისე გავიქეცი სახლიდან, რომ საუზმობაც კი ვერ მოვასწარი (დილაობით საუზმობას, ასე თუ ისე, ყოველთვის ვახერხებდი).

ფაქტობრივად, მთელი დღე სარდაფში ვიჯექი მეზობლებთან ერთად. როგორც იქნა, შეწყდა დაბომბვა და სროლები და მაშინვე ჩვენჩვენს სახლებში გავიქეცით. რაც მთავარია, დამავიწყდა მეთქვა, რომ ჩვეულებრივ, დილაობით, ნავთქურაზე სქელძირიანი ქვაბით ცომს შემოვდგამდით ხოლმე და ცხვებოდა ასე პური, თავისით. მთელი დღე რომ არ მივსულიყავი, საოცარია, მაგრამ პური არ ფუჭდებოდა.

სწორედ ასე იყო იმ დღესაც: ნავთქურაზე შემომდგარი მქონდა ქვაბი, პურს ვაცხობდი, დაბომბვამ რომ მომისწრო და სახლიდან სასწრაფოდ გამოსვლამ მომიწია.

სახლში მიბრუნებულს საოცარი სურათი დამხვდა: ძალიან კარგი პური გამომცხვარიყო. ალბათ, პური რომ კარგი იყო, მეჩვენებოდა, რადგან ძალიან მშიოდა. ბევრი დრო არ მქონდა, ჩაი უცებ ავადუღე... თხელ ჭიქაში ჩავასხი და როცა მდუღარე წყალს ჩაის ფერი ჩავამატე, ჩაი ისეთი ლამაზი ფერი იყო... საოცარი...

ვუყურებ ჩაის, ვტკბები, ზუსტად ისეთი იყო, "პიკვიკის ჩაის" რეკლამა რომ გადიოდა იმ დროს ტელევიზორში... სწორედ ისეთი იყო ჩემი ჩაი...

ჩაის ყურებით გართულს, მეზობლების ყვირილი შემომესმა, უნდა გავქცეულიყავი...

ამიტომ, ის ჩაიც მაგიდაზე ხელუხლებელი დამრჩა და ის პურიც. თურმე, მაშინ უკანასკნელად ვიყავი ჩემს ოთახში, სოხუმში...

ამ ამბის შემდეგ, სამი დღის განმავლობაში არაფერი მიჭამია, არც საჭმელი გვქონდა და არც საამისო პირობები...

როცა ახლა, ამდენი წლის შემდეგ მახსენდება ომი, თითქოს მაშინ სხვა სიმწარე არაფერი მენახოს, მაშინვე მახსენდება "პიკვიკის ჩაის" რეკლამა და ის ლამაზი ფერები, რომელიც იმ ჩაის ნაყენს ჰქონდა, მე რომ შეუსმელი და ხელუხლებელი დამრჩა ჩემს ბინაში, სოხუმში...

*რუბრიკას უძღვება*
*ლელა მარგიანი*

***რადიოპროექტი - "ცხოვრებისეული ისტორიები" ხორციელდება ინგლისური საერთაშორისო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" მიერ. ჩანაწერები მოგვაწოდა რადიოპროგრამა "პოსტფაქტუმმა".***

**რადიო "მწვანე ტალღა"**

**ამიერიდან ყოველ ორშაბათს 11.00-დან 12.00 საათამდე პროექტი "თქვენი აფხაზეთი" რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში წარმოგიდგენთ დიალოგს, პირდაპირ ჩართვებს, კითხვა-პასუხს.**

***FM 107,4***

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

## მეომრებს არ სურთ ომის გამეორება

ზაზა ფარჯაშვილი

*თამაზ ცინარიძე საქართველოს ექსკომბატანტთა (ყოფილ მეომართა) კლუბის თავმჯდომარეა და ყოველმხრივ ცდილობს ქართველ და აფხაზ მეომართა შორის ურთიერთობებისა და ნდობის ფაქტორის აღდგენას. მისი აზრით აფხაზებთან შეხვედრის შემდეგ მან ინტერვიუში გააჟღერა აფხაზ მეომართა ერთი ნაწილის აზრი იმის შესახებ, რომ აფხაზეთის კონფლიქტში დამნაშავე ორივე მხარეა და რომ შეცდომები ორივემ უნდა აღიაროს. ამას მოჰყვა შეხვედრის ერთ-ერთი აფხაზი მონაწილის ბათალ კობახიას საპასუხო წერილი, სადაც ის წერს, რომ თამაზ ცინარიძემ აფხაზების უბრალო თავაზიანობა დაუყოვნებლივ შერიგებისათვის მზადყოფნად მიიღო. საბოლოოდ, ბათალ კობახიამ თავის წერილში ისეთი პათოსი განავითარა, რომ საქართველოს მხრიდან აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებისა და ხელშეუხებლობის გარანტიის გარეშე შერიგების პერსპექტივაზე და დევნილების დაბრუნებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი ყოფილა. ამ ფაქტისა და აფხაზეთთან დაკავშირებულ სხვა პრობლემებზე ვესაუბრეთ ბატონ თამაზ ცინარიძეს.*



თამაზ ცინარიძე

ზაზა ფარჯაშვილის ფოტო

თამაზ ცინარიძე დაიბადა სოხუმში. იქ დაამთავრა საშუალო სკოლა და უმაღლესი - საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი. ჯარის შემდეგ ასპირანტურაში ჩააბარა. 1984 წელს დისერტაცია დაიცვა. მუშაობდა ოჩამჩირის ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანების მთავარ ინჟინრად, გენერალური დირექტორის მოადგილის შემსრულებლად. იყო აგროსამრეწველო გაერთიანების დირექტორის პირველი მოადგილე. არის დოცენტი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, 60-მდე სამეცნიერო სტატიისა და 20-მდე გამოგონების ავტორი.

**- ბატონო თამაზ, ვინ არის ბათალ კობახია?**

- ბათალ კობახია აფხაზია, აქვს არასამთავრობო ორგანიზაცია "ჰუმანიტარული პროგრამების ცენტრი". რამდენჯერმე საქართველოშიც იმყოფებოდა. საკმაოდ კარგი ურთიერთობა აქვს ჩვენს დევნილ მწერალ გურამ ოდიშარიასთან, რომელთან ერთად [illegible] იმოგზაურა. ჩემთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა მოსკოვის შეხვედრამდე.

**- მაინც რის გამო აღშფოთდა ბათალ კობახია?**

- შარშან ნოემბერში ქართულ-აფხაზური პროგრამის ფარგლებში ბრიტანული ორგანიზაციების - "შერიგების რესურსებისა" და "საერთაშორისო განგაშის" ინიციატივით, მოსკოვში მოეწყო ე.წ. სტრატეგიული შეხვედრა. იქ იყვნენ ორივე მხარის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მათ შორის - ექსკომბატანტებიც. მე წარმოვადგენდი ექსკომბატანტებს საქართველოს მხრიდან.

დიალოგი ძალიან რთულად დაიწყო. ზოგმა აფხაზმა ისიც კი თქვა, ქართველებთან სალაპარაკო რა გვაქვს, მაგრამ შემდეგ ნელ-ნელა გაიხსნენ. ექსკომბატანტებს შორისაც მძიმე, მაგრამ კონსტრუქციული საუბარი წარიმართა.

ოფიციალური ნაწილის გარდა, კერძო, კულუარული შეხვედრებიც იყო. ბანკეტიც მოეწყო, სადაც ქართველებსა და აფხაზებს უფრო გულღია ურთიერთობები გვქონდა. სადღეგრძელოებიც გამოვხატეთ და რაღაც-რაღაცეები აფხაზებმაც თქვეს. მაგალითად, ითქვა, რომ შეცდომები დაშვებული იყო ორივე მხრის მიერ და თუ ქართველები აღიარებენ ამას, მაშინ აფხაზებმაც უნდა აღიარონ გარკვეული შეცდომები და ა.შ.

ამის შესახებ განვაცხადე ინტერვიუში და სწორედ ეს მოხვდა გულზე ბათალ კობახიას, რომელმაც წერილი მოსკოვური შეხვედრის ყველა მონაწილესაც გაუგზავნა [illegible]. ამ სახის ეპისტოლარული [illegible] "гражданское общество"-ში გაერთიანებულები საპასუხო წერილი ყველა გააღიზიანა. მათ შორის, ის საერთაშორისო ორგანიზაციებიც, რომლებმაც მოსკოვური შეხვედრა მოაწყვეს.

კობახია აფხაზეთში არ არის მიღებული, როგორც მეომარი და ამიტომ იგი ყოველთვის ცდილობს, ექსკომბატანტების საკითხს გვერდი აუაროს.

**- თქვენი აზრით, რატომ გააკეთა ეს?**

- ის იყო შეხვედრის ერთ-ერთი ფასილიტატორი და, ალბათ, მოთხოვნეს პასუხი იმის გამო, რომ აფხაზური მხარის დელეგაციის წევრებმა ასეთი რაღაც თქვეს. მოგეხსენებათ, აფხაზეთში ჩვენსავით ღია საზოგადოება არ არის და იქ განსხვავებულ აზრს ხმამაღლა ვერ გამოთქვამ.

**- თვითონ რა პოზიცია უკავია შეხვედრაზე?**

- ვერაფერს გაუგებ, კონკრეტულს არაფერს ამბობს - დარეგულირების [illegible] პროცესისაო, ხალხი ერთმანეთს უნდა ხვდებოდესო, [illegible]. სხვა, თუნდაც უფრო რადიკალურად განწყობილი ადამიანებიც კი უფრო კონკრეტულად საუბრობენ.

**- ჩვენთან შეშფოთება გამოიწვია თავად პოზიციამ. "აფხაზურ კლუბში" ითქვა, რომ თუ კობახიასნაირად ფიქრობენ აფხაზეთში, მაშინ მთელი ეს შეხვედრები და დიალოგები დროის ფუჭი კარგვა ყოფილა.**

- აფხაზეთი კობახიათი არ იწყება და არ მთავრდება. იქ დაბადებულ-გაზრდილი კაცი ვარ, ძალიან ბევრი მეგობარიც მყავს (აფხაზურიც მესმის და მეგრულიც) და მათი აზრი ვიცი. ესენი არიან ვაჟკაცი ბიჭები, რომლებსაც სიტყვის თქმაც შეუძლიათ და საქმის კეთებაც. მე მრავალი აფხაზის აზრი ვიცი. მათ საქართველოში დაბრუნება და ცხოვრება უნდათ.

**- თქვენ საიდან იცით მათი აზრი?**

- ძალიან ბევრი აფხაზი ჩამოდის საქართველოში. ბევრს რუსეთში და უკრაინაში შევხვდი. მათ არ სურთ ისეთ აფხაზეთში ცხოვრება, სადაც სრული განუკითხაობაა. რამდენიმეს ვკითხე, თუ რატომ არ ცხოვრობდნენ აფხაზეთში, რომელმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ეცინებოდათ ხოლმე, რომელ დამოუკიდებლობაზე გველაპარაკებიო. აფხაზეთში ვინც ცხოვრობს, იხტიბარს არ იტეხს, თორემ ძალიან უჭირთ.

**- ომამდე როგორი ურთიერთობა იყო აფხაზებსა და ქართველებს შორის?**

- სავსებით ნორმალური ურთიერთობა იყო, ვმეგობრობდით. თუმცა, აფხაზებს ყოველთვის ჰქონდათ ნაციონალური გამოხდომები. თითქოს სერიოზული არაფერი იყო, მაგრამ ბოლო ხანებში დამოუკიდებლობის მოთხოვნა სულ უფრო და უფრო მკვეთრი ხდებოდა. ჩვენმა, ქართულმა დეპუტაციამაც ვერ იმუშავა იმ დონეზე, როგორიც საჭირო იყო და მერე მოხდა კიდეც ეს უბედურება.

**- თქვენ ექსკომბატანტი ხართ, რომელ შენაერთში იბრძოდით?**

- მე შევქმენი ერთ-ერთი პირველი ოცეული, რომელსაც "თამარი" ერქვა. ჩვენ გავერთიანდით მოხალისეთა ბატალიონ "ცხუმში". აფხაზებმა იციან, ვინ სად და როგორ იბრძოდა.

**- თქვენი აზრით, როგორ უნდა მოგვარდეს აფხაზეთის პრობლემა?**

- ჩვენი კლუბის სტრატეგიაა აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარება და იმის მიუხედავად, რომ ჩვენს პოზიციას თავს არავის ვახვევთ, ამაში ბევრი თანამოაზრე გვყავს. მთავარი ქვაკუთხედი ისაა, რომ საქართველო უნდა გახდეს მიმზიდველი ქვეყანა - ეკონომიკურად სტაბილური, არაკორუმპირებული და აფხაზებს იმაზე გაცილებით მეტი უნდა შევთავაზოთ, რასაც დღეს რუსეთი ჰპირდება. ჩვენ ხომ, ფაქტობრივად, ჯერ არაფერი შეგვითავაზებია აფხაზებისთვის. თუ მათ ექნებათ ხელშეუხებლობისა და განვითარების ოფიციალური გარანტია, შეგვირიგდებიან. აფხაზებმა იციან, რომ ქართველები გენოციდის მომწყობი ხალხი არ ვართ. თავის დროზე საქართველომ აფხაზებს მისცა ყველაფერი, რისი მიცემაც შეიძლებოდა.

**- რა შეიძლება იყოს ასეთი ხელშეუხებლობის გარანტია?**

- ეს უნდა იყოს კონცეფცია და შესაბამისი პროგრამა საქართველოს ტერიტორიული მოწყობის შესახებ. ჩვენ ხომ უნდა ვუთხრათ აფხაზებს, როგორ მოწყობას ვთავაზობთ? მხოლოდ იმის ძახილი, რომ თქვენ უნდა იყოთ საქართველოს შემადგენლობაშიო, არაფერს მოგვცემს. როგორც ვიცი, მთავრობაში წარდგენილია პაატა ზაქარეიშვილისა და სხვა ავტორების მიერ შედგენილი კონცეფცია. იქ აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში მოიაზრება, მაგრამ, რამდენადაც მე ვიცი, ის კონცეფცია მოწონებიათ თბილისში, სერგეი შამბას ხელმძღვანელობით ჩამოსულ აფხაზური დელეგაციის წევრებსაც. გამოდის, რომ მუშაობა შეიძლება.

არის კიდევ სხვა კონცეფციებიც, რომელთა ძირითადი პრონციპია ერთ სახელმწიფოში თანაცხოვრება და უფლებების გამიჯვნა.

**- ექსკომბატანტების ურთიერთობა რამდენად წაადგება შერიგების პროცესს?**

- ექსკომბატანტებს შორის პირველი შეხვედრა 4-5 წლის წინათ ქალაქ ნალჩიკში მოეწყო. მაშინ ექსკომბატანტთა კლუბს ბატონი გურამ კვარაცხელია ხელმძღვანელობდა. მიღებული იყო ურთიერთშეთანხმება თანამშრომლობის შესახებ.

იმ შეხვედრის გაგრძელება იყო შარშანდელი დეკემბრის შეხვედრა მოსკოვში, სადაც მიწვეულნი იყვნენ სამხრეთ კავკასიის ექსკომბატანტები. იქ მივაღწიეთ შეთანხმებას იმის შესახებ, რომ 2004 წლის პირველ ნახევარში ქართველ და აფხაზ მეომრებს შორის შეხვედრა თბილისშიც მოგვეწყო. ამის შესახებ შედგა დოკუმენტი, რომელიც თბილისში ბათალ კობახიას უნდა გადმოეგზავნა, მაგრამ დღემდე არაფერი მიგვიღია. მე ვფიქრობ, იგი ამ შეთანხმებამაც გააღიზიანა.

რაც შეეხება ექსკომბატანტებს, მათ აფხაზეთში საკმაოდ დიდი ძალა აქვთ. ამიტომ მათთან ურთიერთობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ელემენტარულია - თუ ექსკომბატანტები შეთანხმებას მიაღწევენ, ანუ ერთმანეთს არ ესვრიან ის ყოფილი მეომრები, ვისაც თავის დროზე იარაღი ეჭირა და დღესაც პოტენციური მეომარია, მაშინ თანაცხოვრების, მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტი აფხაზეთში მართლაც დიდი იქნება. ეს ხალხი ნამდვილი მეომრები არიან, რომლებმაც ნახეს ომის მთელი საშინელება და მათ აღარ სურთ ამის გამეორება.

ერთი სიტყვით, მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მგონია, რომ აფხაზეთის პრობლემა ამ 4 წელიწადში მოგ-

## ხელოვნებას შეუძლია, მტრულად განწყობილი ხალხი ერთ მაგიდასთან დასვას

*ჩვენი გაზეთის მკითხველებს, ალბათ, ახსოვთ, რომ დავით ბაძაღუა ა.წ. 27 იანვარს ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიადან გაიტაცეს. იგი სეპარატისტების მიერ გატაცებული, რიგით 2001-ე ქართველი იყო. დათო ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციას ხელმძღვანელობს და აფხაზეთში ჰუმანიტარული მისიით იყო ჩასული. ქართული მედიის წყალობით ძალიან გახმაურებული, მისი მოტაცების ფაქტი საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა. ამ დიდი ზეწოლის შედეგად სეპარატისტები იძულებულნი გახდნენ, 26 მარტს იგი ტყვეობიდან გაეთავისუფლებინათ.*

ლელა მარგიანი

**- დათო, რატომ გადაწყვიტე მეგობრებთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაციის დაფუძნება?**

- წარმოშობით გალის რაიონიდან ვარ. მართალია, რამდენიმე წელია თბილისში ვცხოვრობ, მაგრამ ჩემი ოჯახი - დედა და ძმა ისევ აფხაზეთში არიან. მეც ხშირად ჩავდივარ გალში. ყოველი ჩასვლისას ვაფიქსირებდი იქ დარჩენილი მოსახლეობის, განსაკუთრებით, ახალგაზრდების მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. მათ სულიერად ძალიან უჭირდათ, განსაკუთრებით გახშირდა თვითმკვლელობის ფაქტები და ეს ხდებოდა არა მხოლოდ მძიმე ეკონომიკური პირობების ფონზე, არამედ ეკონომიკურად "წარმატებულ" ოჯახებშიც. უკანასკნელი წლების მანძილზე, მხოლოდ გალის რაიონში, ოცდაშვიდმა ახალგაზრდამ მოიკლა თავი. ამან ყველაფერმა დაგვაფიქრა მე და ჩემი მეგობრები და გადავწყვიტეთ, გალში დარჩენილ ახალგაზრდებს როგორმე დავხმარებოდით. სწორედ ამიტომ დავაფუძნეთ არასამთავრობო ორგანიზაცია და მიზნად დავისახეთ, ახალგაზრდების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია.

**- კონკრეტულად, რითი დაიწყეთ?**

- კარგად მახსოვს ჩვენი, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის, პირველი სტუმრობა გალში. გალის რაიონის ქართული სკოლების ბავშვებს ჩავუტანეთ სახატავი რვეულები, ფანქრები, საღებავები, ქართული წიგნები. ვუთხარით, რომ თბილისში ახსოვთ ისინი, ვესაუბრებოდით ხელოვნებაზე, მხატვრობაზე. მოვუწყვეთ კონკურსები საუკეთესო ნახატისა და ლიტერატურული ნაწარმოების - მოთხრობის ან ლექსის გამოსავლენად. შემდეგ, მათი ნამუშევრები თბილისშიც ჩამოვიტანეთ. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, როგორი გახარებულები იყვნენ ბავშვები ყურადღებით. მათი პედაგოგები გვეუბნებოდნენ, თქვენი სტუმრობით ბავშვები ძალიან გააქტიურდნენ, სწავლითაც უკეთესად სწავლობენ, გახალისდნენო. ეს მართლაც უდიდესი მხარდაჭერა და თანაგრძნობა იყო მათთვის. ეტყობა ჩვენი ჰუმანური ქმედება გახმაურდა და სოხუმშიც შეიტყვეს ამის შესახებ. იქიდან ორჯერ სერიოზული გაფრთხილებაც მივიღეთ. იძულებულნი გავხდით, საქმიანობა მცირე ხნით შეგვეჩერებინა.

**- მაგრამ მალე ისევ განაახლეთ...**

- მართლაც, ცოტა ხანში განვაახლეთ მუშაობა და ამის მიზეზი გალიდან მიღებული ინფორმაცია იყო, რომელმაც ძალიან "გაგვალიზიანა". თურმე, გალელი პედაგოგები ჩვენზე ნაწყენები იყვნენ და ამბობდნენ, ესენიც სხვებივით ყოფილან, ბავშვებს იმედი მიეცათ, მათ კი მიგვატოვესო. ამ ინფორმაციამ ძალიან იმოქმედა ჩვენზე და მაშინ გადავწყვიტეთ, რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, დანაპირები შეგვესრულებინა და კონკურსში გამარჯვებული ბავშვები თბილისში ერთხელ მაინც ჩამოგვეყვანა.

ბავშვების უსაფრთხოდ ჩამოყვანაში, თანადგომა ვთხოვეთ გაერო-ს, მალხაზ კაკაბაძეს. მათ მოიწონეს ჩვენი გადაწყვეტილება, საჭიროდ მიიჩნიეს ბავშვების რეაბილიტაცია და თანადგომასაც დაგვპირდნენ. მალხაზ კაკაბაძემ დარეკა სოხუმში, ესაუბრა შანბას, ქიშმარიას და თანხმობაც მიიღო. თანადგომა გაგვიწია საქართველოს რკინიგზის ახალმა ხელმძღვანელობამ, რომელმაც ერთი ვაგონი უფასოდ გამოგვიყო. მართლაც, ძველით ახალ წელს 42 ბავშვი და მათი 8 პედაგოგი თბილისში ჩამოვიყვანეთ.

ბავშვების უმეტესობა პირველად იყო თბილისში. ზოგი მატარებელშიც კი პირველად იჯდა. ბავშვებს დავათვალიერებინეთ დედაქალაქი, წავიყვანეთ ზოოპარკში, კინოთეატრ "ამირანში", ოპერის თეატრში, "მაკდონალდსში". შეხვედრები ჰქონდათ ბატონ როინ მეტრეველთან და ახალგაზრდული პარლამენტის წევრებთან. უნივერსიტეტის რექტორმა მათ სამახსოვროდ წიგნები და საჩუქრები გადასცა. მცირე ფინანსური დახმარება გაგვიწია გალის გამგეობამ და "აფხაზეთის კულტურულ-პლიტიკურმა ცენტრმა". ბავშვების სტუმრობის შესახებ დოკუმენტური ფილმიც გადავიღეთ. უნდა აღვნიშნო, რომ გალიდან ჩამოყვანილ ბავშვებს შორის სამი აფხაზური გვარის ბავშვიც იყო, მაგრამ არც მათ მშობლებს შეშინებიათ შვილების თბილისში გამოშვება. პირიქით, ბევრი ნაწყენიც კი დაგვრჩა, რომ ვერ წამოვიყვანეთ. ჩვენ მეორე ეტაპად დარჩენილი ბავშვების ჩამოყვანა გვინდოდა, მაგრამ მეორე ეტაპი, ჯერჯერობით, ჩაგვიშალეს.

**- რა პირობებში მოხდა თქვენი გატაცება?**

- თბილისიდან ბავშვები უკან გავაცილეთ მე და ჩემმა მეგობარმა თემურ ქორთუამ. დაბრუნებისა და შეხვედრის სიხარულის გადაღებაც გვინდოდა. 24 იანვარს დავბრუნდით გალში ბავშვებთან ერთად. ყველაფერი გადავიღეთ, ქვემო ბარღების სკოლაშიც შევიარეთ, რადგან იქ ცეკვის და სიმღერის სტუდია აქვთ და მათაც გადავუღეთ. საღამო ხანს ფეხით წამოვედით უკან. სოფელ ოტობაიასთან ჩატეხილი ხიდია, იქამდე მივედით და რადგან უკანასკნელმა ავტობუსმა ხუთი წუთით გაგვასწრო, დაღლილებმა შესვენება გადავწყვიტეთ. სწორედ ამ დროს გაჩერდა ჩვენთან მანქანა. გადმოვიდა ხუთი ნიღბიანი კაცი. მათ საბუთები მოგვთხოვეს და როდესაც ჩვენი გვარები წაიკითხეს, სიტყვებით - "А, это вы распространяите грузинские книги на нашей територии" - მანქანაში გვიკრეს თავი. ჩემმა მეგობარმა მანქანის კარი გააღო და გადმოხტომა შეძლო. ჩვენი გამტაცებლები მას აღარ გაეკიდნენ, რადგან ერთმა თქვა "Оставьте его, кто нам нужен, здесь сидит". ამ სიტყვების გაგონებაზე, ვიფიქრე, ცუდადაა ჩემი საქმე-მეთქი, ეს ფოტო- მასალა მაინც გადარჩეს-თქო და კასეტიანი პარკი მანქანიდან შეუმჩნევლად გადავაგდე. მერე თავში რაღაცა ჩამარტყეს და გონება დავკარგე. როცა გამოვფხიზლდი, პატარა ოთახში აღმოვჩნდი. იმ ოთახში გავატარე ტყვეობის ორი თვე.

**- როგორ გექცეოდნენ გამტაცებლები და, შენი აზრით, რატომ უარყოფდნენ შენი გატაცების ფაქტს ასე თავგამოდებით?**

- თავიდან ცუდად მექცეოდნენ, მერე - ნორმალურად. ძირითადად, ჩაის და პურს მაძლევდნენ. ჩემი გატაცების ფაქტს, ალბათ, იმიტომ უარყოფდნენ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ვიყავი. ჰუმანური მისიით ვახორციელებდი კულტურულ საქმიანობას და, ამდენად, ჩემი დაჭერის უფლება, რა თქმა უნდა, არ ჰქონდათ. ეს იყო ადამიანის უფლებების დარღვევა. მით უმეტეს, რომ საქმეში გაერო-ც იყო ჩარეული.

**- შენი მეგობრების იმედი გქონდა?**

- რა თქმა უნდა, მათი იმედი ყოველთვის მქონდა. თვითონ გამტაცებლებმა, გათავისუფლების დროს მითხრეს "Спасибо скажи своим друзьям, за то, что мы тебя отпускаем!". ჩემმა ნათესავებმაც მითხრეს შემდეგ, შენ არ იცი, რა მეგობრები გყოლია, შენს გამო რა ამბავი იყო ატეხილიო!

**- როგორ მოხდა შენი გათავისუფლება?**

- 26 მარტს უცებ შემოცვივდნენ ოთახში, ხელი ჩამავლეს, მანქანის საბარგულზე დამაგდეს და დაახლოებით ერთი საათის მერე, მანქანიდან ჩამომაგდეს. ბნელოდა და ვერ მივხვდი, სად ვიყავი. ჩაის გავერანებულ, ეკალ-ბარდიან პლანტაციებში კარგა ხანს ვიარე, გათენებისას ენგურის პირს მივაღწიე. დიდი ბუჩქი ვიპოვე და იქ დავიმალე. მაშინვე მომეხსნა ყოველგვარი დაძაბულობა - თავისუფალი, სამშვიდობოს ვიყავი, მაგრამ დედაჩემის და ჩემი ძმის დარდი მქონდა. დაღამებულზე, უკან დავბრუნდი. ჩემს სახლში მისვლა მაინც სარისკო იყო, ამიტომ მამიდაჩემის სახლისკენ წავედი. თავდაპირველად კი მამის საფლავი მოვინახულე. სხვა დროს არასდროს ვყოფილვარ ღამე სასაფლაოზე. მაგრამ ახლა არანაირი შიშის გრძნობა არ მქონდა. მამიდაჩემთან ტელევიზორის საყურებლად, მეზობლები იყვნენ შეკრებილი. უკანა კარები რომ გავაღე და გაბურძგნულმა, ორი თვის დაუბანელმა, წვერმოშვებულმა, ჭუჭყიან ტანსაცმელში ჩაცმულმა, კარებში თავი შევყავი, უმეტესობას შიშისგან გული წაუვიდა.

მერე დედაჩემი და ჩემი ძმა იქ მოვაყვანინე. მეორე დილას, ექვს საათზე ჩემმა ძმამ და ბიძაჩემმა ენგურზე გადმომიყვანეს. ზუგდიდში მამიდაჩემის სახლში მივედით, ახალი ტანსაცმელი მომიტანეს და მოწესრიგება ძლივს მოვასწარი, ჟურნალისტები დამადგნენ თავს. პირველი "რუსთავი-2"-ის კორესპონდენტი მოვიდა, არ ვიცი, ასე უცებ როგორ გაიგეს ჩემი გათავისუფლების ამბავი. ალბათ, უშიშროებამ შეატყობინა. პირდაპირ ეთერში გამიყვანეს, ისე ვღელავდი, არც მახსოვს, რა ვილაპარაკე. მერე ოფიციალური პირებიც მოვიდნენ, ჩემი მეგობრებიც ჩამოვიდნენ და მათთან ერთად, ორთვიანი პატიმრობის შემდეგ, თბილისში დავბრუნდი.

**- შენი გათავისუფლებიდან სამი კვირა გავიდა. ალბათ, სტრესულმა მდგომარეობამ გაგიარა. უკვე შეგიძლია სამომავლო საქმეებზე ფიქრი.**

- მეგობრებთან ერთად საინტერესო აქცია მოვიფიქრეთ. ერთი დიზაინერი მეგობარი მყავს თამუნა წერეთელი, კაბებს კერავს. აფხაზი მეგობრებიც ჰყავს. გვინდა, თამუნას შეკერილი კაბები მის აფხაზ მეგობრებს ჩავაცვათ და ერთობლივი ჩვენება მოვაწყოთ, ენგურის ხიდზე. ჩემი იდეა იყო, შუა ხიდზე დავდგათ მაგიდა ჟიურისთვის, რომლის წევრებიც იქნებიან ხიდზე მდგომი აფხაზი, ქართველი და რუსი ჯარისკაცები.

აქციის მთავარი მიზანია, რომ ხელოვნებას შეუძლია მტრულად განწყობილი ხალხი ერთ მაგიდასთან დასვას!

**- ორთვიანი პატიმრობის შემდეგ, როგორი განწყობა გაქვს აფხაზების მიმართ?**

- მე რელიგიური ადამიანი ვარ. მიმაჩნია, რომ ერთ ქვაბში ყველა არ უნდა იხარშებოდეს. იქ თუნდაც ერთი ადამიანი რომ იყოს ჩვენს სასიკეთოდ განწყობილი, ამ ერთს არ უნდა დავუკარგოთ ეს. თუ სიყვარულით მოვიქცევით, მაშინ გავიმარჯვებთ. მინდა აფხაზებს დავუმტკიცოთ, რომ მზად ვართ ცუდი დავივიწყოთ. მარტო მათ ხომ არ მოუკლეს ახლობლები და მეგობრები, ჩვენც მოგვიკლეს. ამიტომ ყველამ უნდა დავივიწყოთ ცუდი წარსული. ვიფიქროთ მომავალზე და ერთად ვაშენოთ იგი, ხშირად შევხვდეთ ერთმანეთს, მოვაწყოთ "კულტურული" აქციები, მოვახდინოთ ხელოვნების პოპულარიზაცია, განვავითაროთ კულტურა, რადგან სადაც კულტურაა, იქ მეტი სიყვარულია, ხოლო სადაც სიყვარულია, იქაა მშვიდობაც.

**- შენის აზრით, როგორ უნდა მოგვარდეს კონფლიქტი, კონკრეტულად რა უნდა გაკეთდეს ამისთვის?**

- დევნილები სულ ამ საკითხზე ვფიქრობთ. მე და ჩემს მეგობრებს მიგვაჩნია, რომ გამოსავალი ერთია - რუსებს უნდა ვთხოვოთ, თავი დაგვანებონ. თუ არ დაგვეხმარებიან კონფლიქტის მოგვარებაში, ხელს მაინც ნუღარ შეგვიშლიან. კარგია ამერიკასთან და ევროპასთან ურთიერთობა, მაგრამ ჩვენი აზრით, საჭიროა რუსეთის ახალგაზრდობასთან დამეგობრება, ურთიერთობების აღდგენა. პუტინ-სააკაშვილის შეხვედრის მერე სეპარატისტებს "გული უსკდებათ", ვაითუ ქართველებმა რუსეთთან ურთიერთობა მოაგვარონო.

ერთი მომენტიცაა გასათვალისწინებელი - აფხაზებს მათ მიერ დაკავებული სახლების ჩამორთმევის ეშინიათ. ერთმა აფხაზმა ახალგაზრდა მხატვარმა საუბარში გულახდილად მითხრა, რომ მას სულაც არ უნდოდა იარაღის ხელში აღება, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა, რადგან თავისიანები მოღალატედ გამოაცხადებდნენ. თან მისთვის ისიც უთქვამთ, რომ ომში წასვლის შემთხვევაში, საჩუქრად ქართველების სახლს მიიღებდა სოხუმში. შევარდნაძემ ააშენოს დიდი კორპუსები, და მაშინ მოვრიგდებით, თუ იმ სახლებს აღარ ჩამოგვართმევენო, - მიაჩნდა იმ აფხაზ მხატვარს 2002 წელს. ეს მართლაც ასეა - ბევრს სულაც არ უნდოდა ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლა. სწორედ ამიტომ დატოვა აფხაზური ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა აფხაზეთი და ჩვენსავით არიან დევნილობაში. არც მათ მოსწონთ არძინბას რეჟიმი. იქ, რუსეთში, ჩვენი დევნილები - ქართველები და აფხაზები ძალიან ახლოს არიან ერთმანეთთან, მეგობრობენ, ურთიერთობენ. შექმნილი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი სწორედ ასეთი ურთიერთობა და სიყვარულია.

www.24hours.ge
24 B

ნომრის სტუმარი

# მიკვირს, როგორ დგას ეს ქალაქი

## მერიაში სანიტარული სამუშაოს ჩატარება მოგვიწევს

*რა იყო მაინც თბილისი აღდგომა დღეს?! მოქალაქეთა დიდი უმრავლესობა საფლავების მოსანახულებლად სოფლებში და რაიონებში წასულიყო. ქალაქში დარჩენილებს ერთმანეთი უყვარდათ, გზას უთმობდნენ და უცნობებსაც კი ძველი, ნაცნობი ჟესტიკულაციით ულოცავდნენ ბრწყინვალე დღესასწაულს. ერთი 70 წელს მიტანებული ჭაღარა კაცი ხიდიდან მტკვარს უყურებდა, როცა ბიჭებით სავსე მანქანიდან ანცი "ავოიე" მოესმა, მას უყვიროდნენ. შემოტრიალდა, ორი თითი პირში ჩაიდო და ბიჭურად დაუსტვინა... თუმცა, ეს სანტიმენტები ახლა არც მოდურია და აღარც დროული. ქალაქში სხვა რიტმია და... სხვა მერიც.*

მაია ჭალაგანიძე

**- მგონი, პირველი მერი ხართ, ვინც მარცხენა სანაპიროზე ცხოვრობს...**

- მართლა? საკათედრო ტაძარი მარცხენა სანაპიროზე გადადის, პრეზიდენტის რეზიდენციაც, მერიც იქიდან იქნება...

**- იქ ნამდვილად რაღაც საინტერესო ხდება, რადგან პირველივე დღეს მოინახულეთ. რამე ახალი და უცნობი ნახეთ?**

- სულ რამდენიმე თვეა, რაც მანქანა მემსახურება, ცესკო-ს თავმჯდომარეობისას დამინიშნეს. ჩეულებრივ, ფეხით და სამარშრუტო ტაქსებით დავდიოდი და გზების პრობლემას კარგად ვიცნობ.

დღეს გავედით და ყველაზე მძიმე მაინც ვარკეთილი იყო. ყველგან არსებული მძიმე სოციალური პრობლემებისგან ამ რაიონს ის გამოარჩევს, რომ აქ კორპუსებს საძირკველი აქვს გამორეცხილი. ერთ პატარა მონაკვეთზე მესამე კატეგორიის 35 კორპუსი დგას.

**- პატრონის, მოჭირნახულის თვალით უკვე შეხედეთ ქალაქს?**

- ჯერ ეს განწყობა არ მაქვს. ჩემთვის მთავარია, რომ ნებისმიერი პრობლემა ერთჯერადად კი არ გადავწყვიტოთ, არამედ მას სისტემურად მივუდგეთ. პრობლემას თუ ვწყვეტთ, მასთან მიბრუნება აღარ უნდა მოგვიხდეს. ამ ეტაპზე ჩემი მთავარი ფუნქცია მერიის აპარატის სტრუქტურული რეორგანიზაცია და საკვანძო ფიგურების განსაზღვრაა.

**- სასტიკ ცვლილებებს აპირებთ?**

- დიახ.

**- ეს მერისა და პრემიერის უფლებამოსილებათა გამიჯვნასაც შეეხება?**

- ვფიქრობ, ასევე დარჩება. ფუნქციების გადანაწილება მაშინ არის მთავარი, როდესაც მერი და პრემიერი სხვადასხვა გუნდის წევრები არიან და ერთნაირი ხედვა არ აქვთ. მეც და ბიძინა ბრეგაძეც ბევრ საკითხს ერთნაირად ვუყურებთ. სხვადასხვაგვარადაც რომ ვუყურებდეთ, პრობლემები მაინც ერთობლივი ფიქრითა და მსჯელობით გადაწყდება.

**- კონკრეტულად რა შეიცვლება?**

- სამსახურების სიმრავლეა. ძალიან ბევრი სამსახური კონკრეტული პიროვნებისთვის არის შექმნილი. სქემის გაცნობამ დამანახა, რომ ყველაფერი იმისთვის არის შექმნილი, რომ ადამიანმა, რომელიც ამ ლაბირინთში შევა, მისთვის საჭირო ერთი ფურცლისთვის რაც შეიძლება მეტი ფული დატოვოს. ეს ხელოვნურად შექმნილი სქემები და ხუხულები აბსოლუტურად დასანგრევია.

მეორე საკითხია ამ სამსახურების სამართლებრივი სტატუსი - ერთმანეთის პარალელური ფუნქციები აქვთ. არსებობენ თითქმის დამოუკიდებელი საჯარო იურიდიული პირები, რომლებიც მხოლოდ ფორმალურად ემორჩილებიან პრემიერს, მათ საქმიანობაზე კი მთლიანად პრემიერია პასუხისმგებელი... ნამდვილად ვერ შევეგუებით იმას, რომ ჩვენდამი დაქვემდებარებაში იყვნენ პირები, ვისაც საკითხებისადმი განსხვავებული ხედვა აქვთ.

**- როდის წარადგენთ თქვენი შეხედულებების კონცეფციას?**

- მთავრობის დაკომპლექტებას, დაახლოებით, ორი კვირა დასჭირდება. ეს კონკრეტულ პრობლემებზე მუშაობის დასაწყებად არის საჭირო. სტრუქტურულ რეფორმებს კი, ალბათ, თვენახევარი დასჭირდება.

**- ძველ სახეებს ვიხილავთ?**

- მთავარი კრიტერიუმი პატიოსნება და პროფესიონალიზმია.

**- მერიაში ასეთი ადამიანები არიან? მუნიციპალიტეტი და პოლიცია ხომ კორუფციულ სისტემაზე იდგნენ?**

- რა თქმა უნდა. მილიონებია გამქრალი. სტრუქტურულ რეფორმაზე იმიტომ ვსაუბრობთ, რომ რაც უნდა დიდი ბიუჯეტი დაუმტკიცდეს ქალაქს, თუ ჩვენ თანხების მოძრაობის სქემები არ ვიცით, უძირო ქვევრად იქცევა. ჩემი ერთ-ერთი ფუნქციაა, დავინახო, სად მიდის ეს თანხები და შავი ხვრელები ამოვქოლო.

**- დღეს ქალაქის ბიუჯეტი 200 მილიონი ლარია. გეყოფათ?**

- ვფიქრობ, რომ ეს არ არის ცოტა თანხა. ამ რაოდენობით სერიოზული პროექტების განხორციელება შეიძლება. წინა ხელისუფლება მუდმივად თანხების სიმცირეს უჩიოდა. სინამდვილეში, თუ კარგ ეკონომიას აკეთებ და თანხებს მიზნობრივად მიმართავ, მცირე რაოდენობითაც ბევრი საქმის გაკეთება შეიძლება.

მაგალითისთვის ცესკო-ს მოვიშველიებ - იმას, რასაც განვითარებულ ქვეყნებში ათეულობით მილიონი დოლარი დასჭირდა, ის მაქსიმუმ, მილიონ ნახევრად გაკეთდა.

მთავარია ვიცოდეთ, როგორ მოძრაობს თანხები.

გუშინ დილას ისნის ბაზრობაზე მდებარე მანქანების სადგომზე მომუშავე ადამიანებმა მითხრეს, რომ გეგმა დიდია და არც იციან, ვის ჯიბეში მიდის ეს ფული. მათ ბანკის ანგარიშის ნომერი მთხოვეს, ყოველ დღე შევიტანთ ფულს, ოღონდ, გვჯეროდეს, რომ ჩვენი შეტანილი ფული ისეთ ფონდში ხვდება, სადაც ყველა არ აფათურებს ხელსო.

**- მთავარი პრობლემა კორუფციაა. ვის ინტერესებს დაეჯახებით?**

- ძალიან ბევრის. მოგეხსენებათ, სამარშრუტო ტაქსებთან მიბმულია მგზავრების, მძღოლების და საერთოდ ყველას ინტერესი, მაგრამ ეკონომიკური ინტერესი მხოლოდ იმათ აქვთ, ვინც წლების განმავლობაში ყიდულობდა ხაზებს და მანქანებს. ზოგიერთმა მართლა სახლი გაყიდა და ლუკმა-პურის საშოვნელად იყიდა მანქანა, მაგრამ ძალიან ცნობილი ხაზების დიდი ნაწილი ძალზე ცნობილი კორუმპირებული ადამიანების ხელშია. მათი სამართლებრივი საკითხი უნდა დადგეს, ეს ბიზნესი უნდა გათეთრდეს.

მერია და მისი სამსახურები იმ ტიპის ორგანოა, ღია მინდორშიც კი რაღაც სიბინძურეს იკრავს. ჩვენი ამოცანა ასეთი ჭუჭყის ჩამოცილებაა. მართვა მარტივია, როდესაც სტრუქტურაა მარტივი. როცა ქაოსია და ერთმა და იგივე დოკუმენტმა ათი ურთიერთსაპირისპირო სამსახურის ვიზირება უნდა მიიღოს, საკითხი თვეების განმავლობაში არ წყდება. მიკვირს, საერთოდ როგორ დგას ეს ქალაქი.

**- სტრუქტურების გამარტივების ცესკო-ში დაგროვილი გამოცდილება რამდენად გამოდგება მერიაში?**

- არ ვარ იმის სპეციალისტი, თუ რა შემადგენლობის ცემენტის ხსნარი უნდა ჩავასხათ შენობის საძირკველში და რა სისქის თუნუქით უნდა გადაიხუროს შენობა, მაგრამ თავს დავდებ, რომ შემიძლია პრობლემების ანალიზი და იმ მექანიზმის შექმნა, რომ არათუ მოვაგვაროთ, არამედ პრობლემების პრევენცია შევძლოთ.

**- კადრები, სპეციალისტები გეგულებათ?**

- რა თქმა უნდა. უბრალოდ, მათ ორგანიზება სჭირდებათ. ძალზე ბევრი სპეციალისტი არსებობს და მათ არასდროს არავინ ჭკუას არ ეკითხებოდა. ეს არავის არ სჭირდებოდა, რადგან ასფალტი ფურცელზე იგებოდა და ამაში მილიონებია დაკარგული. ამით ცილს არავის ვწამებ, თუკი ვინმეს ეჭვი ეპარება, შეუძლია ირაკლი ოქრუაშვილთან მივიდეს და ჰკითხოს, მართლა ასე იყო თუ - არა. ის კომპეტენტურ პასუხს გაგვცემს.

**- რა არის მუნიციპალიტეტში კორუფციის მთავარი ბუდე, ან ბუდეები?**

- 90-იანი წლების დასაწყისში პრივატიზაციის პროცესი დაიწყო. მერიის ხელში ქალაქის ქონება იყო. კონკრეტული პირები კი ამ ქონებას განკარგავდნენ. მათ ქონება გაიფორმეს, თუმცა ფორმალურად მერიის სამსახურში დარჩნენ. დღეს მერია ოდესღაც საკუთარ ქონებას ვიღაც შპს-სგან ქირაობს.

ქონების მითვისების საკითხს სასამართლო გაარკვევს. გარდა ამისა, უნდა ვნახოთ, რამდენად მიზანშეწონილია შენობებისა თუ ტექნიკის დაქირავებაში სახელმწიფომ მილიონები იხადოს. სერიოზული პრობლემებია გადასაჭრელი, მერიაში სანიტარული სამუშაოს ჩატარება მოგვიწევს.

დღესდღეობით, ორი ძირითადი მიმართულებაა გადასაწყვეტი - მექანიზმების შექმნა, სტრუქტურული რეორგანიზაცია და პარალელურად კონკრეტული პრობლემების გადაჭრა.

**- როგორ გადაწყდება უკანონო პრივატიზების, ან უკვე უკანონოდ აშენებულის ბედი?**

- არ ვიცი. პრივატიზაციის გადახედვა სერიოზულ პოლიტიკურ რყევებთან არის დაკავშირებული. მეორე მხრივ, არსებობს კანონი და სამართლიანობა, სწორედ ეს იქნება ჩვენი მოქმედების პრინციპი. რაც უკანონოა, ის კანონიერი უნდა გახდეს. ვფიქრობ, რომ მერიამ ბევრი ზედმეტი ფუნქცია უნდა ჩამოიცილოს, ხოლო რაც დარჩება, ეფექტური უნდა გახდეს.

**- კომუნისტებმა თბილისში მასივების დამკვრელურად შენებით ომი ერთდროულად ქალაქსაც გამოუცხადეს და სოფელსაც, ინფრასტრუქტურა ორივეგან დაინგრა. საიდან უნდა დაიწყოს ქალაქის კულტურული ინტეგრაცია?**

- გარეუბნებში იმიტომ არ წავსულვარ, რომ ვარკეთილია ყველაზე დაზიანებული უბანი, ქალაქის ცენტრშიც ცუდი მდგომარეობაა. პრობლემების თვალსაზრისით არც ერთი რაიონი არ არის უნიკალური. გარეუბნებში გასვლა მნიშვნელოვანია, რადგან თბილისი კულტურულად და სოციალურად ერთიანი ქალაქი უნდა გახდეს. გარეუბნის მცხოვრებსაც უნდა ჰქონდეს შეგრძნება, რომ ის ამ ქალაქის ნაწილია. ქალაქელი არ არის მხოლოდ ის, ვინც რუსთაველზე დადის და ცხოვრობს. მნიშვნელოვანია ამ დიდი ქალაქის კულტურული ინტეგრაცია. ქალაქში ცხოველი მიმოსვლა უნდა შეიმჩნეოდეს.

**- ლტოლვილები...**

- დიდი ინიციატივების გამოჩენა მიზანშეწონილი არ არის. წარმოუდგენელია ერთბაშად ყველა პრობლემის მოგვარება. უნდა განისაზღვროს, რა არის პრიორიტეტული. დევნილების საკითხი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით პრიორიტეტულია. როცა ეს პრობლემა წყდება, მერე იწყება მათი დეზინტეგრაციის საკითხი.

დღეს თბილისში პრიორიტეტულია გზები, მოძრაობის მოწესრიგება, შუქნიშნები.

**- ეგ ჩვენც გავიგეთ. პრეზიდენტმა 6 თვეში იმის გამოსწორება მოგთხოვ-**

მერიაში ყველაფერი იმისთვის არის შექმნილი, რომ ადამიანმა, რომელიც ამ ლაბირინთში შევა, მისთვის საჭირო ერთი ფურცლისთვის რაც შეიძლება მეტი ფული დატოვოს.



ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ 6 თვის მერე პროკურატურაში დაკითხვებზე სიარული არ მომიწევს.



მერია და მისი სამსახურები იმ ტიპის ორგანოა, ღია მინდორშიც კი რაღაც სიბინძურეს იკრავს. ჩვენი ამოცანა ასეთი ჭუჭყის ჩამოცილებაა.



ლევან ხერხეულიძის ფოტოები

არ მინდა, ჩემი დედაქალაქი ზარმაცი ქალაქების რიცხვში იყოს. ქალაქი დილის 6-7 საათზე თუხთუხს უნდა იწყებდეს.

**ათ, რაც ათწლეულების განმავლობაში ფუჭდებოდა, რატომ არ გაიქეცით მისი კაბინეტიდან?**

- როდესაც პრეზიდენტი ამ დავალებას იძლეოდა, ერთი მარტივი მიზეზის გამო არ გავიქეცი - ეს არის პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული უდიდესი ნდობა. მან (და საზოგადოებამაც) იცის, რომ არ ვარ ის ადამიანი, რომელიც ოდესმე რაიმე კორუფციაში იყოს შემჩნეული. ამ თვალსაზრისით მენდობიან და მენდობიან იმიტომაც, რომ თუ რამე საქმეს ხელს ვკიდებ, ბოლომდე მიმყავს, შუა გზაზე არ ვჩერდები. ამავე დროს მაქვს იმის შემართება, რომ სადაც სათქმელია არა, ვიტყვი არას და თუ სათქმელია ჰო - ჰოს ვიტყვი. როცა ასეთი ნდობაა.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ 6 თვის მერე პროკურატურაში დაკითხვებზე სიარული არ მომიწევს. თუ მერიიდან წავალ, სახლში წავალ. უბრალოდ, იტყვიან, რომ ეს ადამიანი ეცადა და ვერ შეძლო... ადამიანის შესაძლებლობებს ზღვარი აქვს.

**- მწვანე მაისური არ მოგენატრათ? დიდხანს ხომ არ შემორჩით სახელმწიფო სტრუქტურებს?**

- ჟურნალისტად და არასამთავრობოში მუშაობით არანაკლები გამოცდილება დავაგროვე, ვიდრე ცესკო-ში. თუ ცესკო-ში რამე გავაკეთე, სწორედ მანამდე დაგროვილი გამოცდილებით.

დასანანია, რომ აკადემიურ სფეროს, წიგნებს მოვწყდი...

**- უახლოესი ექვსი თვე ნამდვილად მოწყვეტილი იქნებით.**

- რა თქმა უნდა. შემიძლია ვთქვა, რომ უსაქმოდ არასდორს ვყოფილვარ და არც არასდროს დავრჩები. საქმის კეთების აზარტი ნამდვილად მაქვს.

**- მერობაზე უარის თქმა აზრად არ მოგსვლიათ?**

- არა.

**- ასეთივე წარმატებით გახდებოდით, ვთქვათ, ეკონომიკის ან კულტურისა და სპორტის მინისტრი?**

- არის სფეროები, სადაც ნამდვილად ვერ შევძლებდი მუშაობას. ეკონომიკის მინისტრობა ძალიან კარგ ეკონომიკურ განათლებას მოითხოვს. ასევე უარს ვიტყოდი კულტურის მინისტრობაზეც - სპეციფიკურ დარგებზე, შეიძლება, უარი მეთქვა. თუმცა... შეიძლება, არც მეთქვა უარი. ის, რომ დარგი სპეციალისტებმა უნდა მართონ, გარკვეულწილად საბჭოთა შეხედულებაა. მინისტრი პოლიტიკური თანამდებობაა და ამ პოსტზე პოლიტიკური ნება, საქმის გაკეთების ჟინი და ორგანიზატორული უნარია საჭირო. შეიძლება, გოკა გაბაშვილი არც ერთი სახეობაში სპორტის ოსტატი არ არის, მაგრამ თუ ის კარგი ორგანიზატორია, სპორტსაც გაუძლვება და კულტურასაც. მჯერა, რომ ასეც იქნება. თუ თავს ვერ გაართმევს, მის მიმართაც იგივე პირობაა, რაც მე წამიყენეს - ეს პრეზიდენტს არაერთხელ უთქვამს.

**- თქვენი გამოცდილება და საქმის კეთების უნარი, ასე თუ ისე, ვიცით. ვინ არის პრემიერი, მისი აღზრდაც მოგიწევთ?**

- დღეს, ძირითადად, ასაკოვან თბილისელებთან გვქონდა შეხვედრა. მათი ასაკის მიუხედავად ისინი იმედიანად გვიყურებდნენ. გარდა ამისა, ბიძინა ბრეგაძე "ნაციონალ-დემოკრატების" გენერალური მდივანი იყო და პარტიული სტრუქტურა ებარა.

**- ამ პარტიის ლიდერი, სახე და ავტორიტეტი პრეზიდენტია.**

- როგორი ავტორიტეტულიც არ უნდა იყოს პარტიის ხელმძღვანელი, თუ სტრუქტურა აწყობილი არ არის, შედეგი არ იქნება.

არათუ 26 წლის ბიძინა ბრეგაძე, არამედ, ჩემ გვერდით, 2 ნოემბრის არჩევნებში და ცესკო-ში მუშაობის დროს 21-22 წლის ადამიანები იყვნენ. იმიტომაც ვაპირებთ ტანდემში მუშაობას, რომ ერთმანეთის გამოცდილება გავიზიაროთ. ვერ ვხედავ ვერანაირ პრობლემას იმაში, რომ ჯერჯერობით, ბიძინა ბრეგაძე საზოგადოებისთვის ისევე ცნობილი სახე არ არის, როგორიც მე.

**- საიდან დაიწყებთ სისტემის რყევას?**

- ფორმალური სტრუქტურის ნგრევას იმ შავი სისტემის ნგრევაც მოჰყვება, სადაც ფული კეთდებოდა და ირეცხებოდა. სახელმწიფო ორგანოებში დამკვიდრებული წესით, ხელმძღვანელს აუცილებლად უნდა აელო წილი. როდესაც სტრუქტურას აუქმებ და სხვას უერთებ, ამით აუცილებლად ანგრევ.

სხვათა შორის, ცესკო-შიც მქონდა შემთხვევა, როდესაც დამკვიდრებული წესის მიხედვით, სტამბიდან, საპრეზიდენტო არჩევნებისთვის დაბეჭდილი ბიულეტენებიდან ე.წ. "ატკატი" მოიტანეს.

**- რამდენი იყო?**

- 2 თუ 3 ათასი. ამას ცესკო-ს მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების უფროსის გათავისუფლება მოჰყვა და ამით დამთავრდა. საპარლამენტო არჩევნებისთვის სხვა სტამბამ მორიდებით იკითხა, ასეთი პრაქტიკა რომ არსებობდა, ხომ არ გრძელდებაო... უარი რომ მიიღო, გაოცდა და მიხვდა, რომ ამ ქვეყანაში რაღაც წესები იცვლება.

ადამიანის გონებაში ცვლილებების მომზადებას დიდი დრო სჭირდება. რევოლუცია ჩვენს გონებაში დიდი ხნის განმავლობაში მწიფდებოდა. ამ ცვლილებების ფეხის აწყობას გარკვეული პერიოდი და ცვლილებებისადმი საზოგადოების შეგუება სჭირდება. ვფიქრობ, რომ საზოგადოებას კარგად ესმის ცვლილებების აუცილებლობა.

**- ბევრისთის საოცნებო თანამდებობა დაიკავეთ. ზოგს ამ თანამდებობაზე ფულის კეთება უნდოდა, ზოგს, უბრალოდ, უყვარს თავისი ქალაქი და ფიქრობს, რომ კარგი მერი იქნებოდა. თქვენ რა გხიბლავთ ამ თანამდებობაში?**

- ჩემთვის ყველა საქმე, პირველ რიგში, საკუთარი თავის გამოცდაა. გარდა ამისა, ეს ჩემი ქალაქიც არის - აქ დავიბადე და გავიზარდე და კარგად ვხედავ, რომ ქალაქის იერსახე წაშლილია. მთავარია, საზოგადოებას კომფორტი შევუქმნა და ვაჩვენო, რომ არსებობს ხელისუფლება ხალხისთვის და ხალხის სამსახურში. ამ ქვეყანაში ეს ახლა იწყება და ძალზე სასიამოვნო და საპატიოა იმ პროცესში მონაწილეობა, როდესაც ხელისუფლება ხალხის სამსახურში დგება.

საქართველოს დღეს ჰყავს პრეზიდენტი, რომელიც გადაწყვეტილებების მიღებისას არ ყოყმანობს. დღეს ისეთი ეპოქაა, თუ იყოყმანებ, საქმეს ვერ გააკეთებ.

**- რა ურთიერთობები ექნება მერს საკრებულოსთან?**

- წარმომადგენლობითი ორგანოს სიძლიერე ქვეყნის პოლიტიკურ კლიმატზე, თბილისის ამომრჩეველზე და პოლიტიკური კულტურის განვითარებაზეა დამოკიდებული. თვითმმართველობის ორგანოებმა გარკვეული ევოლუცია უნდა განიცადონ, რათა საზოგადოება მათ მნიშვნელობასა და საჭიროებაში დარწმუნდეს. რეალურ პრობლემებს თვითმმართველობის ორგანოები უფრო წყვეტენ, ვიდრე პარლამენტი. საქმე კარგად აწყობილი იმ ქვეყანაშია, სადაც ძირითადი ფუნქციებს თვითთმმართველობის ორგანოები აგვარებენ. ჩემი, როგორც მერის ფუნქცია ისიც არის, რომ საკრებულო აღმასრულებელი ხელისუფლების გასაკეთებელი საქმეების საჭიროებაში დაარწმუნოს, საზოგადოებას ქალაქის განვითარების თითოეული ნაბიჯის მნიშვნელობა უნდა ავუხსნა. მერის თანამდებობა ნახევრად სამეურნეო და ნახევრად პოლიტიკურია.

**- გარდა ამისა, თქვენ ხართ კულტურული ძეგლებით სავსე ქალაქის მერიც. რა ელის ძველი თბილისის წაშლილ სახეს?**

- მერიაში ძალზე მკაფიო და კარგი არქიტექტურული სტრუქტურაა ჩამოსაყალიბებელი. მიმაჩნია, რომ სახელმწიფოს ფუნქცია ისეთი სტანდარტების დაწესებაა, რომელიც ქალაქის იერსახეს შეგვანარჩუნებინებს, ქალაქს განავითარებს და ქალაქის მშენებლობაში ინვესტორის მონაწილეობის მოტივაციას შექმნის. სხვაგვარად, ჩვენი თანხებით ამას ვერ გავწვდებით. ზოგ ძეგლს გავამაგრებთ, ზოგს იგივე ფასადით, მაგრამ მყარად ავაშენებთ... მთავარი მოტივაცია საქმის კეთებაა და არა ფულის კეთება. დღეს ძალიან ვღელავ იმის გამო, რომ ბევრი პრობლემაა, მაგრამ სიმშვიდეს ის მაძლევს, რომ თუ სურვილია, საკითხები გადაწყდება.

**- რომელია მერის საყვარელი შენობა თბილისში?**

- ბევრი შენობა არა მხოლოდ იმის გამო მიყვარს, რომ არქიტექტურული ძეგლია, არამედ იმიტომაც, რომ მასთან გარკვეული ემოცია მაკავშირებს. იმის მიუხედავად, რომ თავის დროზე, შინაგანი პროტესტის ნიშნად, სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციების კითხვა შევწყვიტე, ეს შენობა ჩემთვის ქართული სახელმწიფოებრიობის ხელახლა დაწყებასთან და იმ ადამიანებთან ასოცირდება, რომელთაც სულიერი ფასეულობები შეგვინარჩუნეს. მერიის შენობაც საინტერესო შენობაა, "ქორთიარდ მერიოტმა" მოედანს სხვა ელფერი მისცა.

**- მოგწონთ?**

- დიახ. გარემოს, სადაც გაიზარდე, კარგი მოვლა და მიხედვა სჭირდება.

**- დღის რომელ მონაკვეთში გიყვართ თბილისი?**

- საღამოს.

**- იცით, თბილისში რომელი შენობაა უფანჯრო?**

- არა...

**- კერძო სახლი გაქვთ და, ალბათ, კომუნალური პრობლემებს მარტოც ერევით...**

- ვერ დავიკვეხნი, რომ ყველაფერი გამომდის, მაგრამ რაღაც გამიკეთებია. ახლა, რა თქმა უნდა, ამას ვერ ვახერხებ. სახლში დასაძინებლად მივდივარ და თუ ცოტა დრო მაქვს, ბავშვებს ვეკონტაქტები.

**- ზოდელავამ არ წაიღო სკამი და მაგიდა, რომელიც თურმე ყველა თანამდებობაზე თან დააქვს?**

- არა... თუ დავინახე, რომ საქმე კეთდება, ბიუჯეტი ივსება, თანხები მიზნობრივად მიდის და ადამიანებმა ცვლილებები დაინახეს, იმაზეც ვიზრუნებთ, რომ მერიაში სამსახური კომფორტული იყოს. თუ თანამშრომელს პირობები არ აქვს, ის სხვისი პირობების გაუმჯობესებაზე ვერ იზრუნებს. ჩემი ახლანდელი პირობები იდეალური არ არის, მაგრამ საკმარისია იმისთვის, რომ ვიმუშაო.

**- ალბათ, მეთანხმებით, რომ ეს თანამდებობა არჩევითი უნდა იყოს.**

- დიახ.

**- გინდათ, რომ 6 თვის მერე აგირჩიონ?**

- არ ვიცი. პრობლემებს ვხედავ, მაგრამ არ ვიცი, როგორი იქნება ეს გამოცდილება. 4,5 თვე ვიმუშავე ცესკო-ში და ყველა თვე აბსოლუტურად სხვადასხვანაირი იყო.

**- რა უნდა აკეთოს მერმა, ქალაქის პულსზე რომ ეჭიროს ხელი?**

- პირველ ხანებში, სტრუქტურულ რეორგანიზაციაზე და საკადრო პოლიტიკაზე კაბინეტში მომიწევს მუშაობა. ამის შემდეგ ჩვენი ფუნქცია ქალაქის მასშტაბით გასაკეთებელი საქმეების მიმართულების მიცემა და მათი კონტროლია. ქალაქის ეკონომიკურ ვითარებას მოძრაობის სიხშირით გრძნობ. ძალიან არ მსიამოვნებს, როდესაც დილის 8 საათზე ქალაქის მაჯისცემა ჯერ კიდევ არ იგრძნობა. არ მინდა, ჩემი დედაქალაქი ზარმაცი ქალაქების რიცხვში იყოს. ქალაქი დილის 6-7 საათზე თუხთუხს უნდა იწყებდეს.



# აფიშა

## კონცერტები

**კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
ხალხური მუსიკის კონცერტი
სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი "ფესვები"
დას: 19:00 სთ.

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი**
"უსიერ ტყეში"
აკუტაგავას რიუნოსკე ნაწარმოების მიხედვით
რეჟისორი: ნ. შოთაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ალექსანდრე ვამპილოვი
"მონადირე"
რეჟისორი: გ. შალუტაშვილი
დას: 19.00 საათზე

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
გაბრიელ გარსია მარკესი
"სიყვარულის სულთათანა"
სოფიკო ჭიაურელი თემურ ჩხეიძის სპექტაკლში
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

**ამირანი**
"მონსტრი"
დას: 13:30; 20:00; 22:30 სთ.

"ელფი"
დას: 16:00; 18:00 სთ.

## გამოფენა

**კოპალა**
ნათელა გრიგალაშვილის ფოტონამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ძველი გალერეა**
დათო ხიდაშელისა და ლაშა კინწურაშვილის ნამუშევრების გამოფენა

**სალონი "ხელოვნება"**
ხელოვნების ნიმუშებისა და საიუველირო ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა

**"ქარვასლა"**
ქრისტინე რობაქიძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა "ევოლუცია"

**"ჰობი"**
ახალგაზრდული შემოქმედებითი სტუდიის გამოფენა

**ბავშვთა ნახატების გალერეა**
ბავშვთა ნამუშევრების სააღდგომო გამოფენა

## ლექციები და ვორქშოპები

**თბილისის გოეთეს ინსტიტუტი**
გერმანელი ფოტოხელოვანი ახიმ რიხერსის ლექცია
და ვორქშოპი თემაზე: "ცხოვრების აღქმა - ფოტოგრაფია, როგორც ხელოვნების მედიუმი"
დას: 11:00 სთ

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# ლბილი სევდის დედა

## ბესო ხვედელიძის კინოპოემა

ნანა კობაიძე

ბესო ხვედლიძემ ახალი წიგნი გამოსცა, უფრო სწორად - წიგნები. გუშინ კაფე "პარნასში" მისი კინოპოემის (სახელწოდებით - "ლბილი სევდის დედა") პრეზენტაცია გაიმართა, პარასკევს კი ავტორი მოთხრობების კრებულით – "ძაღლური ცხოვრება" – წარდგება მკითხველის წინაშე.

"ნაწარმოებმა თავის სრულყოფილ სახეს რომ მიაღწია, რამდენიმე კომპეტენტურ ადამიანს წავაკითხე და მივხვდი, რომ დრო იყო, არენაზე გამომეტანა", – თქვა პრეზენტაციაზე ბესომ და კრებულის ბედი მკითხველს მიანდო. უნდა მოგახსენოთ, რომ ეგზემპლარმა, რომელიც ავტორმა მაჩუქა, რედაქციის თანამშრომელთა კრიტიკა დაიმსახურა. არა, ტექსტი არაფერ შუაშია, ჟურნალისტები გარეკანზე გამოსახულმა დაავადებული ფრჩხილის ფოტომ გააღიზიანა. "არაესთეტიკურია" – ასეთი იყო პირველი შეფასებები. თუმცა, როგორც იტყვიან, გემოვნებაზე არ დავობენ, ზოგს დაავადებული ფრჩხილი მოსწონს, ზოგს – ჯანმრთელი ღიმილი. მთავარი მაინც ის არის, რა დევს თავად ტექსტში. სამწუხაროდ, ამაზე ვერაფერს გეტყვით, იმ მარტივი მიზეზით, რომ რომანი ჯერ არ წამიკითხავს. თუმცა, პრეზენტაციაზე გარკვეული შეფასებები გამოითქვა და სწორედ მათ გაგიზიარებთ.

კარგა ხანია, თბილისური პრეზენტაციები ავტორის ქება-დიდებისა და, გენიოსად თუ არა, ლიტერატურის ამომავალ ვარსკვლავად გამოცხადების მშვენიერი საშუალებაა, გარდა ამისა - ლიტერატურული "ტუსოვკის" თავშეყრისა და ახალი ჭორების მიღება-გაცემის ადგილიც. გამონაკლისი არც გუშინდელი საღამო გახლდათ. ქება-დიდება არც მას აკლდა, თუმცა, თუ უმეტესწილად ეს გადაჭარბებულია ხოლმე, ბესოს შემთხვევაში, საფუძველს მოკლებული ნამდვილად არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, ბესო ხვედელიძე საინტერესო ავტორი ნამდვილად არის. მომავლისა მომავალმა იკითხოს, დღეს კი დღევანდელ კვერცხზე ვისაუბროთ, რომელიც ჟანრის თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, თანაბრად გამოიწვევს კინოსა და ლიტერატურის მოყვარულთა ინტერესს.



*ბესო ხვედელიძე პრეზენტაციაზე.*

ეს რომანი თავდაპირველად, ანუ დიდი ხნის წინათ, კინოსცენარად იყო ჩაფიქრებული. შემდეგ სახე და ფორმა იცვალა და კინოპოემად იქცა. თავად ავტორი ამ ჟანრს შემდეგნაირად განმარტავს, - "შევეცადე, კინოსა და ლიტერატურის მოყვარულთა გემოვნება ერთდროულად დამეკმაყოფილებინა და ამ ორი ფენომენის ზღვარზე გამევლო. ლიტერატურული კინოსცენარს თავისი ხერხები აქვს, სწორედ ეს ხერხებია გამოყენებული თხრობისას. სხვაგვარი რაკურსები და პანორამებია, რასაც პროზაში ნაკლებად შეხვდებით. გარდა ამისა, ეს რიტმული პროზაა, დაახლოებით ისეთი, ბესიკ ხარანაული რომ წერს. რა გამოვიდა - მე რომ მგონია ისეთი, უკეთესი თუ უარესი – მკითხველმა განსაზღვროს", - ამბობს ბესო.

რა გამოვიდა, რომანის პირველმა მკითხველებმა უკვე განსაზღვრეს. უპირველეს ყოვლისა, ეს კრიტიკოსი და ამ წიგნის რედაქტორი ზაზა კვერცხიშვილი გახლავთ, რომელმაც, ბესო ხვედელიძის თქმით, ყველაზე კარგად იცის ნაწარმოების ალი-კვალი და მისი ისტორია. "ამ ნაწარმოებს ბევრი ლაპარაკი არ სჭირდება, სულმოუთქმელად იკითხება და სულ სხვა სამყაროში გადაჰყავხარ. ჩემთვის მთავარი ისაა, რომ მიუხედავად ნატურალისტური დეტალებისა, იგი არასოდეს ჰყვება ჯირკვლების ამბავს, გულის ამბავს ჰყვება", – ბრძანა ბატონმა ზაზამ და ეს წიგნიც "გულის ამბავთა" რიცხვს მიაკუთვნა. და კიდევ, იგი მიიჩნევს, რომ ბულგაკოვის გმირების გადმოტანას თანამედროვე ლიტერატურულ სივრცეში დიდი გამბედაობა უნდა.

რა შუაშია ბულგაკოვი? - არ გეგონოთ, ავტორი რუს მწერალს ბაძავდეს ან, უფრო მეტი, ეჯიბრებოდეს. უბრალოდ, ბესოსთან მისი პერსონაჟები ახალ რეალობაში გვევლინებიან და კიდევ ერთი სიყვარულის ისტორიას თამაშობენ.

ავტორის აზრით, წინათქმა, რომელიც ზაზა კვერცხიშვილს ეკუთვნის, ძალზედ მნიშვნელოვანია მისი ნაწარმოების გასაგებად. იგი მას გასაღებს, წიგნის შემადგენელ ნაწილსაც კი უწოდებს და მიიჩნევს, რომ მისი წაკითხვით მკითხველს ნაწარმოების აღქმა გაუადვილდება.

აი, ეს იყო, რისი თქმაც მინდოდა. დანარჩენს თავად წიგნი გეტყვით. შემიძლია, ისიც დავამატო, რომ ბესო კიდევ რამდენიმე "მსხვილტანიან" ტექსტზე მუშაობს; დაზუსტებით იცის, რომ სექტემბერში ორ მათგანს გამოსცემს, დანარჩენებს კი – როცა თავად ჩათვლის დასრულებულად.

**P.S.** შოთა იათაშვილმა ორი დღის წინანდელი ამბავი გაიხსენა, – ბესომ მითხრა, ძალიან კარგი ინიციალები მაქვსო. შოთა უცებ ვერ მიმხვდარა, რაში იყო საქმე. პრეზენტაციაზე კი მისი მეგობარი იმ კედელთან იდგა, რომელსაც ბესიკ ხარანაულის დიდი პლაკატი ამშვენებდა. ცხოვრებაში შემთხვევით არაფერი ხდება და რაკი ასეთი კარგი დამთხვევა მოხდა, ბესოს ვუსურვებ, ამ ინიციალებით მეორე კლასიკოსად მოგვევლინოსო, – თქვა შოთამ.

# ჭილდო ლას ვეგასიდან

## "რუსთავი 2" საერთაშორისო მაუწყებლობის სრულყოფისათვის დააჭილდოვეს

*"რუსთავი 2" ერთ-ერთი აღმოჩნდა იმ ორ არაამერიკულ სამაუწყებლო კომპანიას შორის, რომელიც წელს "მაუწყებლობის ეროვნულმა ასოციაციამ" გამოარჩია. გუშინ ლას ვეგასის ყველაზე პრესტიჟულ და ისტორიულ სასტუმრო "ჰილტონში" (იქ, სადაც ელვის პრესლის კონცერტებს ესწრებოდნენ) ქართული ტელეკომპანიის ხელმძღვანელობას საერთაშორისო სამაუწყებლო სრულყოფის ჯილდო გადასცეს. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ლას ვეგასიდან ჯილდო პირველად წამოიღო დსთ-ს სივრცეში არსებულმა ტელეკომპანიამ.*

ვერა ნეფარიძე

"რუსთავი 2"-ის დამფუძნებელს ეროსი კიწმარიშვილს აღნიშნული ჯილდო (რომელსაც სიმბოლური მნიშვნელობა აქვს და მინისგან არის დამზადებული) "მაუწყებლობის ეროვნული ასოციაციის" მთავარმა ადმინისტრატორმა ედი ფრიცმა გადასცა. საზეიმო ცერემონიალზე "რუსთავი 2"-ს წარმოადგენდნენ ასევე: გიორგი ხაბურზანია და გოჩა ქუმსიაშვილი. დაჯილდოების ცერემონიალს მსოფლიოს წამყვანი სატელევიზიო კომპანიების წარმომადგენლებთან ერთად წინა წლების გამარჯვებულებიც (მათ შორის, პოპულარული ჟურნალისტი ოფრა ვინფრი) ესწრებოდნენ.

საერთაშორისო სამაუწყებლო სრულყოფის ჯილდო 1995 წელს დაარსდა. ჯილდოს მინიჭებით "მაუწყებლების ეროვნული ასოციაცია" გამოარჩევს იმ საერთაშორისო სამაუწყებლო კომპანიებს, რომლებიც დახვეწილი მაუწყებლობით გამოირჩევიან. აღსანიშნავია, რომ ამ ჯილდოს გადაცემისას ამერიკული ორგანიზაცია, პირველ რიგში, ითვალისწინებს ამა თუ ნომინანტის დამსახურებებს საკუთარი აუდიტორიის წინაშე. გამონაკლისი არც წელს დაუშვიათ. რამდენადაც ცნობილია, "მაუწყებლების ეროვნული ასოციაცია" თავიდანვე მოიხიბლა იმ სარეკომენდაციო წერილების შინაარსით (რაც, ცხადია, მათ გადაამოწმეს კიდეც), რომლებიც ასოციაციას საკმაოდ ავტორიტეტულმა ორგანიზაციებმა ("გლობალ სტრატეჯი გრუპ", "ინტერნიუსი", "ფოქს კიდსი") გაუგზავნეს "რუსთავი 2"-ის მხარდასაჭერად.

"მაუწყებლების ეროვნული ასოციაციის" დაჯილდოების ცერემონიალზე ყოველწლიურად ჯილდოები შვიდ ნომინაციაში გაიცემა. პრიზი, რომელიც 1995 წელს დაწესდა, დღეისათვის მსოფლიოს სამაუწყებლო ბიზნესში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოდ არის მიჩნეული. ის ყოველწლიურად ენიჭება ორ უცხოურ ტელეკომპანიას. ამჯერად, "რუსთავი 2"-თან ერთად ჯილდოს მფლობელი პაკისტანის GEO TV-ც გახდა.

ტრადიციულად "ჰილტონში" გამართულ დაჯილდოების ცერემონიალზე უამრავი სტუმარი იკრიბება. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საზეიმო ცერემონიალის პარალელურად მიმდინარე გამოფენაცაა. აღსანიშნავია, რომ მის სანახავად მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩადიან ერთადერთი მიზნით – ნახონ სამაუწყებლო ტექნიკის უკანასკნელი მიღწევები. "შეთანხმებათა ცენტრში" (ამავე ცენტრში ფორმდება მრავალმილიარდიანი ხელშეკრულებები მსოფლიოს უდიდეს ფირმებსა და სატელევიზიო კომპანიებს შორის; მოლაპარაკებებს მსოფლიოს ცნობილ ფირმებთან აპარატურის შესასყიდად ქართული ტელეკომპანიის ხელმძღვანელობაც აწარმოებს) წარმოდგენილია სამაუწყებლო ტექნიკური ბაზის ყველა ის კომპონენტი, რასაც საინფორმაციო სამსახურები იყენებენ, იქნება ეს ვიდეოკამერები თუ სატელიტური ანძები და ვერტმფრენები. ამას გარდა, ესაა ადგილი, სადაც წლის განმავლობაში მსოფლიო სამაუწყებლო სფეროში მოღვაწე ადამიანები იკრიბებიან, იმართება კონფერენციები, შეხვედრები... ესაა უზარმაზარი კომპლექსი, რომელიც შედგება კაზინოსგან, სასტუმროსა და უზარმაზარი საკონცერტო დარბაზისგან. ესაა ამერიკის დიდი პოლიტიკური თავყრილობების ცენტრი. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, "ჰილტონს" ისტორიული მნიშვნელობა მაინც ელვის პრესლიმ შესძინა. ლეგენდარული მუსიკოსი ხომ, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ამ სასტუმროში ყველაზე ხშირად გამოდიოდა. ამიტომაც, სასტუმროს შესასვლელში მისი ძეგლიც დგას.

# ავთანდილ პოპიაშვილის იუბილე



ნინო ჭორჭაძე

20 აპრილს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა მხატვარ ავთანდილ პოპიაშვილის 60 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა, სადაც ბატონ ავთოს ნამუშევრების გარდა, წარმოდგენილი იყო მისი ყოფილი მოწაფეების შემოქმედება. ეს იყო, გარკვეულწილად, მოწაფეებისა და მასწავლებლის შემოქმედების შეხვედრა.

წარმოდგენილი იყო ავთანდილ პოპიაშვილის ფერწერული ნამუშევრების საკმაოდ საინტერესო ნიმუშები. მათ შორის, აღსანიშნავია პარიზის პერიოდი: პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ამსახველი ტილო, ასევე - ძველი პერიოდის ტილოები, სადაც შედარებით რბილი ფერები სჭარბობს.

"ავთანდილი ფერებით მაჟორულად და ინტენსიურად ტვირთავს ნამუშევარს"; "იგი ფერებით ქმნის განწყობას", - გამოფენის გახსნაზე მოწვეულმა სტუმრებმა, რომელთა შორის იყვნენ: ნოდარ ლომოური, რადიშ თორდია და სხვები, მაღალი შეფასებები და ქება არ დაიშურეს იუბილარისადმი, რომელიც თავმდაბლად თავდახრილი ისმენდა საქებარ სიტყვებს.

გარდა იმ ღირსებებისა, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, ბატონი ავთანდილი უდავოდ საუკეთესო მასწავლებელია. ნამოწაფართა მიერ პედაგოგზე ნათქვამ თბილ სიტყვებზე უკეთ კი, ვფიქრობთ, მათივე ნამუშევრები მეტყველებს: თითოეულ მათგანს მკვეთრად დამახასიათებელი სტილი და თავისი, გამორჩეული ხელწერა აქვს. "ბატონი ავთო არ ზღუდავს სტუდენტებს; ნიჭიერების გამოვლენის საშუალებას აძლევს მათ და ეუბნება: "ხატე ის, რაც მოგწონს, და არა ის, რასაც მე ვხატავ", - ამბობს მისი აღზრდილი მხატვარი კახაბერ ტატიშვილი.

მოწაფეების თქმით, სამხატვრო აკადემიაშიც და "ნიკოლაძეშიც" ძალიან იშვიათია ისეთი პედაგოგი, რომელიც მთელ დროს სტუდენტებს უთმობს. ბატონი ავთანდილი არ ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ნამუშევარი გაყიდოს. ბევრი თანამედროვე მხატვრისგან განსხვავებით, ის ფერწერას ბიზნესად არ აქცევს.

ავთანდილ პოპიაშვილი, უკვე მრავალი წელია, ასე მუშაობს. და დღესაც ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის ნახევრად დანგრეულ აუდიტორიაში ის ისევ სტუდენტებით გარშემორტყმულია, ხატვის პროცესში გართული.

# მოკრძალებული იუბილე

## კულტურა, სპორტი, ბიზნესი და ქველმოქმედება

ვერა ნეფარიძე

*თბილისის მეგაკლუბი "აჭარა მიუზიკ ჰოლი" საცეკვაო მოედნის ფუნქციას ქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრის ფუნქციით შეიცვლის. კლასიკური მუსიკისა და ლიტერატურული საღამოების გარდა, კლუბში დაგეგმილია სხვადასხვა საინტერესო თემატური შეხვედრებიც. ეს სიახლეები გუშინ სააქციო საზოგადოება "სასტუმრო აჭარამ" მასმედიას ხუთი წლის იუბილესთან დაკავშირებულ საიუბილეო შეხვედრაზე აცნობა. ხუთი წლისთავი საზოგადოებამ ავლაბრის მიუსაფარ ბავშვთა სახლში კომპიუტერული კლასის საზეიმო გახსნითაც აღნიშნა.*

გუშინდელ შეხვედრას "აჭარა მიუზიკ ჰოლში" სააქციო საზოგადოების დამფუძნებლები – თორნიკე ბერიშვილი, ზვიად თედოზაშვილი (სპორტული გაზეთის - "ოლიმპის" მთავარი რედაქტორი) და კლუბის პრომოუტერი სერგი გვარჯალაძე მასპინძლობდნენ. სტუმარი არც ისე ბევრი იყო და საიუბილეო ღონისძიებაც საკმაოდ მოკრძალებული გამოვიდა. საერთოდ, კლუბში არაერთ საქველმოქმედო ღონისძიებას ჩაუვლია ზედმეტი აფიშირების გარეშე. საქველმოქმედო ღონისძიებები "სასტუმრო აჭარას" ერთ-ერთი რიგითი ტრადიციაა. ამჯერად სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, ავლაბრის მიუსაფარ ბავშვთა სახლს დახმარებოდნენ. გუშინდელი აქციის ინიციატორი გაზეთ "ოლიმპის" რედაქციასთან ერთად საფეხბურთო კლუბი "თბილისიც" იყო.



*თორნიკე ბერიშვილი, სერგი გვარჭალაძე და ზვიად თედოზაშვილი.*

"სააქციო საზოგადოება "სასტუმრო აჭარა", უკვე ხუთი წელიწადია, რაც ქართულ ბაზარზე მოღვაწეობს. ამ ხნის განმავლობაში საზოგადოებამ, რომელიც თავის რიგებში არაერთ კომპანიას აერთიანებს, მოასწრო თავის დამკვიდრება და კომერციული თუ არაკომერციული მოღვაწეობით ახალი ქართული ბრენდის წარმოჩენა. სააქციო საზოგადოების მთავარი მიზანი - ნოვატორული, თანამედროვე მიდგომა ბიზნესის მიმართ, დღესაც აქტუალურია "აჭარის" ყველა ერთეულისათვის (პოპულარული კლუბი "აჭარა მიუზიკ ჰოლი", ყოველდღიური სპორტული გაზეთი "ოლიმპი", საფეხბურთო გუნდი "თბილისი", საშუალო სკოლა-ლიცეუმი, სამორინე-ტოტალიზატორი და სხვა). კორპორაციულ პრინციპებთან ერთად ამ კომპანიებს საერთო მეპატრონეებიც აერთიანებენ", - ნათქვამია "სასტუმრო აჭარას" საინფორმაციო წერილში, რომელიც საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მომზადდა.

სააქციო საზოგადოებას მნიშვნელოვანი ცვლილებები აქვს დაგეგმილი "აჭარა მიუზიკ ჰოლთან" დაკავშირებით. ამჟამად დაწყებულია მოლაპარაკებები პარტნიორ ორგანიზაციებთან, რომლებთან ერთადაც კლუბი წელიწადში რამდენიმე ფესტივალს უმასპინძლებს. "კლუბის დაარსებიდანვე იყო საუბარი იმაზე, რომ ის არ დარჩენილიყო მხოლოდ საცეკვაო დარბაზად, არამედ ყოფილიყო ქალაქის ერთ-ერთი კულტურული ცენტრი", - გვითხრა სერგი გვარჯალაძემ და რამდენიმე სამომავლო პროექტიც გაგვაცნო. კლუბში გათვალისწინებულია წელიწადში, ყოველ სეზონზე თითო ფესტივალის მოწყობა. სავარაუდოდ, მათ შორის იქნება რეკლამის საერთაშორისო ფესტივალი ("ულტრა-ჯგუფის" თანაორგანიზატორობით) და ახალგაზრდა რეჟისორების მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალი. თუ გავითვალისწინებთ, რომ "მიუზიკ ჰოლს" საამისოდ კარგი ტექნიკური ბაზა აქვს, უნდა ვივარაუდოთ, რომ პროექტები საკმაოდ წარმატებული იქნება. გარდა ამისა, სერიოზული აქცენტები გაკეთდება ქართული კულტურის პოპულარიზაციაზე, რისთვისაც, კლუბის მესვეურების აზრით, ნიადაგი უკვე შემზადებულია. უახლოეს მომავალში კი "აჭარა მიუზიკ ჰოლი" კვლავ თანამედროვე მუსიკის მოყვარულების ყურადღებას მიიპყრობს. კლუბში ჯერ - ელექტრონული მუსიკის საღამო (24 აპრილის სტუმარი იქნება ენტონი პაპა), 29 აპრილს კი პოპულარული რუსული ჯგუფის "მუმი ტროლის" მეორე თბილისური კონცერტი გაიმართება.

# ჩვენ ვარსებობთ

## მუზეუმების სათქმელს ახმოვანებს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ვაჩეიშვილი

თეა პაიჭაძე

ისედაც ყველამ კარგად ვიცით და ამის გამეორება მოსაწყენი ხდება, გამაღიზიანებელიც თუ არა, რომ: "ყველა სფეროს უჭირს." მაგრამ, იმხელა სიყვარული ყველაფერი იმისა, რაც ქართულია და რეალურად ღირებული; იმხელა ერთგულება საქმისა, რომლის მისთვის დაკისრება დიდი დაფასება კია, მაგრამ უფრო დიდი პასუხისმგებლობა და ტვირთია; იმხელა ენთუზიაზმი და რწმენა იგრძნობოდა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილის ნიკოლოზ ვაჩეიშვილის არათუ თითოეულ სიტყვაში, არამედ თვალებშიც კი, რომ კიდევ ერთხელ ვიწამე: "ყველაფერი კარგად იქნება!" ამ კონკრეტულ შემთხვევაში კარგად იქნება საქართველოში მუზეუმების საქმე.

ბ-მა ნიკამ სინანულით ისაუბრა საქართველოს მუზეუმების პრობლემებზე, რომლებიც "არ ახალია." **"საცავებში მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა, თითქმის არსად არ ხდება ტემპერატურის რეგულირება, სიბნელეა, ტენიანობა მაღალია, ექსპონატები ხშირად ერთმანეთზეა მიდებული, არაა ისინი თანამედროვედ რეგისტრირებული და რაიმეს მოძებნა რომ დაგჭირდეს, შეიძლება ვერც მიაგნო."** პერიოდულად საზოგადოებისთვის ხდებოდა ხოლმე ცნობილი, როგორ ზიანდება ექსპონატები შენახვის უვარგისი პირობების გამო, ზოგ შემთხვევაში ნადგურდება, და ხან იკარგება კიდეც! ექსპოზიციის განახლება ნებისმიერი მუზეუმისთვის ყოველთვის დიდ იშვიათობას წარმოადგენდა. თავი და თავი ყველაფრისა ერთი იყო, მიზეზი ერთი სახელდებოდა - დაფინანსების სიმცირე. რაკი ეს პრობლემა არასდროს გადაწყვეტილა (და ძნელი საფიქრებელია, რომ ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ახლო მომავალში შეიცვალოს ამ მხრივ რამე) - არც მდგომარეობა იცვლებოდა არასდროს. კულტურის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა მთავარ პრობლემას სხვა რამეში ხედავს - მართვის სისტემის არარსებობაში. თუ ამ სფეროში არ გატარდა ცვლილებები, დაფინანსების გაზრდის შემთხვევაშიც კი, არ იქნება მოსალოდნელი მდგომარეობის გაუმჯობესება, - სრული პასუხისმგებლობით აცხადებს ახალი ხელმძღვანელი და საუბრობს კონკრეტულ გეგმებზე, რომლის განხორციელებაც უახლოეს მომავალშია ნავარაუდები. კერძოდ, ყველა მუზეუმი გახდება საჯარო სამართლის სუბიექტი. თითოეული ყოველი წლის დასაწყისში დადებს ხელშეკრულებას სამინისტროსთან კონკრეტულ საქმიანობაზე. სამინისტრო თანხებს ამა თუ იმ კონკრეტული მიზნების შესასრულებლად, კონკრეტულ საქმეზე დასახარჯად გამოუყოფს მათ. თანხების მიზნობრივ ხარჯვაზე კონტროლიც აუცილებლად განხორციელდება, თანაც გარეშე სამსახურის, სამეთვალყურეო საბჭოების საშუალებით. მაგრამ, სამინისტრო არ იქნება ამ სუბიექტთა ერთადერთი დამფინანსებელი. უბრალოდ, ვერც აუვა ერთი დონორი, თუ მოთხოვნების კრიტერიუმები მაღალი იქნება. დიდი როლი დაეკისრება თანხების მოზიდვის საკითხს. ქართული მუზეუმები ამას არ არიან "ნაჩვევნი". თუმცა, ჩიოდნენ, რომ მცირეს, მაგრამ მუზეუმები წლიდან წლამდე "უბრძოლველად" ღებულობდნენ თანხებს კულტურის სამინისტროდან და მას მხოლოდ თანამშრომელთათვის მიზერული ხელფასების დასარიგებლად იყენებდნენ. მაგრამ, ფინანსების დამოუკიდებლად მოზიდვა ახალი



ნიკოლოზ ვაჩეიშვილი.

რეალობის განუყოფელი ნაწილია და როცა სამინისტროში მართვის სისტემის შეცვლაზეა საუბარი, ესეც აუცილებლად იგულისხმება. მუზეუმებმა კონკრეტული ამოცანები თავად უნდა დაისახონ და პროექტში დასაბუთებული ბიუჯეტიც მიუთითონ. დიდი იმედი მყარდება კანონზე "ქველმოქმედების შესახებ," რომლის მიღების შემთხვევაშიც მდგომარეობა საგრძნობლად გაჯანსაღდება. **"თუ მუზეუმი სწორად ჩამოაყალიბებს, რა და რისთვის სჭირდება, დონორი აუცილებლად გამოჩნდება"** - დარწმუნებულები არიან სამინისტროში. უფრო რთული, შესაძლოა, ფსიქოლოგიური შეგუების პროცესი აღმოჩნდეს და თანამშრომელთა ნაწილი ახალ რეალობას ვერც მოერგოს. ძველი თანამშრომლების დატოვება თუ ახლების აყვანა მუზეუმის პრეროგატივა იქნება. მაგრამ, როგორც ბ-მა ნიკამ აღნიშნა, მუზეუმებში კადრების ძალიან კარგი რეზერვია. ეს მას იმის იმედსაც აძლევს, რომ სწორედ ამ სფეროში უფრო ადრე, ვიდრე სხვაგან და უფრო ადვილად გამოსწორდება ვითარება. ამაში დიდი როლი უნდა ითამაშოს კადრების მომზადებამ. საქართველოში არ არსებობს სასწავლებელი, რომელიც მუზეუმის მართვის სპეციალისტებს უშვებს. კულტურული მემკვიდრეობის რესტავრაციისა და დაცვის საერთაშორისო ცენტრი (ICCROM), რომელიც უკვე სამი წელია თანამშრომლობს საქართველოს კულტურის სამინისტროსთან, ამიერიდან გააფართოებს თავის მოღვაწეობას და საქართველოსთვის გაწეულ სხვა სახის დახმარებასთან ერთად მუზეუმების თანამშრომელთა ტრეინინგებს დააფინანსებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცნობილ მუზეუმებში.

საქართველოში საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებით სხვა სიახლეებიც დაინერგება. სამინისტროში უკვე შექმნილია კომისია, რომელიც მუშაობს იმაზე, თუ რომელი, სხვაგან აპრობირებული მოდელი შეიძლება იყოს მისაღები ჩვენთვის. რამდენიმე ვარიანტიდან ერთ-ერთია, მაგალითად, "მუზეუმების ოჯახების შექმნა." ამ "ოჯახებში" შევლენ, ვთქვათ, ერთი რაიონის ან თემატიკისა თუ პროფილის მუზეუმები. ამით მოხდება მუზეუმების ფაქტობრივი გამსხვილება. ეს საშუალებას მისცემს მათ მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში, უფრო ადვილად და ეფექტურად გადაჭრან მსგავსი პრობლემები. მეორე მხრივ, მოხდება დეცენტრალიზაცია - საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მუზეუმები სულ უფრო ნაკლებად იქნებიან თბილისზე დამოკიდებულნი და თან არ იქნებიან "ჩაკარგულნი," "მარტონი" სადღაც, შორეულ რაიონში.

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო ცვლილებების პროცესშია. უწყება, რომელსაც ადრე მხოლოდ კულტურის სამინისტრო ერქვა ზაფხულის დადგომამდე ახალ სტრუქტურებს ჩამოაყალიბებს. განისაზღვრება პოლიტიკა, გეგმების შესრულებას კი დაქირავებულ ექსპერტებს დააკისრებენ. თავად სამინისტროს მუშაობას მინისტრის, ბ-ნ გოკა გაბაშვილის მიერ უკვე შექმნილი, კულტურისა და სპორტის ყველა სფეროში მოღვაწე გამოჩენილი თანამოქალაქეებით დაკომპლექტებული 18 კაციანი საბჭო გააკონტროლებს. ამ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები მხოლოდ მონიტორინგს როდი განახორციელებენ. ისინი ყველა სახის მუშობაშიც მიიღებენ მონაწილეობას. საბჭოსთან ერთად გატარდება აქტიური ღონისძიებები კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის სფეროში, დაგეგმილია ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნა, ძეგლების მენეჯერების სისტემის ამუშავება რეგიონებში... რას აპირებს კულტურის სამინისტრო სანამ ეს დასახული თანმიმდევრული ღონისძიებები შედეგებს გამოიღებს და მუზეუმებში მდგომარეობა რეალურად შეიცვლება?

საქართველოში 250-მდე მუზეუმია, აქედან 42 - თბილისში. ზოგიერთის არსებობის შესახებაც კი არაფერი სმენია საზოგადოებას. ნიკა ვაჩეიშვილის განსაკუთრებულ გულისტკივილს იწვევს ის, რომ ზოგი მუზეუმი, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძალიან ღირებულ ძეგლებს ფლობს, პრაქტიკულად, მხოლოდ საწყობს წარმოადგენს, ისიც - ექსპონატთა შენახვის ერთობ სავალალო პირობებით. მაგალითად, საკრავების მუზეუმი, რომელიც ერეკლეს მოედანზე ერთი ძველი სახლის ნაწილშია შეყუჟული, ბავშვთა სურათების გალერეას სამადლოდ შეკედლებული სათამაშოების მუზეუმი, კინოსა და თეატრის მუზეუმი დავით კაკაბაძისა თუ პეტრე ოცხელის საზოგადოებისათვის უცნობი ნამუშევრებით.

ახლოვდება ძეგლებისა და ღირშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს (ICOM) მიერ 1977 წელს დაარსებული "მუზეუმების საერთაშორისო დღე", რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყოველწლიურად 18 მაისს აღინიშნება. ამ დღეს სხვადასხვა ქვეყნის ქალაქებში იხსნება ახალი მუზეუმი თუ ექსპოზიცია, რომელთა დათვალიერებაც მნახველთათვის უფასოა; ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რომლის მთავარი მიზანი მუზეუმებისადმი საზოგადოების ინტერესების გაღვივებაა. ამ დღეს საქართველოც ეხმიანებოდა. გასულ წელს, მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციის "საქართველოს მუზეუმების ასოციაციის" ინიციატივით სამუზეუმო საქმესთან დაკავშირებული საკითხებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა. მაგრამ, წელს ნიკოლოზ ვაჩეიშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით კულტურის სამინისტრო გაცილებით ფართომასშტაბიან ღონისძიებებს გეგმავს.

**"ჩვენ ვერ დაველოდებით მდგომარეობის გამოსწორებას,"** - აცხადებს მინისტრის მოადგილე. ის დირექტორებს სთავაზობს მუზეუმების საერთაშორისო დღეს მოაწყონ გამოფენა. დაიბეჭდება ბუკლეტები, სადაც თბილისის რუკაზე დატანილი იქნება ღონისძიებათა ადგილები, რასაც დართული ექნება მოკლე ანოტაციები. ადგილზე მუზეუმების თანამშრომლები დაინტერესებულ მნახველებს მათ მიერ მოწყობილ ახალ ექსპოზიციასთან და ზოგადად, მათ მუზეუმთან დაკავშირებულ ყველა კითხვაზე გასცემენ პასუხს. ბ-მა ნიკამ ისიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ძალზედ მნიშვნელოვანია განათლების სამინისტროსთან მათი თანამშრომლობა, რათა მუზეუმებს დაუბრუნდეს ერთ-ერთი უმთავრესი - საგანმანათლებლო ფუნქცია. ნავარაუდევია ბუკლეტების სკოლებში დარიგება და სასწავლო დაწესებულებათა მაქსიმალური ინფორმირება დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

ამ ერთდღიანი გამოფენა-აქციისთვის საგანგებო თანხების გამოყოფის საკითხი პირველი იყო, რომელიც მუზეუმების დირექტორებმა დასვეს, მაგრამ სამინისტრო თვლის, რომ მნიშვნელოვანია მუზეუმებმა თავად გაართვან თავი ამოცანას და ამ ერთდღიანი გამოფენის მოწყობისას საკუთარი ძალები მოსინჯონ. **"თან საუკეთესო საშუალება მოგვეცემა ვაჩვენოთ უცხოელ კოლეგებს რეალური, შეულამაზებელი პირობები, რომლებშიც ჩვენი მუზეუმები არსებობს,"** - დაურთავს კულტურის სამინისტროს მუზეუმების კოორდინატორი ქ-ნი ინგა ქარაია, რადგან ამ დღეებში სხვადასხვა ქვეყნიდან არაერთი მნიშვნელოვანი სტუმარი ეწვევა საქართველოს.

საპატიო სტუმართა თუ საინტერესო ექსპოზიციებს დანატრებულ თბილისელთა მოლოდინში მუზეუმთა დირექტორები დარბაზების უქონლობას ჩივიან, მათ კი სთავაზობენ - სახელდახელოდ მიჭედებულ ლურსმნებზე, ამ ერთი დღით მაინც, გამოიტანონ მზის სინათლეზე საუკეთესო ნიმუშები, ნამდვილი მარგალიტები, რომლებიც უხვადაა მიმალული საცავებში. მაგალითად საკრავების მუზეუმი, რომლის მთავარი პრობლემა ისაა, რომ საექსპოზიციო დარბაზი საერთოდ არ გააჩნია, ექსპონატებს იქვე, ღია ცის ქვეშ, სკვერში გამოფენს და ააჟღერებს კიდეც.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა საუბრის დასასრულს კვლავ აღნიშნა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი მისთვის დღეს არის - სწორედ იქ მოეწყოს ეს გამოფენები, სადაც მუზეუმი მდებარეობს (თუ ვერც მდებარეობს). "უნდა მოხდეს სინქრონული გაბრწყინება ერთი დიდი, ლამაზი ხალიჩასავით," და მუზეუმებმა თავად უნდა განაცხადონ: **"ჩვენ ვარსებობთ!"**

---

ლაშა ბუღაძის სვეტი



## სანოძესა და ახალაიას უცნაური თავგადასავალი სარფის საბაჟოზე

სანოძესა და ახალაიას გზას ოციოდე შეიარაღებული მოქალაქე გადაუღობავს.

**სანოძე** *(ახალაიას)*: რა ვქნათ, უკან გავბრუნდეთ?

**ახალაია**: ახლა კი ნაღდად გვცემს...

**სანოძე**: ვინ, ბიჭო?!

**ახალაია**: ...პრეზიდენტი!

**სანოძე**: აქაც გვცემენ. შეხედე, რას გვანან...

**ახალაია**: მირჩევნია პრეზიდენტმა მცემოს, ვიდრე ვიწრო და სეპარატისტული ინტერესების მქონე კლანის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა.

**სანოძე**: ეგებ, შევვარდეთ?! თუ გავაღწევთ, გავაღწევთ... თუ არა და... ზღვაში შევცურავთ.

**ახალაია**: *(დაფიქრდება)* ესე იგი, შევვარდეთ?..

**სანოძე**: ხო, ბავშვობაში, "ვისი სული გსურს" არ გითამაშია?

**ახალაია**: სანოძე! ხუმრობის დრო გვაქვს ეხლა ჩვენ?!

**სანოძე**: სერიოზულად ვამბობ, ახალაია, როგორ გეკადრება!

სანოძესა და ახალაიას ერთ-ერთი შეიარაღებული მოქალაქე უახლოვდება. პირში კბილები არა აქვს. ჩლიფინებს.

**შეიარაღებული მოქალაქე**: ტაით აქედან, ტაით!

**ახალაია** *(სანოძეს)*: რაო, რას გვეუბნება?!

**სანოძე**: მგონი, გვწყევლის...

შეიარაღებული მოქალაქე *(უეცრად აყვირდება)* ბაბუ! ბაბუ!

*აყვირდებიან, ასევე, სხვა შეიარაღებული მოქალაქეებიც. ბა-ბუ!.. ბა-ბუ!.. სანოძესა და ახალაიას მეორე შეიარაღებული მოქალაქე მიუახლოვდება.*

**მეორე შეიარაღებული მოქალაქე**: წაით, ძამიებო, აქედან. ხო ხედავთ, არაა ლამაზი... ჩვენ მშვიდობა გვინდებლარიენ და იმიზა ვდგავართ აქანა ფიშტოებით, თვარა ჯვარი კი არ გვაქ დაწერილი ბაბუაჩვენზე...

**ახალაია**: პრეზიდენტის დავალებით ვართ აქ ჩამოსული და მეტადრე უხერხულად ვგრძნობთ თავს...

**მეორე შეიარაღებული მოქალაქე** *(შეაწყვეტინებს ახალაიას ლაპარაკს):* აჰ, პრეზიდენტი არ გამაგონოთ!.. ამასწინეებზე, ხუთი თუ ექვსი წლის, ბოდიში მომითხოვია და, რო ჩამევიდენ, იმაიმუნენ და წავიდენ, ვენაცვალე ჩვენ ბაბუს, ხო გოდოულო კამერით სასტუმროს ნომრებში მაგ იელოველებს... კიდო კარგი ამისთანა მიკროფონი და ფარული კამერა ბევრი გვაქ, თვარა რა გვეშველებოდა ახლა ჩვენ!

**სანოძე** *(სიბრაზისგან გაწითლდება და შეიარაღებულ მოქალაქეს პირში მიახლის):* მექრთამე!..

**მეორე შეიარაღებული მოქალაქე**: რაო?

**სანოძე**: რაც გაიგე!

შეიარაღებული მოქალაქეები იხუვლებენ და სანოძესაკენ წამოვლენ.

**პირველი შეიარაღებული მოქალაქე**: ჩაქოლეწ!.. გალახეწ, ეს შობელძაღლები!

**სანოძე**: რა ვქნათ, ახალაია, მოიფიქრე რამე!

**ახალაია** *(თვალები აენთება):* ვიცი!.. ვიცი!.. პრეზიდენტის ფოტო არა გაქვს?

**სანოძე**: კი, გულის ჯიბეში...

**ახალაია**: ხახვი?.. ამათ ხახვისაც ეშინიათ...

**სანოძე**: ხახვიც მაქვს... *(ჯიბიდან დაკეცილ ფოტოსურათს ამოიღებს, გაშლის, ფოტოზე იგორ გიორგაძეა გამოსახული)*

**ახალაია**: მღუპავ, ბიჭო? ეს ვისი ფოტო დაგაქვს ჯიბით?!

**სანოძე**: რა ვიცი, კაცო... ჩემებმა ჩამიდეს, რა იცი, რაში დაგჭირდესო...

**ახალაია**: აჰა, მე მქონია... *(ჯიბიდან პრეზიდენტის ფოტოს ამოიღებს და ერთ-ერთ შეიარაღებულ მოქალაქეს სახეზე ააფარებს)*

*შეიარაღებული მოქალაქე, თავის მხრივ, აჭარის ავტ. რესპუბლიკის ლიდერის ფოტოსურათს ამოიღებს ჯიბიდან.*

*... და ხდება სასწაული :*

*პრეზიდენტისა და ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერის პორტრეტები ლაპარაკს იწყებენ:*

**პრეზიდენტის ფოტო** *(რომელიც ახალაიას უჭირავს)*: დიდი ბოდიში, დიდი ბოდიში... არავის არ მივცემ უფლებას, წავაღებიო ჩემი აჭარა... ჩემი ძმები, ჩემი დები, ჩემი მძახლები, ჩემი მაზლები, ჩემი ქვისლები...

**ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის ფოტო**: *(რომელიც ერთ-ერთ შეიარაღებულ მოქალაქეს უჭირავს):* ჩვენ ვერ მიგვაშინებენ, რამეთუ კაცი ბჭობდენ და ძაღლი ხელში დაიჭირეო, ნათქვამია...

*შეიარაღებული მოქალაქეები იფანტებიან, ხოლო სანოძე და ახალაია საზიარო მობილური ტელეფონით ურეკავენ პრეზიდენტს.*

**(ახალი სასწაულები სარფის საბაჟოზე - შემდეგ ნომერში)**

---

# "საუკეთესო სურვილებით... პრადას კოლექციიდან"

## რა სამოგზაურო ტენდენციებით გამოირჩევა ზაფხული-2004

თამარ ბაბუაძე

ქართველებს ისე მასობრივად და თავისუფლად არასდროს უმოგზაურიათ, რომ მოსაკითხი ბარათების ხელოვნებას დაუფლებოდნენ. ჯერ ამას საათივით აწყობილი დეპეშების სისტემა უშლიდა ხელს - ერთ ყალიბში ჩამოსხმული საბჭოური ტექსტებით და კირილიცაზე აკრეფილი ქართული სიტყვებით (ეს კი სამოგზაურო ატრიბუტიკის განვითარების ნაცვლად ფანტაზიას სულ სხვა მხრივ ავითარებდა - დამახინჯებული ქართული იწვევდა სახალისო ასოციაციებს). შემდეგ კი მოსაკითხი ბარათების მასობრივად დამკვიდრების პერსპექტივა ძირფესვიანად მოშლილმა საფოსტო სისტემამ გააქრო. პარიზიდან, ლონდონიდან და ბერლინიდან გამოგზავნილ მოსაკითხ ბარათს გამომგზავნელი ჩამოასწრებდა ხოლმე ქალაქში, გაცრეცილდამტვერილი წერილი კი ადრესატამდე ერთთვიანი დაგვიანების შემდეგ მიაღწევდა.

ამასობაში კი დანარჩენ მსოფლიოში სულ უფრო მეტად ვრცელდებოდა, იხვეწებოდა და ვითარდებოდა მოსაკითხი ბარათების ტრადიცია. საინტერესო ადგილიდან ლამაზი ბარათის გაგზავნა იმ ადგილის მთავარი ღირსშესანიშნაობის სურათითურთ ტურიზმის მთავარი ნაწილი გახდა და მასკულტურაზეც აშკარად აისახა. ბოლო ხანს გამოსული ფილმებიდან ფრანგული "ამელი" მახსენდება, ამელის შინ მჯდომ მამას ბარათებს ათასგვარი საოცნებო ადგილიდან "სამოგზაუროდ წასული" ჯუჯა რომ უგზავნის.

თუმცა, 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ამ ჯუჯასთან ერთად უამრავ სხვა ტურისტსაც ცუდად წაუვიდა საქმე. გაჩნდა შიში, რომლის გამომწვევ მიზეზსაც სხვადასხვაგვარ სახელს არქმევდნენ - საერთაშორისო ტერორიზმს, "ალ ქაიდას" და ბინ ლადენს - ერთად და ცალ-ცალკე, ჰუსეინს, "ეტას".



ზაფხული 2004 ჩალაიანისა და პრადას მიხედვით.

2004 წლის 11 მარტს კი ამ პანიკურ ფონს, რომელიც დროდადრო ნელდებოდა, მადრიდის რკინიგზის სადგურის აფეთქება დაემატა და ტურიზმში გამოხატული გლობალიზაციის ტემპი კვლავ კარგად ნაცნობმა შიშმა შეანელა. შეიცვალა მოსაკითხი ბარათების შინაარსიც. ეიფელის კოშკიან, ბიგ-ბენიან თუ კოლიზეუმიან ფერად ბარათებზე "ნეტავ, შენც აქ იყო"-ს მსგავსი ლირიკული ტექსტები, უფრო პროზაულმა და ირონიანარევმა შეტყობინებებმა შეცვალა - "უსაფრთხოდ ჩავედი... მომიკითხე ყველა", ანდა, "მადლობა ღმერთს, ჩემი თვითმფრინავი არ აუფეთქებიათ... სიყვარულით".

ასე რომ, ახლა მსოფლიო ტურიზმს მეტ-ნაკლებად კვლავაც შიშის პერიოდი უდგას. არადა, მოდის ზაფხული, როდესაც მოგზაურობის ჟინი ლოგიკურად მძაფრდება ხოლმე და ცნობილი დიზაინერებიც "ტურისტული შიშის" სინდრომის მოხსნას ისახავენ მიზნად. 2004 წლის ზაფხულის კოლექციებში პრადადან ჰუსეინ ჩალაიანამდე სწორედ მოსაკითხი ბარათების თემატიკა სჭარბობს. ტურისტული ბროშურებიდან გადმობეჭდილი იტალიური მონუმენტები, ბარათებიდან აღებული წყვილების ფოტოები, ზაფხულის ორნამენტები, პალმები და ზღვა - ეს ყველაფერი კაბებსა და მაისურებზეა გადატანილი და მათი შემქმნელები ჩვეულებრივ ჩასაცმელთან ერთად ვიზუალურ ტურიზმსაც გთავაზობენ.

მოვინახულოთ ჟურნალ "ვოგის" ვებ-გვერდზე განთავსებული საზაფხულო კოლექციები და დავიწყოთ, ჰუსეინ ჩალაიანით. ეს ის დიზაინერია, რომელმაც ერთხელ კაბები ავიარეისების განრიგით "მოხატა". წელს მან თავისი საგაზაფხულო კოლექცია გიგანტური ავიალაინერის ფონზე წარმოადგინა. თვითმფრინავის უკან ლურჯი ზღვა და ცის ჰორიზონტი მოჩანდა, წინ კი გოგონები დადიოდნენ მუხლს ზევით კაბებსა და შორტებში, რომლებიც პალმებით სავსე ეგვიპტური პეიზაჟებით იყო მოხატული. პარალელურად, ჩალაიანმა ისტორიული ექსკურსიც გაავლო და მოდელები თურქებისა და კვიპროსელების ბრძოლების თემაზე შექმნილი ილუსტრაციებითაც გააფორმა.

მოსაკითხი ბარათებისა და კომიქსების ნაზავს გვთავაზობს დოლჩე & გაბანაც. უზარმაზარი ყვავილების, მზეების ორნამენტები, კომიქსებიდან აღებული 50-იანური სტილის ქალები და მამაკაცები, პალმები და ზღვები - მათი ზაფხულის კოლექციაც მოგზაურობის, ფერების და იუმორის ფოიერვერკია.

რაც შეეხება პრადას, მისი ჩვენების დროსაც მოგზაურობის განწყობა ინტერიერის დიზაინშივე იყო ჩაქსოვილი - კედლებზე თვითმფრინავების ასაფრენი ბილიკების მსგავსი ილუსტრაციები იყო შემოვლებული. თუმცა, ჩალაიანისგან განსხვავებით, პრადა უფრო ნოსტალგიით იყო სავსე. ის იხსენებდა ეპოქას, სანამ ტურიზმში შიშის სინდრომი გაჩნდებოდა, სანამ ცხოვრება ლამის სინათლის სხივის ტემპს აკრეფდა და გლობალიზაციის ეგიდით გაურკვეველი მომავლისკენ გაქანდებოდა.

ამიტომაც ზაფხული-2004 პრადას კაბებზე უფრო მშვიდი, პასტელისებური ფერებით არის წარმოდგენილი. 50-იანური სტილისა და საშუალო სიგრძის, გაშლილ ქვედაბოლოებზე ლურჯი და ნაცრისფერი ფერების იტალიური პეიზაჟებია დახატული. ამ სკეჩებზე რას არ შეხვდებით - ვიწრო და დაკლაკნილ ქუჩებს, გუმბათოვან სახლებს, მილანის ტაძარსაც კი. პრადა ამ ნოსტალგიურ განწყობას კაბების გარდა ფეხსაცმელებზე, ხელჩანთებზე და ყელსახვევებზეც ავრცობს და მოსაკითხ ბარათებს, თითქოს, იმ ძველი ტურისტული ეპოქიდან გვიგზავნის, სანამ მასკულტურაში დამკვიდრდებოდა ტერმინი - "საერთაშორისო ტერორიზმი".

ამ თემას გაზეთ International Herald Tribune-ის მოდის მიმომხილველი სიუზი მენკესიც ეხება. ის წარსულს იხსენებს და გვიყვება, თუ როგორ მკვიდრდებოდა ტურიზმი მოდაში. ეს პროცესი ავტომობილის გამოგონებასა და რამდენიმე, დღეს ძალზე სახელგანთქმული ფრანგული კურორტის "აღმოჩენას" ემთხვევა.

შემდეგ ყოფილა ფიცჯერალდის რომანი და 1920-იანი წლების რივიერა. უკვე 1923 წელს კი ჟურნალი "ვოგი", თურმე, წერდა: "საზოგადოებაში უდიდესი ცვლილება მოხდა. ცვლილება, რომელიც თითქმის რევოლუციას უდრის. საზოგადოება დღეს უკვე დაფრინავს... მას შემდეგ, რაც ტრანსატლანტიკური რეისები ხორციელდება, ცხოვრება "საერთაშორისო" გახდა".

უნდა ითქვას, რომ თავისებური მოდური მიმდინარეობა წამოიწყო ტუტანხამონის აკლდამის აღმოჩენამაც. 1922 წლიდან საზოგადოება ერთბაშად გაიტაცა ყველაფერმა ეგვიპტურმა. გაჩნდა ტურისტების ახალი ტალღაც, ცხადია ეგვიპტის მიმართულებით დარაზმული. სხვათა შორის, ეს ისტორიული მომენტი წელს ლუი ვიტონის დიზაინერებმა გაიხსენეს. მარკ ჯეკობსის კოლექცია პირდაპირ ნილოსის ნაპირებზე გათამაშებული გეგონებოდათ.

1929 წელს, "ვოგიში" ასეთი ტექსტიც დაიბეჭდა: "მეოცე საუკუნე მშვიდი მოგზაურობის ეპოქაა"... თუმცა, დიდი ხანია, რაც ეს სიმშვიდე წარსულს ჩაბარდა. ამ წერილის გამოქვეყნებიდან რამდენიმე წლის თავზე მოგზაურობა უკვე საერთაშორისო სნობიზმად ჩამოყალიბდა. ყველა იმდენს დადიოდა და იმდენ მოსაკითხ ბარათს გზავნიდა შინ, რომ გეგონებოდა, ფრანგული რივიერა გვერდითა ეზოშია განთავსებული; ხოლო პეიზაჟი პეიზაჟად არ ღირს, თუ ის კაქტუსის ბაღებით არაა სავსე.

წელს ეს სნობიზმი შიშის სინდრომის მიუხედავად მაინც ახალი საუკუნისთვის დამახასიათებელი ტემპით გრძელდება. მიუჩა პრადა კი "მშვიდად" ელის 2004 წლის ზაფხულის დადგომას და თავისი ქალური და მგრძნობიარე კაბებით "მშვიდი ტურიზმის" ეპოქას გვახსენებს. შესაბამისად, მისი კოლექცია-მოსაკითხი ბარათიც თანამედროვე ირონიული ტონის ნაცვლად ("ჯერჯერობით, არავის ავუფეთქებივარ"), ძველი ლირიზმითაა სავსე: "საუკეთესო სურვილებით... ნეტავ, შენც აქ იყო... პრადა".

ფეხბურთი

# აბრამოვიჩის მახვილი

კლაუდიო რანიერის ნერვებმა უმტყუნა. "ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს რომან აბრამოვიჩი ჩემს თავზე უკვე მახვილს ლესავს და ჩემი ბედი გადაწყვეტილია", - ესპანურ "მარკას" განუცხადა ლონდონის "ჩელსის" მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ. რანიერის, მართლაც, ყელში ამოუვიდა მის გარშემო შექმნილი აჟიოტაჟი და, ალბათ, უკვე ახლოს არის იმასთან, რომ პოსტი დატოვოს. ამჯერად ამის მიზეზი გახდა არა გუნდის თამაში, არამედ "მარკასთვის" მიცემული ინტერვიუ, რომელიც ამას წინათ დაიბეჭდა.

რანიერისთან ინტერვიუ ყოველდღიურმა ესპანურმა გამოცემამ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში "ჩელსისა" და "მონაკოს" შეხვედრამდე გამოაქვეყნა. ინტერვიუში "ჩელსის" პატრონი რომან აბრამოვიჩია გაკრიტიკებული. რანიერი არც ისე კეთილგანწყობილია "მისტერ ჩელსკის" საფეხბურთო ხედვის მიმართ.

"კლუბში მოსვლის პირველივე დღიდან აბრამოვიჩს ჩემი გათავისუფლება უნდოდა. მას დიდი სურვილი ჰქონდა, "ჩელსის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე შვედი სვენ-გორან ერიქსონი ეხილა. ზაფხულში შეხვდა კიდეც. თუმცა, ერიქსონმა უთხრა, რომ ინგლისის ნაკრებს ვერ დატოვებს. მეორე დღეს აბრამოვიჩი შემხვდა და დაახლოებით ასეთი რამ მითხრა: "ბოლო წლებში კარგად მუშაობდი. ასევე გააგრძელე", - ესპანელ ჟურნალისტებს შესჩივლა 52 წლის იტალიელმა.

რანიერის თქმით, აბრამოვიჩი მის მიმართ იმდენად არაკეთილგანწყობილია, "ჩელსიმ" ჩემპიონთა ლიგაც რომ მოიგოს, რანიერი თავის პოსტს მაინც ვერ შეინარჩუნებს. "ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს რომან აბრამოვიჩი ჩემს თავზე უკვე მახვილს ლესავს და ჩემი ბედი გადაწყვეტილია", - ამბობს სასოწარკვეთილი მწვრთნელი.

თუმცა, "მისტერ ჩელსკისთვის" ყველაზე უფრო გულდასაწყვეტი რამ კლაუდიო რანიერიმ ინტერვიუს ბოლოს თქვა: "აბრამოვიჩს ფეხბურთის არაფერი გაეგება. უფრო სწორად, აბსოლუტურად არაფერი. მას რომ ამ საქმეში რამე გაეგებოდეს, აუცილებლად დააფასებდა იმ მიღწევას, რაც გუნდში მის მოსვლამდე მქონდა. მაშინ ხომ ჩვენ არც ასეთი სახსრები გვქონდა და არც ასეთი ძლიერი შემადგენლობა გვყავდა", - ამბობს რანიერი, რომლის გუნდმაც ჩემპიონთა ლიგის საგზური შარშან ინგლისის პრემიერლიგაში მეოთხე ადგილზე გასვლით მოიპოვა.

აქვე მოვიტანთ კიდევ ერთ პასაჟს კლაუდიო რანიერის ინტერვიუდან: "რაკი აბრამოვიჩი ფეხბურთში ცუდად ერკვევა, მას ჰგონია, ფეხბურთელთა შესყიდვას დიდ ფულს რომ ახმარს, შედეგს მყისიერად მიიღებს. მას არც კი ესმის, რა ჯოჯოხეთური შრომა დამჭირდა იმისთვის, რომ ზაფხულში გუნდის მიერ ნაყიდი აბსოლუტურად სხვადასხვა კალიბრის ფეხბურთელთაგან ერთიანი ორგანიზმი ჩამომეყალიბებინა. აბრამოვიჩი კი ფიქრობდა, აი, შევიძენ ერთ ფეხბურთელს, შემდეგ ერთსაც დავუმატებ და უცებ დაუმარცხებელი გავხდები. ასე არ ხდება", - ამბობს კლაუდიო რანიერი.

მოკლედ, იტალიელმა მთელი ბოღმა ამოანთხია. თუ ეს ინტერვიუ ნამდვილია და არა ესპანელი ჟურნალისტების ფანტაზიის ნაყოფი, რომელთაც, ვთქვათ, "ჩელსის" დასუსტება სურთ ("არისტოკრატები" ჩემპიონთა ლიგაში პოტენციურად ლა კორუნიას "დეპორტივოს" მეტოქენი არიან), მაშინ ნათელია, რომ კლაუდიო რანიერი დიდხანს ვერ დარჩება ლონდონის "ჩელსის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე.

პრინციპში, რანიერის შემცვლელის ძიება, ისეც და ასეც, დიდი ხანია მიმდინარეობს. გუშინ ინგლისურმა ტაბლოიდმა "მირორმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომ აბრამოვიჩის წარმომადგენლებმა მოლაპარაკება დაიწყეს ბირმინგემის "ასტონ ვილას" მთავარ მწვრთნელთან დევიდ ო`ლირისთან.

"მისტერ ჩელსკის" ძალიან მოეწონა "ასტონ ვილა" "ჩელსისთან" ორივე შეხვედრაში. რანიერის პოსტზე მეორე და უფრო სარწმუნო კანდიდატად ინგლისური მედია პორტუგალიის "პორტუს" მწვრთნელს, ჟოზე მოურინიოს ასახელებს, მაგრამ მოურინიოს ჯერჯერობით ინგლისში მუშაობის პერსპექტივით დიდი აღფრთოვანება არ გამოუხატავს.


აბრამოვიჩის მახვილი რანიერის თავზეა აღმართული.

# სასწაულები გრძელდება!

## მონაკო 3:1 ჩელსი

"მას შემდეგ, რაც "რეალი" დავამარცხეთ, აღარც ერთი გუნდის აღარ მეშინია," - აცხადებდა "მონაკოს" თავკაცი დიდიე დეშამი "ჩელსის" წინააღმდეგ მატჩის წინ. ჩემპიონთა ლიგაში აღარც "რეალი" თამაშობს, აღარც "მილანი" და აღარც "მანჩესტერი", თუმცა "საშიში" გუნდები მაინც უხვად არიან. ერთ-ერთი მათგანი სწორედ ლონდონის "ჩელსია", მაგრამ...

აკი ამბობდა დეშამი, არავისი მეშინიაო! ცდებოდა ის, ვინც ფიქრობდა, რომ "რეალის" წინააღმდეგ მეოთხედფინალურ შეხვედრაში "მონაკომ" "ცხოვრების საუკეთესო და განუმეორებელი" მატჩი ითამაშა. "მონაკომ" კვლავაც შეძლო სასწაულის გამეორება.

მართალია, "რეალის" მომგები გუნდისათვის "ჩელსის" დამარცხება სასწაულად არ უნდა ჩავთვალოთ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ანგარიში 1:1 იყო და რომ სტუმრები თითქმის მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში რიცხვობრივ უპირატესობას ფლობდნენ, მაშინ, ალბათ, გადამეტებული არ იქნება, თუ აღვნიშნავთ, რომ დიდიე დეშამის ბიჭები გმირები არიან.

არადა, გუშინდელი მატჩი სტუმრების უპირატესობით დაიწყო, ანგარიში კი მასპინძლებმა გახსნეს. შეხვედრის მე-17 წუთზე დადო პრსომ თავური დარტყმით გაიტანა გოლი. ამ შეხვედრაში "ჩელსის" შემადგენლობაში არგენტინელი ერნან კრესპოც გამოჩნდა, სწორედ მის უხეშ შეცდომას მოჰყვა პრსოს გოლი. თუმცა, თავისი შეცდომა კრესპომ ზუსტად ხუთ წუთში გამოასწორა და ანგარიში გაქვითა. გატანილი გოლის შემდეგ სტუმრები კიდევ უფრო გააქტიურდნენ, მაგრამ პირველ ტაიმში გოლი აღარ გასულა.

მეორე ტაიმი "მონაკომ" აქტიურად დაიწყო, რამდენიმე წუთში კაცნაკლული დარჩა. "მონაკოელი" ზიკოსი მაკელელეს პროვოკაციას წამოეგო და "ჩელსის" ფრანგი ნახევარმცველის დარტყმას, რომელიც მსაჯისათვის შეუმჩნეველი დარჩა, დარტყმითვე უპასუხა. ურს მაიერმა მაკელელზე თავდასხმისათვის ზიკოსი მოედნიდან გააძევა. ძნელი სათქმელია, რა მოხდებოდა, ზიკოსი რომ არ გაეძევებინათ, მაგრამ ის კი ყველამ კარგად დაინახა, რომ ამ ინციდენტმა მასპინძლებზე დადებითად იმოქმედა.


გოლის გასატანად შაბანი ნონდას (მარჯვნივ) მხოლოდ რამდენიმე წამი დასჭირდა.

კლაუდიო რანიერიმ რიცხვობრივი უპირატესობის ბოლომდე გამოყენება განიზრახა და მოედანზე კიდევ ერთი თავდამსხმელი, ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი შეუშვა. "ჩელსის" იტალიელი მწვრთნელი ფიქრობდა, რომ უმცირესობაში დარჩენილი "მონაკოს" დამარცხებას მისივე მოედანზე მოახერხებდა, თუმცა ეს გეგმა კრახით დასრულდა. გოლი არა ჰასელბაინკმა, არამედ "მონაკოელმა" ფერნანდო მორიენტესმა გაიტანა 77-ე წუთზე. მატჩის დასრულებამდე 6 წუთით ადრე დეშამმა ცვლილება განახორციელა და კაპიტანი ჟიულის ნაცვლად კონგოელი თავდამსხმელი შაბანი ნონდა შეუშვა მოედანზე. აი, "შეცვლის გამოცნობაც" ამას ჰქვია! - ნონდა რამდენიმე წამის შესული იყო მოედანზე, როდესაც "ჩელსის" კარში მესამე გოლი გაიტანა!

3:1 - ბოლომდე გადაწყვეტილი ჯერ არაფერია, "ჩელსის" კიდევ აქვს შანსი, თუმცა "მონაკო" უკვე ფინალზე ფიქრობს.

# ფიფას სანქციები და მთავრობის კრიზისი კამერუნში

ნინო პირველი

კამერუნში დიდი მღელვარებაა. "მოუთვინიერებელ ლომებად" წოდებული ეროვნული ნაკრები მთელი ქვეყნის სიამაყეა. ნაციონალური გუნდი კამერუნში ყველას უყვარს, განურჩევლად სქესისა, ასაკისა და მსოფლმხედველობისა. როცა აფრიკელი "ლომები" მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშობენ, ეროვნული ნაკრების მხარდასაჭერად მუდამ უამრავი კამერუნელი მიდის სტადიონზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყანაში ცხოვრების დონე არც ისე მაღალია და კამერუნელებისთვის სულაც არ არის იოლი იაპონია-კორეაში თუ საფრანგეთში გამგზავრება. ახლა კი ისე უცნაურად ვითარდება მოვლენები, რომ, შესაძლოა, კამერუნის ნაკრები სულაც ვერ მოხვდეს 2006 წლის მუნდიალზე.

ყველაფერი ასე დაიწყო: აფრიკელთა გერმანელმა სპონსორმა "პუმამ" აფრიკის თასზე ახალი ფორმა შექმნა კამერუნის ნაკრებისთვის, რომელიც ფიფას ზედმეტად თანამედროვე და ფეხბურთისთვის შეუფერებელი ეჩვენა. მსოფლიო ფეხბურთის ბოსებმა კამერუნელებს აუკრძალეს ამ ფორმის ტარება, ჯარიმის სახით 200 000 ფრანკი დააკისრეს და ექვსი ქულა ჩამოართვეს მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე. ბლატერის ამ გადაწყვეტილებამ მთელი კამერუნი შოკში ჩააგდო და "პუმას" ხელმძღვანელობაც განარისხა. გერმანელები ფიფას წინააღმდეგ აჯანყდნენ და 125 000 ევროს კონპენსაცია მოითხოვეს. კამერუნში კი მთავრობის კრიზისი დაიწყო. თითოეული მოქალაქე აღაშფოთა ფიფას სიმკაცრემ. ფულადი ჯარიმა ჯანდაბას, ამას კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ ეს ქულების ჩამორთმევა რაღა უბედურებაა? თუ კამერუნის ნაკრებს ექვს ქულას დააკლებენ, მაშინ "ლომები" შეიძლება ვეღარც კი მოხვდნენ 2006 წლის მუნდიალზე. ეს კი, მართლაც, ეროვნული ტრაგედია იქნება.

ვითარება იმდენად სერიოზულია, რომ საქმეში თვით ქვეყნის პრეზიდენტი ჩაერია. პოლ ბიამ უკან გამოიხმო სპორტის მინისტრი ბიდოუნგ მკპატი, რომელიც საფეხბურთო სკოლების დასათვალიერებლად პროვინციაში იყო წასული და სპეციალური სხდომა გამართა ამ საკითხთან დაკავშირებით. პრეზიდენტს ყველაზე მეტად ერთი კითხვა აწუხებდა: რამდენად იმოქმედებს მუნდიალზე ვერმოხვედრა საპრეზიდენტო არჩევნებზე, რომელიც წლეულს, ოქტომბერში უნდა გაიმართოს? ისურვებს კი ქვეყნის მოსახლეობა ისევ იმ პრეზიდენტის არჩევას, რომელმაც ვერაფერი გააწყო ფიფას წინააღმდეგ და ეროვნული ნაკრები ჩემპიონატს მიღმა დატოვა? ასე რომ, თუ ბლატერი გადაწყვეტილებას არ შეცვლის, მაშინ, ალბათ, კამერუნის პრეზიდენტი თავის პოსტს დაკარგავს და ქვეყანაში მთავრობა შეიცვლება. ხედავთ, რა შეუძლია ფეხბურთს?

კამერუნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მოჰამედ ია ორმაბათს ამაოდ ეცადა, როგორმე დაკავშირებოდა ფიფას რომელიმე წარმომადგენელს. იმ დღეს შვეიცარიაში რაღაც ლოკალური დღესასწაული იყო და ციურიხში განთავსებულ ფიფას შტაბბინაში ტელეფონს არავინ პასუხობდა. არავინ იცის, რა იქნება შემდეგ. მართლაც, განრისხებული ფიფა აფრიკელ "ლომებს" თუ შეარბილებს განაჩენს. "მაინც რა დავუშავეთ ისეთი, რომ ასე სასტიკად დაგვსაჯეს? გასულ წელს, კონფედერაციის თასის ნახევარფინალში, მარკ ვივიენ ფოე გარდაიცვალა და ფიფამ მაინც გვაიძულა ფინალში თამაში. ახლა კი მაისურის გამო სურთ ჩვენი მუნდიალიდან გაძევება. "ადიდასის" ფორმა რომ გვცმოდა, ეს აურზაური, ალბათ, არ ატყდებოდა. ეს ყველაფერი ფულის გამო ხდება. ახლა უკვე აღარ ვიცით, საერთოდ აქვს თუ არა აზრი საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშს", - სევდიანად ამბობს ესპანური "მაიორკას" ლეგიონერი სამუელ ეტოო. სხვა ფეხბურთელებიც არანაკლებ აღელვებულნი არიან: "რისთვის უწყობს ფიფა ასეთ რამეს იმ ნაკრებს, რომელსაც არაერთხელ მოუპოვებია მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის უფლება? იქნებ ამ განსაცდელმა კიდევ უფრო მეტად შეგვაკავშიროს და შეუძლებელი შევძლოთ. ახლა ჩვენ დარჩენილი ათივე მატჩი უნდა მოვიგოთ, რომ მუნდიალზე მოვხვდეთ", - იმედს არ კარგავს გერმანული "კაიზერსლაუტერნის" ფეხბურთელი ბილ ჩატო. რაც შეეხება კამერუნის ეროვნული ნაკრების გერმანელ თავკაცს, ვინფრიდ შეფერს, რომელიც თავისი შეუპოვრობითაა ცნობილი, ის საშინლად აღშფოთებულია და ფიფას წინააღმდეგ ბრძოლას დაწყებას აპირებს: "ჩვენ აუცილებლად გავაპროტესტებთ ამ გადაწყვეტილებას. ეს განაჩენი, უბრალოდ, უსამართლოა. როცა ლომებს კუთხეში ამწყვდევენ, ისინი სახიფათონი ხდებიან", - ფიფას დაელევჯვით ემუქრება შეფერი. თუმცა, ისეთებიც არიან, რომლებიც "პუმას" ახალ ფორმას სერიოზულად აკრიტიკებენ: "მგონი, ცოტათი გადავაჭარბეთ. კამერუნის ნაკრები საცდელ ლაბორატორიად იქცა. ფიფას არც ის უსახელო ფორმები მოსწონდა, რომელიც 2002 წლის მუნდიალზე გვეცვა", - ამბობს კამერუნის ფეხბურთის ლეგენდა როჟე მილა. თავად "პუმა" სულაც არ მიიჩნევს საკუთარ პროდუქციას ზედმეტად ავანგარდულად. "ბოლოს და ბოლოს, ფიფამ უნდა გაიგოს, რომ მის წინააღმდეგაც შეიძლება საქმის აღძვრა. ამის მოთმენა უკვე შეუძლებელია", - მიიჩნევს "პუმას" ერთ-ერთი წარმომადგენელი. მოკლედ, კამერუნში დიდი ამბებია და ყველა მოუთმენლად ელოდება ფიფას საპასუხო რეაქციას "ლომების" თავდასხმაზე.


კამერუნის ნაკრები „პუმას" თანამედროვე ეკიპირებამ შეიწირა.

TV-სპორტი

**ოთხშაბათი. 21 აპრილი**

**НТВ + ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:20 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. "მონაკო" – "ჩელსი". პირველი მატჩი
15:15 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:10 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
16:40 თავისუფალი დარტყმა
16:55 "FUTBOL MUNDIAL"
17:25 რუსეთის თასი. ფინალი. "ტერეკი" – "როტორი". საპასუხო მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:20 "დარტყმა გოლისთვის"
19:35 თავისუფალი დარტყმა
19:50 სახვალიო ტელეპროგრამა
19:55 რუსეთის თასი. ფინალი. "კრილია სავეტოვ" – ცსკა. საპასუხო მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
21:50 რუსეთის თასი. ფინალი. "ლოკომოტივი" – "შინიკი". საპასუხო მატჩი
23:25 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. "პორტუ" – "დეპორტივო". პირველი მატჩი
01:35 რუსეთის თასი. ფინალი. "ტორპედო-მეტალურგი" – "როსტოვი". საპასუხო მატჩი
03:20 03:20-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. პლეიოფი. პირველი წრე. "DETROIT PISTONS" - "MILWAUKEE BUCKS". მე-2 თამაში. პირდაპირი ტრანსლაცია
06:30 NBA TV. დღიური

**НТВ + СПОРТ**
11:00, 14:10, 17:00, 19:40 პრესცენტრი
11:15, 21:50 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:25 "ფორმულის ჰარმონია"
11:40 ბილიარდი. ევროპის ჩემპიონატი არტისტულ ბილიარდში სანკტ-პეტერბურგში. მეორე ნაწილი
13:10 "ვარსკვლავური სამშაბათი"
14:45 "კეგლის დროა"
15:15 ჰოკეი. ევროტური. მატჩი მესამე ადგილისთვის. ჩეხეთი – რუსეთი. საპასუხო მატჩი
17:15 "ნადირობის სეზონი"
17:45 "NHL – პლუს"
18:00 ბრძოლა წესების გარეშე. "Ultimate Fighting Championship"
19:10 "Power week – NHL-ის კვირა"
19:55 ფეხბურთი. რუსეთის თასი. ფინალი. "ლოკომოტივი" – "შინიკი". საპასუხო მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
21:55 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 "ათენის გზაზე"
23:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი კიევში. ქალები. 58კგ, 63კგ. ვაჟები. 62კგ
01:15 ახალი ამბები
01:30 "NHL – პლუს"
01:45 ჩოგბურთი. "Masters Series" მონტე კარლოში
03:15 03:15-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
11:30 კერლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი შვედეთში
14:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
16:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი კიევში
17:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
18:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი კიევში
20:00 ველორბოლა. შეჯიბრება ბელგიაში
21:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი კიევში
23:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
01:30 გოლფი. PGA ტურნირი
02:30 გოლფი. ევროპული ტური ესპანეთში
03:00 ახალი ამბები
03:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალ ზელანდიაში
03:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალ ზელანდიაში

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ბრაზილიის ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" ფორვარდმა რონალდომ განაცხადა, რომ ინგლისელი დევიდ ბექჰემი ესპანეთში უნდა დარჩეს. ეს იყო რონალდოს პასუხი მადრიდის "რეალის" პრეზიდენტობის კანდიდატის, ენრიკე სობრინოს ნათქვამზე, რომელმაც განაცხადა, რომ თუ "სამეფო კლუბის" პრეზიდენტად აირჩევენ, ის დევიდ ბექჰემს გაყიდის. "დევიდს გრძელვადიანი კონტრაქტი აქვს. თანაც, ვერ ვხვდები, რატომ უნდა წავიდეს. ის ხომ მადრიდში ბედნიერია. მის მხრეზე ახალ გუნდში პირველი სეზონის კვალობაზე უაღრესად კარგმა სეზონმა გადაიარა. თანაც, ბექჰემი თანახმაა, დარჩეს და "რეალთან" ერთად უფრო შთამბეჭდავ გამარჯვებებს მიაღწიოს. ამიტომ არ მგონია, რომ დევიდი ესპანეთს დატოვებს. სხვათა შორის, სწორედ მისი გადაცემებით გავიტანე ბევრი გოლი. მე აღფრთოვანებული ვარ ისეთი პროფესიონალის გვერდით თამაშით, როგორიც დევიდ ბექჰემია", - განაცხადა რონალდომ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბრიტანეთის პოლიციამ გაანეიტრალა მსხვილი ტერაქტის მცდელობა, რომელიც 24 აპრილს "ოლდ ტრაფორდზე" უნდა მომხდარიყო. ამ დღეს ინგლისის პრემიერლიგის მატჩში "მანჩესტერ იუნაიტედი" და "ლივერპული" ხვდებიან ერთმანეთს. ბრიტანული "სანის" ცნობით, პოლიციამ დააკავა 10 ეჭვმიტანილი, რომელთაგან 9 მამაკაცია და 1 ქალი. გაზეთის ინფორმაციით, რამდენიმე თვითმკვლელ ტერორისტს ტრიბუნებზე თავი უნდა აეფეთქებინა. ბრიტანეთის სამართალდამცავი ორგანოების ოფიციალურმა წარმომადგენლებმა კომენტარზე უარი განაცხადეს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "გლაზგო რეინჯერსის" ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა რონალდ დე ბურმა განაცხადა, რომ, შესაძლოა, მომავალ წელს საფეხბურთო კარიერა ყატარში დაასრულოს. ფეხბურთელის თქმით, ის შოტლანდიურ კლუბთან კონტრაქტს აღარ გააგრძელებს. "ან ყატარში ვითამაშებ, ან სეზონის ბოლოს დავასრულებ საფეხბურთო კარიერას. ყატარში მხოლოდ 26 მატჩს ატარებენ. თანაც, იქ უაღრესად თბილი კლიმატია, რაც ძალიან კარგია. ამასთან, არაჩვეულებრივ ფინანსურ პირობებს მთავაზობენ. ვფიქრობ, კარიერის დამთავრებისთვის ეს საუკეთესო ვარიანტია", - განაცხადა რონალდ დე ბურმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ტიტოვის საქმესთან" დაკავშირებით უელსის ფეხბურთის ასოციაციამ შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში მდებარე სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოში სარჩელი აღძრა. საქმის მოგების შემთხვევაში უელსელები იმედოვნებენ, რომ პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონატზე რუსეთის ნაკრების ნაცვლად სწორედ თვითონ გაემგზავრებიან. ეს უკვე მეოთხე სარჩელია, რომელიც უელსელებმა უეფას სხვადასხვა ინსტანციაში აღძრეს. შეგახსენებთ, რომ შესარჩევი ციკლის შემდგომ გადათამაშებაში უელსისა და რუსეთის ნაკრებ გუნდებს შორის, მოსკოვური მატჩის შემდეგ, ტიტოვს ორგანიზმში აკრძალული პრეპარატის კვალი აღმოუჩინეს. ამის მიუხედავად, განმეორებით მატჩში მაინც ათამაშეს, რისი უფლებაც არ ჰქონდათ. სწორედ ამ ფაქტის გამოყენებას ცდილობენ უელსელები. ამ ახალი სარჩელის მიზეზი კი ის არის, რომ უეფამ ყური არ ათხოვა უელსის მხარის არგუმენტებს. ამიტომ სიმართლის დასადგენად უელსელებმა გადაწყვიტეს, ბოლო ინსტანციაშიც იჩივლონ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მიუნხენის "ბაიერნმა" კონტრაქტი გაუფორმა ირანელ ფორვარდს ვახიდ ჰაშემიანს. ამ სეზონში ირანელი ფეხბურთელი "ბოხუმის" ღირსებას იცავდა. ის ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია. მის ანგარიშზე 14 გოლია. "ბაიერნის" გენერალური მენეჯერის ული ჰიონესის თქმით, ჰაშემიანმა კლუბის ყურადღება, პირველ რიგში, იმით მიიპყრო, რომ თავით შესანიშნავად თამაშობს.

■ ■ ■

**კალათბურთი.** "ინდიანას" ფორვარდი რონ არტესტი ერთი მატჩით დისკვალიფიცირებულია იმის გამო, რომ "ბოსტონ სელტიკსის" წინააღმდეგ პლეი-ოფის მატჩში თვითნებურად დატოვა სათადარიგოთა სკამი. ამრიგად, არტესტი პლეი-ოფის მეორე მატჩს გამოტოვებს.

■ ■ ■

**კალათბურთი.** კრივის მსოფლიო საბჭომ (WBC) გაავრცელა ამ ორგანიზაციის პრეზიდენტის განცხადება, რომელშიც გამოთქმულია შეშფოთება იმის თაობაზე, რომ მაიკ ტაისონი აპირებს, მონაწილეობა მიიღოს შერეულ ორთაბრძოლებში, რომელსაც იაპონური კომპანია K-1 უწევს ორგანიზებას. WBC-ის პრეზიდენტმა სულეიმანმა K-1-ს "უილბლოების, მოყვარულთა და იაფფასიანი ქუჩის მოჩხუბრების სპორტი" უწოდა და იმედოვნებს, რომ მაიკ ტაისონი, რომელიც მძიმე წონაში პროფესიონალ მოკრივეთა შორის ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ისე არ დაეცემა, რომ მონაწილეობა მიიღოს ამგვარ შოუში, რაც ასოცირდება ველურ დროსთან, როცა ადამიანის ღირსებას პრაქტიკულად პატივს არ სცემდნენ. სულეიმანის ვარაუდით, თუ ტაისონი პროფესიულ კრივს დაუბრუნდება, მას ყველა შანსი აქვს იმისთვის, რომ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დაიბრუნოს.

ფეხბურთი

# საკრებულო ეროვნულ სტადიონს ნაკრებს უბრუნებს

მიხეილ აბაიშვილი

გვყავდა ეროვნული ნაკრები, რომელსაც ეროვნული ღირსების გრძნობა მოჭარბებულად არასოდეს ჰქონია და არც მისი დაცვისთვის მოუკლავს თავი. გვქონდა ეროვნული სტადიონი, რომელიც ეროვნული ნაკრებივით, ზუსტად ისეთ მდგომარეობაში იყო, როგორც, ზოგადად, ქართული სოციალური რეალობა. იმის გამო, რომ საერთაშორისო სტანდარტებს ველარ აკმაყოფილებდა, ასეთი მრავლისმეტყველი სახელის მქონე არენას ბოლო პერიოდში ეროვნული ნაკრების თამაშების მასპინძლობის უფლება ჰქონდა ჩამორთმეული. ეს ახალი ამბავი არ არის და შევარდნაძის ხელისუფლება არაერთხელ შეუწუხებიათ ამ პრობლემის მოგვარების მოთხოვნით. სპორტის და, კონკრეტულად, ფეხბურთისადმი ფართოდ აფიშირებული დიდი სიყვარულის მიუხედავად, წინა ხელისუფლება მხოლოდ სტადიონის შველის დაპირებებს იძლეოდა. ასე და ამგვარად, 1997 წლიდან მოყოლებული, როდესაც ფიფას გრანტით – 1 მილიონი შვეიცარიული ფრანკით სტადიონზე 25 ათასამდე ინდივიდუალური სკამი დაამონტაჟეს, ეროვნული სტადიონის ტრიბუნების ახალსკამებიანი ნაწილი მოყვარეს, ხოლო დანარჩენი ტრიბუნები მტერს უხარებს თვალს. თანაც, მტერს გაცილებით მეტი თვალსასეირო ჰქონდა დატოვებული – 45 ათასი ინდივიდუალური სკამის ალაგი.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, ვარდების რევოლუცია სტადიონისთვისაც ძალზე საჭირო და სასარგებლო რამ აღმოჩნდება. ყოველ შემთხვევაში, გუშინ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის, ზაზა ბეგაშვილის ეროვნულ არენაზე სტუმრობა და დადებული პირობა საქმის გამოსწორების რეალურ საფუძველს იძლევა.

"ჩემთან მოვიდა ყველა ქართველისთვის სასიქადულო ფეხბურთელი, "დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი, ალექსანდრე ჩივაძე და სტადიონზე არსებული ვითარების გამოსწორებაში მერიის მონაწილეობა მთხოვა. ეს, მართლაც, საშვილიშვილო საქმეა. არენამ, რომელზეც საქართველოს საამაყო შვილები გამოდიოდნენ, არსებობა არ უნდა შეწყვიტოს და ქართული საფეხბურთო გენის მომავალი გაბრწყინებების თანამონაწილე უნდა გახდეს. შემოდგომაზე იწყება მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი და პირობას გაძლევთ, მანამდე სტადიონს წესრიგში მოვიყვანთ", - განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარემ.



ეროვნული სტადიონი გუშინ მნიშვნელოვან სტუმრებს მასპინძლობდა.

წესრიგში მოყვანაში კი, პირველ რიგში, ტრიბუნებზე 45 ათასი ინდივიდუალური სკამის დამონტაჟება იგულისხმება. ზაზა ბეგაშვილის თქმით, ამ საქმისთვის ქალაქის ბიუჯეტში 1,5 მილიონი ლარი იქნება გათვალისწინებული.

"ამ პროცესს ყველა იურიდიული ნორმის დაცვით ჩავატარებთ. გამოვაცხადებთ ტენდერს და ადგილობრივ კომპანიებს მივცემთ სოლიდური შეკვეთის მიღების საშუალებას. ამასაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, რადგან ქალაქის საკრებულოს მთავარი მიზანი არის და იქნება თბილისელების პრობლემების მოგვარება და მათი უზრუნველყოფა სამუშაო ადგილებით. ამასთან, დიდ იმედს გამოვთქვამ, რომ როდესაც სკამების საჭირო რაოდენობა დამზადდება, ფეხბურთის ყველა ქართველი გულშემატკივარი მოვა სტადიონზე და სკამების დამონტაჟებაში დაგვეხმარება", - ასეთი მოწოდება გაისმა ზაზა ბეგაშვილის მხრიდან. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთი სკამის დამზადება-მონტაჟისთვის საკმაოდ სოლიდური თანხა – საშუალოდ 30 ლარია გათვალისწინებული, გულშემატკივრებს საფეხბურთო შაბათობის მოწყობა, ალბათ, აღარ დასჭირდებათ და ყველაფერს ტენდერში გამარჯვებული კომპანია მოაგვარებს.

www.pfl.ge

# მოტივაცია ქართულ ფეხბურთში

მიხეილ აბაიშვილი

ისევე როგორც ყველა საქმეში, ფეხბურთშიც მოტივაცია გადამწყვეტ როლს ასრულებს. ხუთი დღის წინ თბილისის "დინამომ" საქართველოს ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში გორის "დილას" 5 უპასუხო გოლი გაუტანა და კიდევ ერთი ამდენის გატანა შეეძლო. ამ თამაშზე გორელ ფეხბურთელთა მოტივაცია 10-ბალიანი შკალით რომ გაგვეზომა, ნიშნული, ალბათ, ნულს ოდნავ თუ ასცდებოდა. "დილამ" ეროვნულ ჩემპიონატში პროგრამა მაქსიმუმი უკვე შეასრულა – ფინალურ ექვსეულში მოხვდა და უფრო მაღალი მიზნებისთვის ბრძოლის სურვილს საერთოდ არ ამჟღავნებს. აი, დავით ყიფიანის თასი კი გორელებს დღედაღამ ელანდებათ და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ქართულ ფეხბურთში მნიშვნელობით ამ მეორე ჯილდოს, რაც შეიძლება, უფრო მიუახლოვდნენ.

ამ საქმეში საკმაოდ ბევრი მოახერხეს კიდეც: გუნდმა ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა და, როგორც ჩანს, არც ამ ეტაპზე აპირებს შეჩერებას. ყოველ შემთხვევაში, გუშინდელმა მატჩმა, რომელმაც 5 დღის წინანდელი მეტოქეები იგივე არენაზე, ოღონდ სხვა ტურნირში გადაჰყარა ერთმანეთს, ეს მოსაზრება დაადასტურა.

მიუხედავად იმისა, რომ თამაში "დინამოს" მოედანზე გაიმართა, "დილა" აშკარად არ აპირებდა მეორეხარისხოვან როლში ყოფნას და პირველივე წუთებიდან სერიოზული კონტრთამაში დაუპირისპირა მეტოქეს. უკვე მე-4 წუთზე პირველი რეალური საგოლე მომენტი შეიქმნა, თანაც, გვარამაძის კართან: მასთან პირისპირ დარჩა ბექა ჩიტაია, მაგრამ "დინამოს" მეკარემ გორელი თავდამსხმელის დარტყმა ფეხით მოიგერია. ამის შემდეგაც "დინამო" ფლობდა სერიოზულ ტერიტორიულ უპირატესობას, მაგრამ სტუმართა კონტრშეტევები გაცილებით მწვავე იყო და ტაიმის შუაში ისევ "დინამო" გადაურჩა გოლს. ტაიმი ისე მიილია, მასპინძლებს მეტ-ნაკლებად ღირებული ერთი სახიფათო მომენტიც არ შეუქმნიათ სოლოლაშვილის კართან.

მეორე ნახევარში მოედანზე ვითარება რადიკალურად შეიცვალა. როგორც ჩანს, შუშაკმა შესვენებაზე კარგად შეაფუცხუნა თავისი ფეხბურთელები და თამაშის სიმძიმის ცენტრმაც თანდათან გორელთა საჯარიმო მოედანზე გადაინაცვლა. თუმცა, ამის მიუხედავად, გოლი არ გადიოდა. "დინამოს" თავდამსხმელებს – მიხეილ ბობოხიძეს და სანდრო იაშვილს, რომლებიც 5 დღის წინანდელი მატჩის გმირები იყვნენ, ამჯერად არ წაუვიდათ თამაში. მართალია, ბობოხიძემ ერთ მეტად დინამიკურ ეპიზოდში მიიღო მონაწილეობა, როდესაც ეგრეთ წოდებული "მაკრატელათი" ცდილობდა მეტოქის კარის დალაშქვრას, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა. ამის შემდეგ შუშაკმა ორმაგი ცვლილება განახორციელა: ბობოხიძე და იაშვილი დაასვენა, მათ ნაცვლად კი მელქაძე და კანდელაკი ჩართო თამაშში. მელქაძემ დაცვის ცენტრში დაიკავა ადგილი, სადაც მანამდე... თავდამსხმელი ლადო ახალაია ირჯებოდა. შუშაკის ეს გადაწყვეტილება "დინამოს" კაპიტნის, გიორგი შაშიაშვილის ავადმყოფობამ განაპირობა. ამის შემდეგ არ გასულა 3 წუთი და ახალაიამ ამ მატჩში ერთადერთი გოლი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წუთზე ალექსანდრე გოგობერიშვილის მიერ დარტყმული საჯარიმო ისევ სოლოლაშვილის კარის ძელმა აისხლიტა.



„დილა" მოტივირებული იყო, მაგრამ „დინამო" მაინც ვერ დაამარცხა.

ზურაბ ხორგუაშვილი ("დილას" მთავარი მწვრთნელი): "ვფიქრობ, ეს მატჩი ნებისმიერი შედეგით, თუნდაც, ჩვენი გამარჯვებით შეიძლებოდა დამთავრებულიყო. სამწუხაროდ, პირველ ტაიმში ძალიან რეალური ორი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ, რისთვისაც მეორე ტაიმში დავისაჯეთ კიდეც. თუმცა, მიმაჩნია, რომ საგანგაშო არაფერია - მინიმალური ანგარიშით დავმარცხდით. ეს კი განმეორებითი მატჩის წინ ფინალში გასვლის კარგ შანსს გვიტოვებს. მით უმეტეს, რომ მეორე შეხვედრას ჩვენს არენაზე, ჩვენი ერთგული გულშემატკივრის თვალწინ ჩავატარებთ."

ივო შუშაკი ("დინამოს" მთავარი მწვრთნელი): "ამ შეხვედრაზე გადამწყვეტი გავლენა იქონია პირველი ტაიმის დასაწყისში მომხდარმა ეპიზოდმა, როდესაც გვარამაძემ აშკარა გოლისგან იხსნა გუნდი. ვიცოდით, რომ ძალიან ძნელი თამაში გველოდა. ამჯერად მეტოქემ უფრო მობილიზებულად და თავდადებით ითამაშა. შეცვლებმა გაამართლა და გავიმარჯვეთ. 1:0 დიდი კაპიტალი არ არის, მაგრამ მაინც კაპიტალია. ჩვენ გამარჯვებულები გავალთ საპასუხო მატჩის ჩასატარებლად. და მაინც, ფინალისტის ბედი მეორე შეხვედრაში გაირკვევა."

მეორე ნახევარფინალში ქუთაისის "ტორპედომ" თბილისის "სპარტაკი" დაამარცხა ანგარიშით 2:0. აქაც, გორელებისა არ იყოს, მოტივაციამ სერიოზული როლი ითამაშა. "ტორპედოს" ამ სეზონში ერთი მთავარი მიზანი აქვს: წარმატებით გამოსვლა დავით ყიფიანის თასის გათამაშებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს გუნდი ევროტურნირებს მიღმა დარჩება, რადგან ფინალურ ექვსეულში ვერ შეაღწია. სულ სხვა ამოცანა აქვს გადასაწყვეტი "სპარტაკს", რომელიც ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის. შესაბამისად, "სპარტაკმა" 5 დღის წინ "ტორპედო" ეროვნულ ჩემპიონატში დაამარცხა, რისთვისაც მოტივაცია ნამდვილად არ აკლდა. გუშინ კი მოიგო გუნდმა, რომელსაც ეს გამარჯვება მეტოქეზე მეტად უნდოდა. ასე რომ, წინასწარ შეიძლება ითქვას: ერთი ფინალისტი ცნობილია. ეს გახლავთ ქუთაისის "ტორპედო", რომლის მეტოქე 5 მაისს გორში გაირკვევა.

წყალბურთი

# რუსეთის წყლებში ქართველები გაბატონდნენ

ბიბა ბურასაშვილი

როგორი ამბავია, ეკონომიკურმა გვალვამ საკუთარ აუზში წყალი დაგიშროს. მერე სხვა ქვეყნის ჩემპიონატს შეეხიზნო, იქ კი მასპინძლები არ გააახარო. ამის გამო, ალბათ, ის მასპინძლები თავხედებსაც გვეძახიან. ალბათ კი არა... ამის გამო ერთხანს ბობოქრობდნენ კიდეც: ეგ ქართველები აქედან მოგვაშორეთ, ჩვენს ბიჭებს გასაქანს არ აძლევენო. მწვრთნელები კი ფედერაციის მოხელეებმა არაერთხელ დაამუნათეს: ტილიანმა ქართველებმა როგორ უნდა გაჯობონ, აუზიც კი არ აბადიათ. ერთადერთ ნათელ წერტილად თითზე ჩამოსათვლელი მატჩები აქვთ და ისიც ჩვენი გულმოწყალებითო. მერე და მერე პირში წყალი ჩაიგუბეს, აწონდაწონეს, დაფიქრდნენ და მიხვდნენ, რომ ქართველ ჭაბუკ წყალბურთელებთან ჭიდილი მათთვისაც კი დიდი გაკვეთილია და ისევ გაისმა: "Милости просим"!

ქართველი ჭაბუკებისთვის კვლავ გაიღო რუსული აკვატორია, მაგრამ რა? ამგვარი ნაბიჯი ისევ ძვირად დაუჯდათ ჩრდილოელ მეზობლებს. რუსებმა ისევ წაიშინეს თავში ხელი - ისევ გვაჯობესო. მათ გუნება-განწყობაზე ზემოქმედება მოახდინა საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრებმა, რომელიც გუშინ რუსეთის ჩემპიონის ტიტულით დაგვიბრუნდა თბილისში.

"მართლაც, დიდ წარმატებას მივაღწიეთ, - თანაგუნდელებითა და საკუთარი თავით კმაყოფილი იყო კაპიტანი ზურაბ რურუა. - დავამარცხეთ რუსები და გავახარეთ მოსკოველი ქართველობა, ჩვენი ქვეყანა. ჩემპიონატი რთული გამოდგა, მაგრამ იოლი როდის ყოფილა, მით უმეტეს, მასპინძლებთან. მაგრამ მაინც გავიმარჯვეთ. გავიმარჯვეთ ქართული ჟინით, მობილიზებით და, რა თქმა უნდა, ოსტატობით".

საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრებს ქვეჯგუფში ჩვენზე ბევრად უფრო დალხენილი და უზრუნველყოფილი კლუბები თუ რეგიონთა ნაკრებები ეპაექრებოდნენ. მიუხედავად ამისა, პირველივე მატჩში მოსკოვის "ბურევესტნიკს" 8:1 სძლიეს. მეორეში ასტრახანის რეგიონის ნაკრები დაამარცხეს - 12:4. ამას მოჰყვა ფრე (4:4) მომავალ ფინალისტთან, ვოლგოგრადის "სპარტაკ ლუკოილთან". ვოლგოგრადელებთან მშვიდობიანად გაყრის შემდეგ "ლაგუნა ვერეს" კლუბის ბაზაზე შექმნილი ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრები მოსკოვის "დინამოს" 10:4 გაუსწორდა. მოსკოვის "დინამო" კი არავისთვის არაა ხელწამოსაკრავი. ქვეჯგუფის ბოლო მატჩში კი მინიმალური ანგარიშით - 5:6 ცსკა-სთან დამარცხდნენ. არა იმიტომ, რომ წააგეს, არამედ ქვეჯგუფის ბოლო მატჩს არსებითი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა – ქართველი წყალბურთელები ჯგუფიდან ისედაც გასულები იყვნენ. ის, რომ მათი ძლევაც შეეძლოთ, ეს ნახევარფინალში გამოჩნდა. ცსკა-სა და ქართველ ჭაბუკთა გზები სწორედ აქ გადაიკვეთა - 8:5 და ჩვენი გამარჯვება! ბოლოს კი ისევ ვოლგოგრადს გადაეყარნენ. ფინალური დაპირისპირება, მართლაც, ფინალის საკადრისი გამოდგა, ოღონდ არა სანახაობრივად. ეს უფრო ომს ჰგავდა. მსაჯებიც არ გვწყალობდნენ. თუმცა, რუსთა ასეთი რეაქცია ბუნებრივიცაა: შიდა საქმეებში "ვიღაც" ქართველების ჩარევა, თანაც, ყველას თვალწინ, საკუთარ კედლებში, ძნელი საყურებელი იქნებოდა.



რუსეთის ქართველი ჩემპიონები.

"მსაჯები არ გვწყალობდნენ, მაგრამ 3:1 მაინც მოვიგეთ, - ფინალურ პერიპეტიებში გვარკვევს რურუა. - სამი პერიოდი 2:0 ვიგებდით. ის, რომ რუსებმა ამ ხნის განმავლობაში ბურთი ვერ გაგვიტანეს, ძალზე აღიზიანებდათ. მერე, როგორც იქნა, გაიტანეს – შემთხვევით. მაგრამ ერთბურთიანი სხვაობა მალე გამოვასწორეთ და..."

ერთი სიტყვით, საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრები გუშინ რუსეთის ჩემპიონებად დაგვიბრუნდნენ შინ და, უკვე მერამდენედ, ჩრდილოელ მეზობელთა კბილებიდან გამოცრილი ქება-დიდება დავიმსახურეთ.

"ჩვენს გამარჯვებაზე რუსებს არაერთგვაროვანი რეაქცია ჰქონდათ, - ამბობს ნაკრების მთავარი მწვრთნელი სოსო მაისურაძე. – ხალხი ორად იყო გაყოფილი. ერთნი, რომლებიც რეალურად აფასებდნენ იმას, რომ თავად რუსეთისთვისაა კარგი ჩვენთან თამაში, სპარინგი, და მეორენი, რომლებიც უცხოტომელთა შემოტევამ გააღიზიანა. ალბათ, იმიტომ, რომ ქართველთა გამარჯვებით მათი უსუსურობა გამოჩნდა. წარმოიდგინეთ, პირველი სამეულის სკოლის ბიუჯეტი ორმაგდება, ისევე როგორც მწვრთნელთა ჯამაგირი. ჩვენ კი ჩავედით და ჩემპიონობა წავართვით. აქედან გამომდინარე, სხვადასხვაგვარი იყო დამოკიდებულება. ის ხალხი, რომელსაც რუსეთის ნაკრების ბედი ანაღვლებს, იმის მომხრეა, რომ ჩვენთან ჰქონდეთ სპარინგი, რათა თამაშის განსხვავებულ სტილსაც გაუსინჯონ გემო".

და კიდევ. წლეულს თუ სადმე აფრიალდა საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა, რა თქმა უნდა, სპორტში მიღწეული წარმატებების გამო, აფრიალდა მოსკოვში. პირველად, როდესაც თბილისის "დინამომ" დსთ-ს თასი მოიგო და მეორედ – ახლა, როცა ჭაბუკი წყალბურთელები რუსეთის ჩემპიონები გახდნენ.

საგულისხმოა ის ყურადღებაც, რომელიც აქამდე ყოველთვის აკლდათ ჭაბუკ წყალბურთელებს. მართალია, წარმატებები ადრეც ჰქონიათ, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მათით საქართველოს პრეზიდენტი დაინტერესებულიყოს. გუშინ კი საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრები: ზურაბ რურუა, გიორგი ბიბილეიშვილი, ილია ბუტიკაშვილი, გიორგი ხვედელიანი, თორნიკე თოდაძე, გივი კილურაძე, გიორგი ცირეკიძე, დათო ქაჯაია, ნოდარ რაფავა, ტატო ნიკოლეიშვილი, გურამ კოტარია და ბექა ქექაძე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიიღო.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრები დღემდე "ბურთის საგორებლად" კარდაკარ დადის. ძირითადად, უკრაინისა და რუსეთის ჩემპიონატებში ასპარეზობს. და, ალბათ, ერთადერთია სათამაშო სახეობათაგან, რომელსაც ოლიმპიურ თამაშებზე მოხვედრის ამბიციაც და შესაძლებლობაც აქვს. ან ექნება, თუ, რა თქმა უნდა, მანამდე იმ ბიჭების შენარჩუნებას შევძლებთ, რომლებიც "ლაგუნა ვერეს" ბაზაზე ვარჯიშობენ. რამდენიმეს რუსებმა თვალიც დაადგეს და თავისკენ ექაჩებიან – დიდ წყალბურთს გათამაშებთო. რევაზ ჩომახიძეც ასე აღმოჩნდა რუსეთის წყლებში. რუსეთის ნაკრებისთვის რევაზ ჩომახიძე დღემდე გამწევი ძალაა.

# გამარჯვებული წყალბურთელები შეიძლება დააჯარიმონ

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

რუსეთის ღია ჩემპიონატი წყალბურთში ქართველებმა მოიგეს. საქართველოს წყალბურთის ახალგაზრდულმა ნაკრებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. თამაში იმდენად რთული და დაძაბული იყო, რომ ჩვენი ბიჭების მხარდასაჭერად მისულმა მოსკოველმა ქართველობამ ქლორის სუნით გაჟღენთილ დარბაზში ერთად განიცადა არნახული სპორტული და პოლიტიკური ვნებათაღელვაც. ვქომაგობდით ჩვენც, ქართველი ჟურნალისტებიც, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გუნდის მწვრთნელმა ირაკლი კიკალიშვილმა სველი მაისურა აიწია და ტანზე მიკრული ქართული დროშა გვიჩვენა: "ღამეები არ მძინავს, სულ იმას ვოცნებობ, ეს დროშა ამ აუზში გამაშლევინოს ღმერთმა",- ტირის ირაკლი. ამიტომ ჟურნალისტები წყალბურთელთა დედებზე აქტიურად ვგულშემატკივრობთ. წარმოიდგინეთ, ჩვენც ვტირით. როცა ბიჭებს ბოლო გოლი გააქვთ. როცა ქართველ მწვრთნელს სოსო მაისურაძეს რუსი კოლეგები, ტრადიციისამებრ, ტანისამოსიანად აუზში აგდებენ. სოსო კიკალიშვილი სიხარულისგან ბავშვივით ტირის. შემდეგ ვხედავთ, როგორ იშლება საქართველოს დროშა და ცისფერ აუზში მიფრინავს. ქართველი წყალბურთელები სველ დროშას კოცნიან, თავზე იფარებენ. მერე ისევ შლიან და ბოლოს აუზიდან ამოტანილს რიგ-რიგობით მხრებზე ისხამენ.

მოსკოვის "ნეპტუნის" საწყლოსნო-სპორტულ კომპლექსში საათნახევრის მანძილზე ისეთი ყიჟინა იდგა, რომ გასახდელიდან წელზემოთ შიშველი დარაჯებიც ამოვიდნენ: "ვოტ, გრუზინი ნამ კლას პოკაზალი", - ამბობს ლუდით გაჟღენთილი დარაჯი და ერთ ჩვენ მოთამაშეს გულში იკრავს - ეს მას შემდეგ, რაც ანგარიშით 3:1 ქართული გუნდი რუსულ მოედანზე რუსეთის ღია ტურნირის ჩემპიონი ხდება. მასპინძელთა გულშემატკივრები დაღონებულები ტოვებენ ტრიბუნებს, სადაც ქართული ვნებები იღვრება. რუსული გუნდის მოთამაშეები კომენტარებს არ აკეთებენ. მოგეწონათ ჩვენი გუნდის თამაში? - მაინც ვეეკითხები... "და, ნაში პრიდურკი", - იცინის ერთი. დანარჩენები "ბეზ კომენტარიევ", - გაიძახიან. აშკარად დაბოღმილები ჩანან.

ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, მსოფლიო ჩემპიონი, ევროპული და რუსული ჩემპიონატების პრიზიორი წყალბურთში **ბორის გრიშინი** თავის შთაბეჭდილებებს გვიზიარებს:

- ქართულმა გუნდმა ღირსეულად გაიმარჯვა. შეიძლება ვიკამათოთ თამაშის ტექნიკურ მხარეზე, რაც, უდავოდ, დასახვეწია, ტექნიკაზეც უნდა წაიმუშაონ. სამაგიეროდ, დღევანდელმა თამაშმა ამ ბიჭების თავგანწირვა და კარგი სანახაობა აჩვენა. არ იფიქროთ, რომ მათ მოსკოვში ვინმემ რაიმე შეღავათი გაუწია. ეს თასი ღირსეულად მიდის საქართველოში. მაშინ, როცა მეორე ადგილი რუსეთის ღია ჩემპიონატში ქართული გუნდისთვის გმირობის ტოლფასი იყო, თქვენებმა აი, ასეთ კულმინაციას მიაღწიეს. ნამდვილად მოსალოცია, რადგან კარგ გუნდთან გვაქვს საქმე. ასეთ გუნდს სამშობლოში ხელშეწყობა სჭირდება.

რაც შეეხება რუსი მსაჯის შენიშვნას, ჩვენი გუნდის უფროსი მწვრთნელი სოსო მაისურაძე იზიარებს და ერთ ფაქტსაც ამატებს, რაც ჟურნალისტებს გულს გვიკლავს:

- თუ დროზე არ გადავიხადეთ სასტუმროსა და თვითმფრინავის ფული, ჩვენი გუნდი შეიძლება ბულგარეთში ვერ გაფრინდეს და დიდი ჯარიმაც გადაგვახდევინონ.

რუსეთის ღია ჩემპიონატში გამარჯვებული ქართული ახალგაზრდული ნაკრები მოსკოვში ზის და თბილისიდან გარკვეული თანხის გადარიცხვას ელოდება. წინაა ევროპული ჩემპიონატი. თუ უფულობის პირობებში ჩვენს ბიჭებს იქ წასვლა ეღირსათ, იმედია, ქართული დროშა ახლა ევროპულ აუზებში განიბანება, სადაც თვალებს ნაკლებად წვავს ქლორის სურნელი.

გულსატკენია, თუ მართლა ქართული უსახსრობის გამო ჩვენი გუნდი მონაწილეობას ვერ მიიღებს ევროპულ შეჯიბრებებში. მოსკოვში ინციდენტები ქართველ წყალბურთელებს სწყალობთ ხოლმე. მაგალითად, პირადად მე მოწმე ვარ, მოსკოვში, წინა საპარლამენტო არჩევნების დროს, ყოფილი ხელისუფლების საარჩევნო კომისიის ერთმა წევრმა, როგორ არ დართო ნება, თავისი მოქალაქეობრივი ვალი მოეხადა საარჩევნო უბანზე მისულ ჩვენს ერთ წყალბურთელს. მაშინ გუნდი მოსკოვში ტრანზიტით იყო და საქართველოში ოქროს მედალი მიჰქონდა.

## საფრანგეთის მეფე ფილიპე IV, მშვენიერად წოდებული



მშვენიერია მეფე, მშვენიერია სამეფოც. მისი მეფობის განმავლობაში, 1285 წლიდან 1314 წლამდე საფრანგეთის მოსახლეობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, და ქვეყანა ისე მჭიდროდ დასახლებული გახდა, როგორც არასოდეს მანამდე და არც მის შემდეგ, თვით XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე. სწორედ ფილიპეს მეფობაში დაეტყო საფრანგეთს ახალი დროის ელფერი: სახელმწიფო გამუდმებით გრძნობდა ნაღდი ფულის საჭიროებას, რის გამოც პირველად ისტორიაში დაიწყო გადასახადთა გადამხდელების აღრიცხვა. ასე რომ უკვე შეიძლება დავადგინოთ, რომ თანამედროვე საფრანგეთის ტერიტორიაზე იმ ეპოქაში 20-დან 23-მდე მილიონი ადამიანი ცხოვრობდა.

თუნდაც ეს მწირი ინფორმაცია კმარა იმისათვის, რომ მივხვდეთ: გავრცელებული აზრი, თითქოს XII საუკუნის საქართველოში მოსახლეობის რიცხვი 12 მილიონი იყო, მითოლოგიის სფეროს განეკუთვნება. მაგრამ ისევ ფილიპე მშვენიერს დავუბრუნდეთ: სწორედ მის დროს მიიღო საფრანგეთმა თანამედროვე ექვსკუთხა ფორმა. მას შემდეგ უწოდებენ მას ჰექსაგონს. მეფემ უარი თქვა თავის ესპანურ სამფლობელოებზე, სამაგიეროდ, მის ღერბზე გამოსახული შროშანების გავლენა აღმოსავლეთისკენ გავრცელდა. რას ნიშნავდა ეს? — უპირველეს ყოვლისა იმას, რომ ფრანგთა მეფე ფრანგებზე მეფობით შემოიფარგლა. მიუხედავად იმისა, რომ ფილიპე იმდროინდელი დასავლეთის ყველაზე დიდი, ორგანიზებული და ძლიერი სახელმწიფოს სათავეში იდგა, არასოდეს განუცხადებია პრეტენზია იმპერატორის ტიტულზე. ესეც ახალი დროის ნიშანია: რეალური ძალაუფლების ფლობა ფორმალურ ტიტულზე უფრო სასურველი და მნიშვნელოვანია. შემქნილ პოლიტიკურ ვითარებაში იმპერატორის ტიტულზე პრეტენზია, რა თქმა უნდა, ზედმეტად ჩართავდა თამაშში ეკლესიასა და მის მწყემსთმთავარს, რომლის იურისდიქციაში იყო ამ ტიტულის მინიჭება. ფილიპეს ერჩივნა უბრალო მეფედ დარჩენილიყო და თავის ტერიტორიაზე, ავინიონში ჰყოლოდა სრულიად კონტროლირებადი პაპი. არა მარტო პონტიფიკის კარი, არამედ საყოველთაო საეკლესიო კრებებიც უკვე საფრანგეთში ხდებოდა, სადაც კარგი ორგანიზაციისა და კომუნიკაციათა ქსელის უფრო მაღალი განვითარების გამო მთელი საქრისტიანოდან უფრო ადვილად აღწევდნენ დელეგატები.

და მაინც, შუასაუკუნეების სულისკვეთება ჯერ დაძლეული არ ყოფილა. იმ პერიოდში ჯერ კიდევ ურევდნენ ერთმანეთს სახელმწიფოს (ქვეყანას) და სამეფო კარსა და ოჯახს. ფილიპე მშვენიერსაც მუდამ გარს ერტყნენ უახლოესი ნათესავები და რჩეული მეგობრები. მეფე, უპირველეს ყოვლისა, ისე იქცევა, როგორც თავისი ოჯახის თავი და გვარის წინამძღოლი. ყოველდღე ლოცულობს ის განსვენებული წინაპრებისა და ნათესავებისთვის. თავისი საფლავის ადგილი მან წმინდანად შერაცხული ლუი IX-ის გვერდით აირჩია, სიკვდილის წინ კი თავის შვილს ბიძების რჩევათა გათვალისწინება უანდერძა. სამეფო ოჯახი, მისი უახლოესი გარემოცვა რამდენიმე ასეულ ადამიანს შეადგენს. ეს ადამიანები დანიშნული იყვნენ სხვადასხვა სამსახურებისა და "პალატების" ხელმძღვანელებად, ისინი ყველგან თან ახლდნენ მეფეს. ფილიპეც სულ მუდამ გზაში იმყოფებოდა: ხან ბრძოლის ველზე და ხან სხვადასხვა წმინდა ადგილების მოსალოცად. ასევე დიდი დრო მიჰქონდა შერეულ სანადირო ლაშქრობებს, რომელთა დიდი მოყვარული იყო მეფე და რომელთაგან ერთ-ერთს შეეწირა კიდეც. ამგვარად, სამეფო ოჯახი ერთგვარად გამოეყო მის "კარს" — ეს უკანასკნელი, რომელშიც ნათესავები კი არა, უფრო მეგობრები და რაღაც ნიშნით გამორჩეული სხვა პირები შედიოდნენ, ყოველთვის პარიზში რჩებოდა.

პარიზში სწორედ მაშინ გაიხსნა ორი პირველი ბანკი. მათი მმართველები იტალიელები იყვნენ, ანუ, როგორც მაშინ ამბობდნენ, "ლომბარდიელები": ძმები, **ბიში** და **მუში დი სან ჯემინიანო**. მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება ჯერ კიდევ ეკონომიკას კი არა, იურისპრუდენციას ექცეოდა. ფილიპეს დროს დადგინდა ე. წ. კანონის რაინდთა წოდება. ეს მოხელეები აკონტროლებდნენ სამართლის აღსრულებას. ვისაც აღწერილი ორგანიზაცია ასლან აბაშიძის რეჟიმს აგონებს, შევახსენებთ, რომ კანონის რაინდები მაინც უკეთესია "კანონიერ" ქურდებზე. კანონის რაინდთაგან გამოყოფილი იყო ლეგისტთა, ანუ იურიდიულ მრჩეველთა კლასი. მათგან ყველაზე ცნობილი იყო **გიომ დე ნოგარე**, რომელმაც მოახდინა პაპის, **ბონიფაციუს VIII**-ის დაპატიმრება.

რადგანაც მაშინდელი სახელმწიფო მმართველობის ძირითადი პრინციპი ფეოდალური სამართალი იყო, ხოლო სახელმწიფო მანქანა საკმაოდ თანაბრად, მაგრამ, შეიძლება ითქვას, ინერციით მოქმედებდა, ისტორიკოსები ხშირად სვამდნენ შეკითხვას: რამდენად საგრძნობი იყო ფილიპეს პირადი მონაწილეობა სახელმწიფო საქმეებში? მეფე ხომ არა მარტო ნადირობდა, არამედ ფრანგულად ნათარგმნ ბოეციუსის ტექსტებსაც კითხულობდა და ეს ინტელექტუალური გართობა ძალიან უყვარდა. მისი მეგობარი იყო არისტოტელეს ფილოსოფიის ბრწყინვალე მცოდნე, **პიერ დიუ ბუა**, რომელთან ერთად მეფე მიიჩნევდა, რომ წვრილმან დისკუსიებში შესვლა მის წოდებას არ ეკადრება. ურთიერთობისას მშვენიერი ფილიპე მეტად სიტყვაძუნწი იყო: ბევრი იხსენებს, რომ საუბრისას იმით შემოიფარგლებოდა, რომ მის პირდაპირ მყოფს მდუმარედ უცქერდა თვალებში.

ფილიპეს იდეალი მისი წინაპარი წმიდა ლუი იყო. მასაც უნდოდა ჯვაროსნულ ლაშქრობაში გამგზავრება და იქ სიკვდილი. სიცოცხლის ბოლოს უკვე დაქვრივებული მეფე უფრო დიდ დროს უთმობდა ლოცვას და სულის ასკეტურ ვარჯიშებს, ხშირად ძალიან მკაცრადაც ეპყრობოდა საკუთარ თავს. მაგრამ ამავე დროს ფილიპე მიიჩნევდა, რომ ღვთის ამქვეყნიური ნაცვალი პაპი კი არა მეფეა. ის არ ერიდებოდა პაპის არც ერეტიკოსად გამოცხადებას და მის მიმართ არც პირდაპირი ძალადობის გამოყენებას. თანაც ამ ნაბიჯებს ყოველთვის სარწმუნოებრივი არგუმენტებით ამართლებდა.

შეიძლება ითქვას, რომ ტამპლიერთა გაგზავნა კოცონზე არ იყო განპირობებული მათ სიმდიდრეთა დაუფლების წყურვილით: მეფეს სურდა, თვითონაც ერესების აღმომფხვრელისა და სარწმუნოების სიწმინდისათვის მებრძოლის სახელი დაემკვიდრებინა.

სიცოცხლის ბოლოს ეს კეთილმორწმუნე მეფე სკანდალში გაეხვია: მისი ორი რძალი ქმრებისადმი, მეფის ვაჟებისადმი ორგულობაში ამხილეს. რძლების საყვარლებს ჯერ დაასაჭურისეს, შემდეგ კი მათ ცოცხლად გააძვრეს ტყავი. თვით ქალებს კი შატო-გაიარის ციხე-სიმაგრეში სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. ერთი შიმშილით მოკვდა პირველსავე ზამთარს, მეორემ კი პატიმრობაში მრავალი წელი გაატარა და სიცოცხლე მონასტერში დაასრულა.

# ტამპლიერთა ტრაგედია III

როგორც მოგითხრობდით, 1307 წლის 13 ოქტომბერს საფრანგეთის მეფის, ფილიპე მშვენიერის პოლიციამ ბრწყინვალე სპეცოპერაცია ჩაატარა და ყველა ტამპლიერი ერთდროულად დააპატიმრა. მათდამი წაყენებული ბრალდება 127 პუნქტს შეიცავდა. მაგრამ ეს პუნქტები იმდროინდელი ტრადიციის თანახმად შეკითხვების სახით იყო ჩამოყალიბებული. ეს შეკითხვები ხშირად ერთმანეთს იმეორებდა და აზუსტებდა. რაც შეეხება ბრალდებას, მისი ჩამოყალიბება ხუთ პუნქტადაც შეიძლება...

1. ***იძულებითი სოდომია***. მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით ინკვიზიტორები ამტკიცებდნენ, რომ რიგით ტამპლიერებს ორდენის ხელმძღვანელობა აიძულებდა, ერთმანეთთან ინტიმურ კავშირში შესულიყვნენ. უნდა ითქვას, რომ ტაძრის რაინდებმა ყველაზე ეფექტურად სწორედ ამ ბრალდებისაგან დაიცვეს თავი. ისინი ერთხმად ამტკიცებდნენ შემდეგს: მთავარი აკრძალვა ქალებთან სქესობრივი კავშირი იყო; ორდენში შესვლისას მათ მკაცრად აფრთხილებდნენ, რომ ამ აკრძალვის დარღვევა უმძიმესი ცოდვა იქნებოდა, გაცილებით მძიმე, ვიდრე ძმათა შორის სოდომური კავშირი. შესაძლოა, ეს მხოლოდ გასაძლიერებელი რიტორიკული ხერხი იყო. სხვა სიტყვებით, ტაძრის ორდენში შემავალს ეუბნებოდნენ: ქალებთან არ დაიჭირო საქმე, მაგას გირჩევნია, ისევ შენს თანამოძმეს ჩაუწვე ლოგინში. ასე ეუბნებიან ხოლმე, გირჩევნია თავი მოიკლაო.

ასეა თუ ისე, ყველა დაკითხულის ჩვენება ერთნაირი იყო: ეს მართლაც გვითხრეს, მაგრამ ნებით არ გაგვიკეთებია, იძულება კი არასოდეს ყოფილა. ერთ-ერთმა ტამპლიერმა, **ჟერო დე კოსმა** კი გაიხსენა, რომ მაგისტრ **ტომა ბერარის** დროს სამი რაინდი ჰომოსექსუალიზმის ბრალდებით საპყრობილეში ჩასვეს. ფაქტები ამტკიცებენ, რომ ბრალდება უსაფუძვლო იყო.

2. ***უხამსი კოცნა***. მეორე ბრალდებით, ორდენში შესვლისას ძმები კოცნიდნენ ერთმანეთს ტუჩებში, ჭიპში, კუდუსუნზე ან ანუსში. კოცნის ამ სახეთა შორის განსხვავება არსებობს. ტუჩებში კოცნა უბრალო სიმბოლური აქტია და ახლოაღმოსავლური ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით მშვიდობის სურვილს აღნიშნავდა. რაც შეეხება კუდუსუნზე, ან უფრო მეტიც, ანუსში კოცნას, როგორც მოწმეთა ჩვენებების ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ, საქმე ერთ ძალიან ცნობილ მოვლენასთან გვაქვს. ყველასათვის ნაცნობია ყაზარმებში, ციხეებსა და სხვა მსგავს ადგილებში ახალბედათა მიღებისას მათი დამცირების ტრადიცია. ეს მოვლენა შეიძლება უბრალო სახუმარო რიტუალიდან სასტიკ "დედოვშჩინამდე" დიაპაზონში გვხვდებოდეს, მაგრამ არაფერი აქვს საერთო რაიმე ერეტიკულ ან სატანისტურ რიტუალთან. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ტაძრის რაინდთა უმრავლესობა გაუნათლებელი და საკმაოდ უხეში კაცი იყო, თანაც პროფესიით სამხედრო.

3. ***სიტყვათა გამოტოვება ლოცვისას***. ტამპლიერთა შორის ძალიან ცოტა იყო მღვდელი. ამიტომ ოთხი სასულიერო პირის მოწმობა უკვე საკმაოდ მნიშვნელოვანია. ეს მღვდლები ამტკიცებდნენ, რომ მათ სთხოვეს წირვის აღსრულებისას არ ეთქვათ ოთხი სიტყვა: hoc est corpus meum — *ესე არს ხორცი ჩემი*. ამასთან, ოთხივე ამტკიცებდა, რომ ეს მოთხოვნა არასოდეს შეუსრულებიათ. არც შესრულებაზე რაიმე კონტროლის კვალი ჩანს.

როგორც ეტყობა, აქ მაინც ჰქონდა ადგილი სამხრეთ საფრანგეთიდან კათართა ერესის ელემენტების შემოსვლას. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს შემოსვლა არ ყოფილა კატეგორიული და საყოველთაო.

4. ***კერპთა თაყვანისცემა***. მოწმეთა ჩვენებები რაღაც იდუმალ რიტუალზე მიგვანიშნებენ, კერძოდ კი — მოჭრილი თავის თაყვანისცემაზე. ზოგი ჩვენება იხსენიებდა თეთრწვერა მამაკაცის თავს, ზოგიც — ქალის თავს, რომელიც შიგნით ხისა უნდა ყოფილიყო, გარედან კი ოქროს ან ვერცხლის ფენა ჰქონდა შემოკრული. თავები ყველა მოწმეს არ ენახათ. ბევრი მათგანი ამას უბრალო მონაჭორად აცხადებდა, ზოგიც ამბობდა, რომ საშინლად შეეშინდათ, როცა საყოველთაო შეკრებაზე ასეთი უცნაური და საშინელსახიანი თავი შემოიტანეს და ყველა ფეხზე წამოდგა და თავი დახარა.

ჩვენებები იმდენად არეული და გაუგებარი იყო, რომ ინკვიზიტორებმა ნივთმტკიცების წარდგენა მოითხოვეს. 1311 წლის 11 მაისს კომისიას მართლაც წარუდგინეს ერთი ასეთი თავი: იგი ღრუ აღმოჩნდა და შიგ ადამიანის ორი ძვალი იდო. ყველა მიხვდა, რომ საქმე წმიდა ნაწილებთან, რელიკვიებთან ჰქონდათ, იდუმალი თავი კი ასეთი ფორმის ლუსკუმა იყო და არა კერპი.

უფრო ფართოდაა ცნობილი სიტყვა "ბაფომეტი", რომელიც თითქოსდა აღნიშნავს რაღაც დემონს თუ ბოროტ სულს, რომელსაც ტამპლიერები ეთაყვანებოდნენ. მაგრამ ამ დემონის გამოსახულებები გვიანდელია, თვით პროცესზე არაფერი მსგავსი არ ყოფილა წარდგენილი.



*ბაფომეტი – გვიანდელი გამონაგონი, რომელიც არასოდეს უნახავთ ტაძრის რაინდებს*

ოქმებს შემორჩა მხოლოდ ერთი მონპეზელი (სამხრეთი საფრანგეთი) სერჟანტის ჩვენება, რომელიც ამბობდა, რომ ძმები მოწიწებით ეპყრობოდნენ ბაფომეტის გამოსახულებას.

ჩრდილოეთი საფრანგეთის მკვიდრმა მოსამართლეებმა არ იცოდნენ, რომ პროვანსულ დიალექტზე "ბაფომეტი" მუჰამედს ნიშნავდა, ბაფომეტის გამოსახულება კი მუსლიმურ, მაჰმადიანურ გამოსახულებას. აქ კი მამაცი სერჟანტი ცდება, რადგან ისლამი ადამიანისა და ღმერთის გამოსახვას კრძალავს. ასე რომ, ისლამური გამოსახულება უბრალო გაუგებრობაა. პროვანსულ პოეზიაში, ჯვაროსანთა გმირობების აღწერისას გვხვდება სარკინოზთა შემდეგნაირი განსაზღვრება: "ბაფომეტის თაყვანისმცემლები" — სხვა სიტყვებით კი მაჰმადიანები.

სამწუხაროდ, შემდგომმა საუკუნეებმა ტამპლიერებს სხვადასხვა ცოდვისა და იდუმალი ბოროტება მიაწერა. მათ შორის იყო ბაფომეტის კულტიც. ასევე გვიანდელია ერთი ლეგენდა: სიდონის მთავარს, ტაძრის ორდენის წევრს ერთი ულამაზესი სომხის ქალი შეჰყვარებია, მაგრამ წესდების მორჩილი იყო და მისი ხორციელად დაუფლება ვერ გაებედა; ქალი გარდაიცვალა და მხოლოდ მაშინ მიუდგა მას სიდონის მთავარი. რამდენიმე თვის შემდეგ სიდონის მმართველმა იდუმალი ხმა გაიგონა. ხმა ქალის საფლავისკენ მოუხმობდა. ღამით აკლდამაში შესულმა რაინდმა აღმოაჩინა, რომ გახრწნილი გვამის ფეხებს შორის ადამიანის თავი იყო. იდუმალმა ხმამ ჩასძახა: "შეინახე ეს თავი და ბედნიერებას მოგიტანს". ასეთი ზღაპრებით ხსნიდნენ იმ "კერპის", სინამდვილეში კი ლუსკუმის წარმოშობას, რომელიც დროდადრო ჩნდებოდა ტამპლიერთა ერთობლივ შეკრებებზე.

5. ***ქრისტეს შეურაცხყოფა***. ეს ბრალდება ყველაზე მძიმე და ასახსნელადაც რთული იყო. ბევრი მოწმე ამტკიცებდა, რომ ორდენში შესვლისას მათ ჯვარზე დაფურთხება მოსთხოვეს. თუმცა მოწმეთა აღწერები ძალიან განსხვავდება: ზოგი ამბობს ერთგზის დაფურთხებაზე, ზოგი ამ რიცხვს სამამდე ზრდის. ჯვარიც ხან უბრალოა, ხანაც მასზე ქრისტეა გამოსახული, ეს ჯვარი ხან ხისაა, ხან ვერცხლის, ხანაც ლოცვათა წიგნის ყდაზეა ამოტვიფრული. ერთი სიტყვით, აშკარაა, რომ საქმე არა გვაქვს ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ, მკაცრად ფორმალიზებულ რიტუალთან. თანაც ყველანი ამბობდნენ, რომ ეს მოთხოვნა მათ მოულოდნელად წაუყენეს. ხშირად, როცა ახლადშემოსული ყოყმანობდა, სხვები მახვილებს უღერდნენ და დილეგში ჩაგდებით ემუქრებოდნენ.

ერთ-ერთი ვარაუდია, რომ ეს გამოცდა იყო. ბევრი მოწმე ამბობს, რომ მხოლოდ მოქმედებით მიაყენა უფლის ჯვარს შეურაცხყოფა და არა გულითა და გონებით. მაგრამ საოცარია, რატომ არ ეუბნებოდნენ ახალმიღებულებს, რომ ეს გამოცდა იყო. ბევრი მკვლევარი ამბობს, რომ ამგვარად ახალმიღებულებს აჩვევდნენ, სიცოცხლის შესანარჩუნებლად ფორმალური ტრადიციების ადვილად დარღვევის უნარი ჰქონოდათ. ამგვარი ახსნა პროცესის ორმა მოწმემ შესთავაზა ინკვიზიციას. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოწმეთა მიერ აღწერილი მოვლენები მშვიდობიან დროს ხდებოდა, ჯვაროსნული ომების პერიოდში კი ტაძრის რაინდები ყოველთვის სიკვდილს ამჯობინებდნენ. მრავალი მათგანი შეიმოსა მოწამეობის გვირგვინით და სიცოცხლის შენარჩუნება არასოდეს ყოფილა მათთვის რაღაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამოცანა. ბევრი ფიქრობს, რომ ხსენებული რიტუალი პეტრე მოციქულის მიერ ქრისტეს სამგზის უარყოფის ინსცენირებაა. მაგრამ ამგვარი რიტუალის საზრისი მაინც გაუგებარი რჩება. ამბობენ კიდევ, რომ რიტუალი იხსენებს ორდენის ერთი მეთაურის, ცუდ მაგისტრად წოდებული **ჟირარ დე რიდფორის** ისტორიას: ეს მაგისტრი ჯვაროსნული ომის დროს სულთანმა შეიპყრო და შემდეგ მოულოდნელად და ყველასათვის საკვირველად გაათავისუფლა. ტამპლიერებს ეჭვი შეეპარათ, რომ მაგისტრმა სარწმუნოებას უღალატა ან მტერთან სხვა რამ სამარცხვინო გარიგებაზე დათანხმდა. ეს ახსნაც ძალიან ხელოვნურია, რადგან გაუგებარია, რატომ უნდა შემორჩენოდა რაინდთა რიტუალურ ტრადიციას ასეთი ცუდი მაგალითი.

ძალიან საინტერესოა ერთ-ერთი მაღალი რანგის რაინდის, **ჟოფრუა დე შარნეს** მოწმობა: "მას შემდეგ, რაც მე ორდენში მიმიღეს და მოსასხამით შემმოსეს, მომიტანეს იესო ქრისტეს გამოსახულებით შემკული ჯვარი. ძმა **ამორიმ** მიბრძანა, არ მეწამა მისთვის, ვინც ჯვარზე იყო გამოსახული, რადგან იგი ღმერთი კი არა, ცრუ წინასწარმეტყველი იყო. ამის შემდეგ მეც ბევრი ვინმე მიმიღია ორდენში, მაგრამ არავისთვის არ მიბრძანებია ამგვარი რიტუალის შესრულება, რადგან ის წესი, რომლითაც მე მიმიღეს ორდენში, საზიზღრობა, უსჯულობა და კათოლიკური სარწმუნოებისთვის მიუღებელი იყო". ამაზე კარგად მართლაც ვერ ახსნი.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი შემდეგია: ეს ბოლო პუნქტი ერთადერთი იყო, რომელზედაც რაინდების მხრიდან არავითარი წინააღმდეგობა არ ყოფილა. ყოველმა მათგანმა, მაგისტრ **ჟაკ დე მოლეს** ჩათვლით ამ წესის ანტიქრისტიანული ხასიათი აღიარა. საქმეს კიდევ უფრო ამძიმებდა აღსარების წესი, რომელიც ამ რიტუალს მოსდევდა. ორდენში ახალშესულ ტამპლიერს აღსარებაში უნდა მოენანიებინა ქრისტეს უარყოფა, რის შემდეგაც კაპელანი ეუბნებოდა მას: "ო, ეს ძალიან მსუბუქი ცოდვაა და ღმერთიც ადვილად მოგიტევებს მას". ქრისტეს შეურაცხყოფის რიტუალს სინანულის საიდუმლოების პაროდია მოსდევდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ წესით ორდენი თავის ჩაკეტილობას ინარჩუნებდა: ისინი, ვისაც სინდისზე ქრისტეს შეურაცხყოფა აწვა, ვისაც ორდენის შინაგანი მოძღვრები ხალისით შეუნდობდნენ ცოდვებს, ადვილად ვერ მივიდოდნენ უცხო მღვდელთან და ორდენის სხვა საიდუმლოებებიც შენარჩუნდებოდა.

1307 წელს პაპმა **კლიმენტ V**-მ რაღაც უკვე იცოდა ამ რიტუალის შესახებ. მას აუხსნეს, რომ ეს პეტრე მოციქულის მოგონება იყო. პაპმა მაინც ყური არ ათხოვა ამ ახსნას და ჯერჯერობით ძალიან რბილად ურჩია ტამპლიერებს, აღარ მიემართათ ამგვარი ქმედებისათვის. 1309 წელს პაპი უკვე 72 რაინდს გაესაუბრა, რომლებმაც მის წინაშე დაწვრილებით აღიარეს თავიანთი შეცოდებანი. აქ კი კლიმენტს სრულიად აემღვრა სული და ტაძრის რაინდები ერეტიკოსებად გამოაცხადა.

მაგრამ ძალიან უცნაური იყო ეს ერესი: არანაირი სწავლება, არანაირი დოქტრინა — მხოლოდ უცნაური რიტუალი, რომელსაც მხოლოდ ზოგჯერ ასრულებდნენ. არავის სჯიდა მისი შეუსრულებლობისთვის და არავინ არასოდეს არავის ასწავლიდა მის მნიშვნელობას. საინტერესოა, რომ თვით ინკვიზიტორები პროცესის განმავლობაში არ ცდილან ამ ერესის წარმოშობისა და ბუნების გარკვევას.

ორდენის ხელმძღვანელები ამბობდნენ, რომ ეს უბრალოდ ძველი ადათი იყო. მაგრამ რატომ არასოდეს გაუქმებულა ეს ადათი მისი ქრისტიანულ რელიგიასთან შეუთავსებლობის გამო? რატომ არავის მოსვლია აზრად, რომ საქმე უბრალო მკრეხელობასთან ჰქონდათ? მრავალწლიანი პროცესის განმავლობაში ტამპლიერები ყოველთვის ითხოვდნენ, რომ მათთვის წირვაზე დასწრების უფლება მიეცათ. ვერავინ მოჰყვება მტკიცებას, რომ ეს ხალხი ამდენი ხნის განმავლობაში, ასეთ პირობებში განუწყვეტლივ ასახიერებდა რაღაც კომედიას. მათ მართლაც გულწრფელად სურდათ ეკლესიის წიაღში ყოფნა. უბრალოდ, ტამპლიერები არასოდეს დაფიქრებულან სარწმუნოების ინტელექტუალურ მხარეზე, რელიგიური კულტის შინაგან სიმბოლურ სიმწყობრეზე.

ერთადერთი ახსნა შემდეგია: თავიანთი ერესი ტამპლიერებს თვითონ არ მოუგონებიათ და არ განუვითარებიათ. უფრო სწორად, ეს არც ყოფილა ერესი: უბრალოდ რელიგიურ, კერძოდ, ლიტურგიულ შინაარსში გაურკვეველმა ადამიანებმა სხვადასხვა სარწმუნოების წარმომადგენლებთან უშუალო კონტაქტის შედეგად აითვისეს სხვადასხვა უცნაური წეს-ჩვეულება და რიტუალი. ისინი კარგად ვერ არჩევდნენ ერთმანეთისაგან საკრალურ წესებსა და უბრალო ყოფით ჩვეულებებს. გარე სამყაროსაგან ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა დამოუკიდებლობამ კი განაპირობა უცნაური ქმედებებისა და სინკრეტული რიტუალების ჩამოყალიბებას.

შემდგომში ჩვენ შევეცდებით ტამპლიერთა ერესის უფრო ღრმა განხილვას და შევეხებით ტაძრის ორდენის რაინდთა მიმართ წაყენებულ კიდევ ერთ ბრალდებას: მომდევნო საუკუნეებში ხშირად ამბობდნენ, რომ ტამპლიერები მსოფლიო ბატონობას ესწრაფოდნენ.

მანამდე კი უნდა აღვნიშნოთ, რომ 1314 წლის 18 მარტს ოთხ მთავარ ტამპლიერს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. მაგრამ ორმა — ჟაკ დე მოლემ და ჟოფრუა დე შარნემ უარი თქვეს მონანიებაზე და ყველა წინანდელი ჩვენება უარყვეს, თუმცა იცოდნენ, რომ ამისათვის სიკვდილი ელოდათ. ორივე კოცონზე ავიდა მეორე დღესვე. მაგისტრის უკანასკნელი სიტყვები იყო: "ჩვენი სხეულები საფრანგეთის მეფეს ეკუთვნის, სულები კი ღმერთს".

მათ ჯალათები მალევე უკან გაჰყვნენ: კლიმენტ V კუჭის კიბოთი იყო დაავადებული და მაშინდელი მედიცინის მოთხოვნათა თანახმად მას უკვე დაფხვნილი ზურმუხტებით კვებავდნენ. პაპი 1314 წლის 20 აპრილს გარდაიცვალა. 46 წლის მეფე ფილიპე სრულიად ჯანმრთელი იყო, მაგრამ იმავე წლის 29 ნოემბერს ტახებზე ნადირობისას სასიკვდილოდ დაიჭრა. დანტე ალიგიერის თქმით, იგი ღორის ტყავის დარტყმამ იმსხვერპლა.



*ტამპლიერები კოცონზე*

*ნოდარ ლადარია*
*ლეილა ბეზარაშვილი*

# ყოველწლიური ლიტერატურული პრემიის "საბას" ნომინანტები

### წლის საუკეთესო პროზაული კრებული

| ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|
| **ლაშა ბუღაძე** | მესამე სართული | "არეტე" |
| **ლაშა იმედაშვილი** | ბიოგრაფიები | "ლომისი" |
| **ირაკლი ლომოური** | ექსლიბრისი | "მერანი" |
| **აკა მორჩილაძე** | წიგნი | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" |
| **ირაკლი სამსონაძე** | გარეუბანი | "სანი" |
| **დავით ქართველიშვილი** | დღიურები მირანდასათვის | "მერანი" |
| **გოდერძი ჩოხელი** | მოთხრობები | "მარსი" |
| **გიორგი ცოცანიძე** | ნაწერი ხანჯრის წვერითა | "თეთრი გიორგი" |

### წლის საუკეთესო რომანი

| ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|
| **ჭაბუა ამირეჯიბი** | გიორგი ბრწყინვალე | "ბაკმი" |
| **ზაზა ბურჭულაძე** | მინერალური ჯაზი | "ლოგოს პრესი/მერანი" |
| **გურამ დოჩანაშვილი** | ლოდი ნასაყდრალი | "მარსი" |
| **აკა მორჩილაძე** | ძირს სიმინდის რესპუბლიკა | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" |
| **ზურაბ ქარუმიძე** | თხა და გიგო | "მედიატორი" |
| **ოთარ ჭილაძე** | გოდორი | "რუსთავი 2 პრინტი" |

### წლის საუკეთესო პოეტური კრებული

| ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|
| **შალვა ბაკურაძე** | წერილი ნინოს | "მერანი" |
| **ელა გოჩიაშვილი** | პარასკევი ჩემი დღეა | "მერანი" |
| **ბათუ დანელია** | მთვარის დღესასწაული | "მერანი" |
| **ზაზა თვარაძე** | ტან-ცზი სიცივეში | "კავკასიური სახლი" |
| **თემურ ჩხეტიანი** | ბუდე | "მერანი" |
| **ოთარ ჭილაძე** | კიბე | სანი |
| **ბესიკ ხარანაული** | წიგნი ამბა ბესარიონისა | "არეტე" |

### წლის საუკეთესო დებიუტი

| ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა | ჟანრი |
|---|---|---|---|
| **გიო მგელაძე** | გაიღიმე, ჩიტი გამოფრინდება | "A.M.I." | პიესა |
| **ანი მოსულიშვილი** | კიპლინგის "სწორედ ასეთი მოთხრობები" | "დიოგენე" | თარგმანი |
| **თამარ ფხაკაძე** | სანამ დაგვიძახებენ | "დიოგენე" | პროზა |
| **ნიკა ჯორჯანელი** | განცდა ხავერდისაგან | "დიოგენე" | პოეზია |

### წლის საუკეთესო თარგმანი

| სახელწოდება | მთარგმნელი | გამომცემლობა |
|---|---|---|
| გერმანულენოვანი პროზა და პოეზია, ალმანახი "აფრა" | **ნაირა გელაშვილი** | "კავკასიური სახლი" |
| ალბერ კამიუ გადასახლება და სამეფო | **გიორგი ეკიზაშვილი** | "სანი" |
| უილიამ შექსპირი ვენერა და ადონისი | **მედეა ზაალიშვილი** | "ლიტერა" |
| ტომაზო ლანდოლფი ხელები | **ნოდარ ლადარია** | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" |
| ჯიბრან ხალილ ჯიბრანი იესო ძე კაცისა | **გიორგი ლობჟანიძე** | "დიოგენე" |
| აზერბაიჯანული ეპოსი ქოროღლი | **ზეზვა მედულაშვილი** | "კავკასიური სახლი" |
| ტუვე იანსონი "ჯადოქრის ქუდი", "უჩინარი ბავშვი" | **ბაკურ სულაკაური** | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" |
| პინდაროსი ოდები | **ნანა ტონია** | "ლოგოსი" |
| კატულუსი 33 ლექსი | **მანანა ღარიბაშვილი** | "ლოგოსი" |

### წლის საუკეთესო პიესა

| ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|
| **ლაშა ბუღაძე** | ნუგზარი და მეფისტოფელი | "ახალი ქართული პიესები" (საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი) |
| **მანანა დოიაშვილი** | თამაში რემარკის გარეშე | კრებული "კვალი-პროზა, დრამატურგია" (გამომც. "მარსი") |
| **მამუკა დოლიძე** | თამაშგარეთ დარჩენილ თეატრში | კრებული "კვალი-პროზა, დრამატურგია" (გამომც. "მარსი") |

### წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა და ესსე

| ავტორი | წიგნი/გაზეთი |
|---|---|
| **ივანე ამირხანაშვილი** | "ტკივილის დიალექტიკა" "საგურამო" |
| **თეიმურაზ დოიაშვილი** | "დაბრუნება" "მერანი" |
| **ელგუჯა თავბერიძე** | გაზ. "ჩვენი მწერლობა" |
| **ნუგზარ მუზაშვილი** | გაზ. "ჩვენი მწერლობა" |
| **ნანა ტონია, ქეთი ნადარეიშვილი** | "პენელოპე" "ლოგოსი" |
| **მერაბ ღაღანიძე** | გაზ. "ჩვენი მწერლობა" |
| **მალხაზ ხარბედია** | გაზ. "24 საათი"; ჟურნ. "არილი" |




## სკანვორდი



## TV პროგრამა

21 აპრილი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** ჩემპიონთა ლიგა **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელელიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **22.50** ღამის კურიერი **23.45** ჩემპიონთა ლიგა. "პორტო"-"დეპორტივო".

**07.00, 09.00,** 11.00(კანადა), 16.00(ბელგია), **17.00, 19.00, 21.00, 01.00,** 03.00(შვეიცარია), 03.25(აფრიკა), **05.00** საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 23.00,** საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **10.15** წითელი ფარადა. საერთაშორისო სამართალი. იურისტებთან ერთად. რეპორტაჟები არუშადან, სერბიიდან. **19.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **24.00** ჩრდილები ღამით. დოკ. ფილმი. **01.25** ფრთები და ფესვები. პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება. ორმაგი მე. **06.25** დიზაინი. 4/11 სვოჩი.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მხ. ფილმი "ათასი მილიონი დოლარი" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ქართული ენის გაკვეთილი **14.30** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **15.15** მხ. ფილმი "ჩემი ამერიკელი ბიძა" 13-14ს. **16.45** კვალი **17.20** საქართველო, დრო, მოვლენები **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **18.30** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.00** ენერგია **19.25** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.05** ბასტი-ბუბუ **21.20** სერიალი "სოლედადი" **22.10** მათი შვილები **23.30** მხ. ფილმი "უსაფრთხოების ზომები"

### პირველი სტერეო

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** ფილმი "ჩემი დიდი ბერძნული ქორწილი". მთ. რ-ში ნია ვარდალოსი, ჯონ კორბეტი. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** ქართ. მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" "აურზაური" მთ.რ-ში შონ პენი, კევინ სპეისი. **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** არჩევანის ზღვარზე **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "რედვოლი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **21.00** მხ. ფილმი "მაჰოუნის საკუთრება" (მაიკლ მური) **22.45** არჩევანის ზღვარზე **23.45** მხ. ფილმი "მე ვარ სემი" (შონ პენი)

### მეორე არხი

**19.00** მულტსერიალი "შავი მეკობრე" **19.30** კინოსეანსი "ჩემი ამერიკელი ბიძა" 5-6ს. **21.00** და არს მუსიკა **21.30** ჩვენი მისამართია **22.00** მხ. ფილმი "წინაპართა მიწა"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "მატრიცა" **14.00** მხ. ფილმი "დიდი ბიზნესი" **15.30** მხ. ფილმი "ცხოველი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მულტფილმი "მულანი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "კარტი, ფული და ორი ლულა" **00.30** მუსიკა

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 13.15, 17.20, 02.15** იმედის მელოდიები **07.30** "იმედის" დილა **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.05** სპ. პროგრამა "გოლი სერია ფ" **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 01.45** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "შტოკინგერი" **15.15** მხ. ფილმი "უფლის მსგავსად" **17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.25** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი: "სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "27 დრაკონი" **21.30** "პირველი ნახევარი" **23.00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-რომა **00.55** არტ-ბულვარი **23.30** მხ. ფილმი "ერთად სიკვდილი" (პ. ანდერსონი)

### არხი

**09.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** დოკუმენტური ფილმი **10.20** კომედია "ჩინური სერვიზი" **11.55** მუსიკა **12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00** საინფ. გამ. "დღეს" **12.10, 16.10, 18.10, 22.30, 00.20** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **12.20** მელოდრამა "ცისფერი მანქანა" **13.45, 15.45, 17.35, 19.55, 02.35, 05.30** მუსიკა **14.10** ვესთერნი "ამერიკის ბოროტმოქმედი" **16.20** მულტფილმი "ოლივერი და კომპანია" **18.20** დრამა "ორნი ქალაქში" **20.10** დოკუმენტური ფილმი **20.40** კომედია "ბრძოლა შეიკერ ჰეისთან" **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** დოკუმენტური ფილმი **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე **01.00** კომედია "შენს სიკვდილს გაუმარჯოს!" **03.00** დოკუმენტური ფილმი **03.50** თრილერი "მიტოვებული"

### ОРТ

**07.00** "Доброе утро" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20, 22.35 Сериал "Улицы разбитых фонарей" 11.20, 19.50 Сериал "Клон" 12.20** МультСериал "Кошки-мышки" **12.40**Дисней-клуб: "Мышиный дом" **13.20**Лидер проката. Комедия "Наши соседи" **14.50**Док. детектив. "Большие трагедии маленького города" **15.20**Город женщин **16.20Сериал "Берег мечты" 17.20**"Угадай мелодию" **17.50**"Большая стирка" **19.20**Премьера. "Природа вещей" **20.50**"Стирка на миллион" **21.00 Сериал "Евлампия Романова: Следствие ведет дилетант" 22.00, 00.30** Время **23.40**"Спецрасследование: билетная мафия" **00.50**"Фабрика звезд" **01.10**"Формула власти". Премьер-министр Израиля Ариэль Шарон **01.40**"Крылья". "Ночной охотник" **02.10**Максим Никулин в программе "Форганг" **02.40**Мистический триллер **"В плену у призраков" 04.30Сериал "Мертвая зона"**

### НТВ

**11.00** Сегодня утром **11.25** Кулинарный поединок: Мурат Насыров - Паван Кумар **12.20** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.05** "Сегодня" **13.30 Худ.фильм "Комедия строгого режима" 15.15** Время есть **15.35** Протокол **16.35** Ток-шоу "Принцип домино" **18.30 Сериал "Дальнобойщики: самосуд" 19.35** Протокол **20.40 Сериал "МУР есть МУР". 7 с. 21.45 Сериал "Пятый ангел". 11 с. 23.00** "Страна и мир" **23.35** Красная стрела **23.45 Сериал "Детектив Раш: бегун" 00.50 Сериал "МУР есть МУР"**

amara computers

„ქამარა-კომპიუტერ“-თან არსებული „კომპიუტერულ – ტექნოლოგიათა სასწავლო ცენტრი – ლიცეუმი“ აცხადებს მიღებას სპეციალობით „კომპიუტერული ტექნოლოგიები“.
(სწავლების ხანგრძლივობა 1 წელი).
აგრეთვე ფუნქციონირებს კომპიუტერული, საბუღალტრო აღრიცხვისა და ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები.
სწავლება მიმდინარეობს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.
ტელ: 95 29 99
მისამართი: ბაქოს ქ.2

საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი "რუსული კლუბი" წარმოგიდგენთ

ალექსანდრე ვერტინსკის იუბილესადმი მიძღვნილ სპექტაკლს

"ყვითელი ანგელოზი"

26 აპრილი
"თავისუფალი თეატრი"
დასაწყისი 19.00 საათზე
ცნობებისათვის დარეკეთ ტელ: 93-43-36 98-58-21



1-ლი ქართული საერთაშორისო გამოფენა
ტელეკომუნიკაციები და საინფორმაციო ტექნოლოგიები

28-30 აპრილი
თბილისი, საქართველო
შერატონ მეტეხი პალასი

GEORGIA TELECOM 04
www.caspianworld.com

შესვლა უფასოა

ორგანიზატორები:

ITE Group Plc
Tel.: +44 (0) 207 596 5221
Fax: +44 (0) 207 596 5167
E-mail: enquiry@ite-exhibitions.com

Iteca Caspian:
Tel.: +994 12 474774
Fax: +994 12 478998
E-mail: telecoms@iteca.az

Iteca Kavkasia:
Tel.: +995 32 582130
Fax: +995 32 582190
E-mail: office@ite.cdn.ge

პროექტ-მენეჯერის ვაკანსია

აქსისი AXIS

ძირითადი მოთხოვნები

- განათლება: საინჟინრო
- სამუშაო გამოცდილება სამშენებლო მენეჯმენტში
- ინგლისური ენისა და კომპიუტერის კარგი ცოდნა
- ასაკი: 30-50 წლამდე

თუ თქვენი მონაცემები შეესაბამება ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი საბუთები აქსისის ოფისში

არაყიშვილის 14, ტელ: 25 34 34.
საკონტაქტო პირი ნესტან ზურაბიშვილი

- რეზიუმე (ავტობიოგრაფია)
- ფოტოსურათი
- დიპლომის ასლი
- რეკომენდაცია

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2004 წლის 1 მაისი

# ბავშვთა ტოლერანტობის საგანმანათლებლო პროექტი

Save the Children.

## თოჯინების დადგმის რეჟისორთა კონკურსი

"Save the Children" ("ფედერაცია გადავარჩინოთ ბავშვები") ახორციელებს ბავშვთა ტოლერანტობის საგანმანათლებლო პროექტს საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. პროექტი მიზნად ისახავს ბავშვებში ტოლერანტობისა და კრიტიკული აზროვნების უნარის გამომუშავებას პიროვნებათაშორისი და საზოგადოებრივი კონფლიქტების გადაჭრის საქმეში, ასევე კულტურათაშორისი ურთიერთობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

"Save the Children" აცხადებს თოჯინების დადგმის რეჟისორთა კონკურსს ბავშვთა სატელევიზიო სერიებისათვის. სატელევიზიო სერიები შეიქმნება ბავშვთა ტოლერანტობის საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში. თოჯინების დადგმის რეჟისორი მოახდენს დადგმების შექმნის მთლიან ორგანიზებას, მის მოვალეობაში შევა თოჯინა-პერსონაჟების შექმნა, მხატვრების, მეთოჯინეების, დეკორატორების, მუსიკალური გამფორმებლების და სცენარისტების მუშაობის კოორდინაცია. რეჟისორი მჭიდროდ ითანამშრომლებს ბავშვთა ტოლერანტობის პროექტის კოორდინატორთან და ტელევიზიასთან.

**კვალიფიკაცია და კომპეტენცია**

1. ხანგრძლივი სამუშაო გამოცდილება თოჯინების დადგმების რეჟისურაში, სასურველია თოჯინების სატელევიზიო დადგმებში
2. გამოცდილება საბავშვო თოჯინების დადგმების რეჟისურაში
3. ორგანიზატორული უნარ-ჩვევები და დადგმების შექმნის პროცესის მართვის და ორგანიზების უნარი
4. ზოგადი ცოდნა სამოქალაქო საზოგადოების პრინციპებისა და დემოკრატიის შესახებ, ასევე საბავშვო საგანმანათლებლო, გასართობი ან შემეცნებითი პროგრამების სფეროში
5. ბავშვებისათვის ადვილად გასაგები, მიმზიდველი და საინტერესო თოჯინების დადგმების შექმნის უნარი
6. ქართული კულტურისა და ტრადიციების ღრმა ცოდნა
7. აზერბაიჯანელ და სომეხ კოლეგებთან კონსტრუქციული და კოლეგიალური ურთიერთობის უნარი
8. მტკიცედ განსაზღვრულ ვადებში მუშაობის უნარი
9. მოქნილობა, კრიტიკული აზროვნება და კულტურათაშორისი ურთიერთობის უნარი
10. ქართული და რუსული ენების კარგი ცოდნა, ინგლისური ენის ცოდნა სასურველია, მაგრამ სავალდებულო არ არის

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ რეზიუმე და სატიტულო გვერდი ბავშვთა ტოლერანტობის საგანმანათლებლო პროექტის კოორდინატორის მარინა უშვერიძის სახელზე, შემდეგ მისამართზე: "Save the Children" საქართველოს ოფისი, ბარათაშვილის ქ. 8, IV სართული, 0105, თბილისი;

**ფაქსი: (995 32) 99 89 43; ელ-ფოსტა: marina@save.org.ge**

**განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა 30 აპრილი, 2004. კანდიდატთა მხოლოდ მცირე ნაწილი შეირჩევა გასაუბრებისათვის.**

**შერჩეული კანდიდატები შეტყობინებას მიიღებენ "Save the Children"-ის ოფისიდან. გთხოვთ, ნუ დარეკავთ.**




ნორთუმბრიის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამები

ვიღებთ აპლიკაციებს ნორთუმბრიის უნივერსიტეტის პროგრამებისათვის, რომლებიც ჩატარდება ლონდონის კომერციის სკოლაში (ლკს). ნორთუმბრიის უნივერსიტეტი უკანასკნელი სამი წლის სახელდება სანდეი ტაიმსის მიერ ნომინირებულ საუკეთესო თანამედროვე უნივერსიტეტად. ლკს აკრედიტირებულია ბრიტანეთის საკრედიტაციო საბჭოს მიერ. შემდეგი სასწავლო წელი იწყება 2004 წლის ივნისში.

მაგისტრატურა £3950
ბიზნეს ადმინისტრაციაში
ბიზნეს ინფორმაციული ტექნოლოგიაში
1 წლიანი პროგრამა

ბაკალავრიატი £6950
საერთაშორისო ბიზნეს ადმინისტრაციაში
გამოყენებით ინფორმატიკაში
2 წლიანი პროგრამა

ნორთუმბრიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნეს ადმინისტრაციის ბაკალავრიატის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტებს საშუალება ექნებათ გაიარონ ბიზნეს ადმინისტრაციის მაგისტრატურა (MBA). MBA გრძელდება 6 თვე და სწავლის ღირებულება შეადგენს 1500 ფუნტ სტერლინგს.

შესაბამისად სტუდენტებს აქვთ უნიკალური შანსი მიიღონ მაგისტრის ორი ხარისხი სულ რაღაც 5450 ფუნტ სტერლინგად.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:
ნონა მესხიაშვილი / ლკს-ის პროგრამები
თბილისი, მცხეთის ქუჩა 2, I სადარბაზო, I ოფისი
ტელეფონი: 25 30 25, 23 02 84: მობილური: 893-35-20-67
ელ-ფოსტა: nona@mail.ru; http://www.lsclondon.co.uk

2004 წლის ივნისიდან ერთი სტუდენტი მიიღებს დახმარებას სკოლიდან 1000£

შესაძლებელია ინგლისური კურსების გავლა

ლონდონში

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“
გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა, საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი, ინტერნეტი, ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61




# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.